ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

შაბათი–კვირა

21 — 22 ნოემბერი, 2009 №301 (5042) ფასი: 30 თეთრი

## ტეტჩერი ქმარ-შვილს ოფიციალური სადილების ნარჩენებით კვებავდა



გვ.11

ინგლისის ყოფილი პრემიერი ჩანთით დანას დაატარებდა

გვ.16




TV პროგრამა გვ.10

# 18 წლის ბიჭმა ნაღმებზე მიბმული სადენები კბილებით გადაღრღნა

## ქართველები ომში ტანკებს მიწოლით ქოქავდნენ





გვ.3

## წმინდა გიორგის სახით ღმერთმა საქართველოს მფარველი ანგელოზი მოუვლინა



გვ.7

23 ნოემბერს გიორგობას მარტო ქართველები აღნიშნავენ

## სიდედრის გაკეთებული კერძები ძალიან მასუქებს



გვ.4

ყოფილმა სახალხო დამცველმა ცოლს მუშაობა ალით დააწყებინა

## იუმორისტები ყველაზე მოწყენილი ადამიანები ვართ

გვ.8

საქართველოში ყველაფერს ეშველა, ფეხბურთის გარდა





## საყვარელი ადამიანისთვის ბევრ რამეს დავთმობ

გვ.6

სასურველ სასი ოდ აღიარებული მამუკა ლომაშვილი დაოჯახებაზე სერიოზულად ფიქრობს

## კვირის ქრონიკა







გვ.2





გვ.10

## გია ხუროშვილს კარზე ექვსი „ვენოკი“ მიუტანეს

მთავრობის საპარლამენტო მდივანი ქალების ყურადღებით შეწუხებულია

## ლადო გურგენიძემ „სახალხო ბანკის“ ახალი გუნდი წარადგინა

გვ.6

## „გიგი უგულავა კაზინოებს აკონტროლებს“

ციხეებში 49 ათასი პატიმარი ზის გვ.5

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

## რას იზამს კონსტანტინე გამსახურდია

ოპოზიციურად და ზვიადისტურად განწყობილ საქართველოს კონსტანტინე გამსახურდიას გადაწყვეტილება ჯერაც არა აქვს მონელებული. მათ ვერაფრით უპატიებია კონსტანტინე გამსახურდიასთვის პარლამენტში შესვლა.

პარლამენტში გამსახურდია საპატიო მიზეზით შევიდა. ის სათავეში ჩაუდგა იმ კომისიას, რომელმაც საქართველოს პირველი პრეზიდენტის სიკვდილის საიდუმლო უნდა ამოხსნას.

როგორც ამბობენ, აღნიშნული კომისია სწორედ იმიტომ შეიქმნა, რომ გამსახურდია პარლამენტში შეეყვანათ. ნაციონალებს გადაწყვეტილი ჰქონიათ, პარლამენტში ყველა ის ოპოზიციონერი შეიყვანონ, რომლებმაც დეპუტატის მანდატები დაანაკუწეს.



პარლამენტში შესვლისკენ მათ ხან ნაციონალი ლიდერები მოუწოდებენ, ხანაც თვით მიხეილ სააკაშვილი. მაგრამ ესენი ცივ უარზე არიან. ცივ უარზე იყო კონსტანტინე გამსახურდიაც. თუმცა მისი პოზიცია თავიდანვე უცნაური იყო. ის გადაჭრით არ ამბობდა უარს პარლამენტში შესვლაზე. მისი თანაპარტიელები გამოუდმებით იმას გაიძახოდნენ, ამ საკითხზე ვფიქრობთო.

სანამ ისინი ფიქრობდნენ, ნაციონალებმა კომისია შექმნეს. საქართველოში ძალიან ცოტამ დაიჯერა, რომ მათ პირველი პრეზიდენტის ისტორიის შესწავლა სურთ. ამის გაკეთება რომ სდომოდათ, წინა პარლამენტში შექმნიდნენ კომისიას. ეს საკითხი წინა მოწვევის პარლამენტშიც დადგა დღის წესრიგში, მაგრამ ჩავარდა.

ახლა კი თითქმის იგივე ხალხი მოულოდნელად დაინტერესდა კომისიის შექმნით. ამიტომაც არის, რომ ხალხს ეჭვი აქვს. რამდენად სჯერა ამ კომისიის ეფექტურობის პირველი პრეზიდენტის შვილს, ვერაფერს გეტყვით. ორი წლის წინ მან მამის სიკვდილთან დაკავშირებით დოკუმენტური ფილმიც გადაიღო.

ამ დღეებში ქალაქში ხმა გავარდა, კონსტანტინე გამსახურდია პარლამენტს ტოვებსო. ეს ინფორმაცია მისმა თანაპარტიელებმაც დაადასტურეს. ერს ამის შესახებ თამაზ ნინუას მკვლელობის შემდეგ აუწყეს. 13 ნოემბერს საკუთარ სახლში მოკლული იპოვეს გამსახურდიას დროინდელი უშიშროების მინისტრი თამაზ ნინუა. ზოგიერთი ფიქრობს, რომ მისი სიკვდილი გამსახურდიას ამბებს უკავშირდება.

მათი მტკიცებით, ნინუას ბევრი რამის თქმა შეეძლო და ამიტომაც მოკლეს. ამბობენ იმასაც, რომ ხელისუფლებაში ვიღაცეები ამის გარკვევას ეწინააღმდეგებიან. გვითხრეს ისიც, რომ კომისიის წევრების დატერორება დაიწყო. ეს ინფორმაცია არავინ არ დაადასტურა. არც ის დადასტურდა, რომ თამაზ ნინუას გამსახურდიას სიკვდილთან დაკავშირებული სკანდალური ინფორმაცია ჰქონდა. თბილისში კი კვლავ კონსტანტინე გამსახურდიას გადაწყვეტილებას ელოდნენ. მან კი კომისიის რიგით მეორე სხდომა გამართა და განაცხადა, პარლამენტიდან არსად არ მივდივარო.

## თბილისის მერობაზე პრეტენზია ძიძიგურსაც გაუჩნდა



თვითმმართველობის არჩევნებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა. ამის მიუხედავად, ნაციონალებიც და ოპოზიციაც აქტიურად ემზადებიან. ოპოზიცია ტრადიციული განცხადებებით შემოიფარგლება. ნაციონალები კი ლაპარაკს საქმეს ამჯობინებენ.

მართალია ისინი რაღაცრაღაცეებს სახელმწიფო თანხებით აკეთებენ, მაგრამ ფაქტია, რომ აკეთებენ. ამის გამო ოპოზიცია ნერვიულობს. მოსახლეობის ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ნაციონალები მათ რეალურად უგვარებენ პრობლემებს.

ნაციონალები არჩევნებისთვის თითქმის მზად არიან. პრობლემები მათაც აქვთ. როგორც ამბობენ, ჯერ საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი, ვინ იქნება მათი მერობის კანდიდატი.

ერთი პერიოდი სწორება გიგი უგულავაზე იყო აღებული. ეს ბოლო პერიოდია ამბობენ, რომ ნაციონალების კანდიდატი სხვა იქნება. უგულავაც ისე აშკარად აღარ ჩანს. ოპოზიციას თუ ვენდობით, მერობას არჩილ გეგენავაც უმიზნებს. სახელდება სხვა გვარებიც.

ოპოზიციისგან განსხვავებით, ნაციონალები ამ პრობლემას იოლად მოაგვარებენ. ყველაფერი ისე იქნება, როგორც სააკაშვილს სურს. სააკაშვილს ჯერ მეორობისთვის კანდიდატი არ შეურჩევია.

აი, ოპოზიციის საქმე კი ძალიან ცუდად არის. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ არჩევნებზე ოპოზიციიდან მერობისთვის რამდენიმე კანდიდატი იბრძოლებს. რაც ისევ მათ დააზარალებს. უკვე დიდი ხანია ექსპერტები ოპოზიციას საერთო კანდიდატის დასახელებას ურჩევენ.

ერთიანობაზე ესენიც ბევრს საუბრობენ, მაგრამ მხოლოდ საუბრობენ. გაერთიანებაში ხელს ამბიციები უშლით. არადა, თავადვე ამბობენ, როგორც კი ამბიციებს დავთრგუნავთ, სააკაშვილს დავამარცხებთო.

ერთიანი კანდიდატის გამოსავლენად ოპოზიცია პრაიმერის ჩატარებას აპირებს. პარაიმერის იდეით კონსერვატორები გამოვიდნენ. ამ დღეებში მათ თავიანთი მერობის კანდიდატიც დაასახელეს. ზვიად ძიძიგური პრაიმერში ნაციონალების რჩეული იქნება.

კანდიდატურებს სხვა პარტიებიც მალე წარმოადგენენ. პრაიმერში მონაწილეობას ურჩევენ ირაკლი ალასანიასაც, რომელმაც მერობის სურვილი უკვე ოფიციალურად განაცხადა.

გავრცელებული ინფორმაციით, პრაიმერში მონაწილეობას ლევან გაჩეჩილაძეც მიიღებს და ყველა გათვლებით, ის იქნება ოპოზიციის რჩეული. თუმცა, ვინ იცის. წესით და რიგით, მას არც სამგორის რაიონში უნდა წაეგო არჩევნები.

## ყოფილა ძლიერ თარსი, დღეისთვის გახსნა ლარსის

ამ რუსეთმა საუკუნეების წინ რაც დაგვმართა, ისტორიიდან ვიცით. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისშიც კარგად გვაწვალა. შარშან კი სულ მთლად მოგვსპო და გაგვანადგურა. ამის მიუხედავად, ბოლომდე მაინც ვერ გაგვიგია, რუსეთი ნამდვილი მტერია თუ არა.

ბოლო ხანებში ჩვენი ხელისუფლება რუსეთზე აშკარად ენის მოჩლებით საუბრობს. ახლახან ხმებიც კი დაყარეს იმის თაობაზე, რომ პუტინი თურმე საქართველოს გამთლიანებას უწინასწარმეტყველებს. ბოროტი ხმების მტკიცებით, ხელისუფლება რუსეთთან რაღაცა გარიგებაზე წასვლას აპირებსო. რამდენად მართალია ეს ამბავი, არავინ იცის. თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება, რუსეთთან მიმართებაში ჩვენები ძალიან საეჭვოდ იქცევიან.

რუსეთს, როგორც მტერს, ისე რომ უყურებდნენ, ჩვენებურები ლარსის საკონტროლო გამშვები პუნქტის გახსნას ალბათ არაფრით არ დათანხმდებოდნენ.

ლარსის საკონტროლო გამშვები პუნქტი რუსებმა 2006 წლის ივლისში ჩაკეტეს. თავიდან ეს ამბავი ქართველებმა ძალიან შეიცხადეს. მერე კი ნელ-ნელა მიეჩვივნენ რუსეთთან სახმელეთო მიმოსვლის გარეშე ცხოვრებას.

ჩვენგან განსხვავებით, ლარსის ჩაკეტვა ძალიან მტკივნეულად განიცადა სომხურმა მხარემ. სომხები ამ გზით ძალიან სარგებლობდნენ. ამდენად, სავსებით ნორმალურია, რომ ყველაფერს აკეთებენ საზღვრის გასახსნელად.

სომხებმა იმდენი იჩალიჩეს, რომ საზღვრის გახსნაზე რუსები დაითანხმეს. ეს 2007 წელს მოხდა. ქართული მხარე თავიდან თანახმა იყო ლარსის ამოქმედებაზე. მერე კარგად გაიკითხეს ამბები და გაარკვიეს, რომ ეს საზღვარი მარტო სომხეთის მოქალაქეებისთვის გაიხსნებოდა. აი, მაშინ ჩვენებურებმა რუსებს თავაზიანი უარი შეუთვალეს და უთხრეს, იმ პირობით დაგთანხმდებით, თუ ქართველებიც ისარგებლებენო.

აგვისტოს ომამდე, შარშანაც ბევრი ისაუბრეს ამ თემაზე, მაგრამ მაშინაც ლარსი მხოლოდ სომხებისთვის იხსნებოდა. მერე აგვისტოც დადგა და... სომხებმა რამდენიმე თვის განმავლობაში თავი დაგვანებეს. ამ წლის დასაწყისში რომ აიწყვიტეს, ვეღარავინ შეძლო მათი გაჩერება.

მიზნის მისაღწევად ოფიციალური ერევანი თურმე ყველა ხერხს მიმართავდა. ისინი არც შანტაჟს ერიდებოდნენ თურმე. მოგეხსენებათ, რომ სომხეთი ახლახან თურქეთს დაუმეგობრდა. რაც იმას ნიშნავს, რომ ერევანი მარტო საქართველოზე აღარ იქნება დამოკიდებული.

აზერბაიჯანთან და თურქეთთან კონფლიქტის გამო სომხეთს ქართული პორტებიდან შეჰქონდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროდუქტები. ერევნიდან შემოუთვლიათ, თუ ლარსს არ გახსნით, მომავალში სულ თურქული პორტებით ვისარგებლებთო. რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველო მნიშვნელოვან შემოსავლებს დაკარგავს.

მავანმა ისიც თქვა, სომხებმა საქართველოს ხელისუფლებას რამდენიმე მილიონი გადაუხადესო. ასეა თუ ისე, ხელისუფლება ლარსის გახსნაზე თანახმაა. ამის გაკეთებას მოითხოვს საპარლამენტო ოპოზიციაც. ექსპერტები კი გაიძახიან, ამის გაკეთება არაფრით არ შეიძლებაო. მათი განმარტებით, ლარსის გახსნამ შეიძლება ყაზბეგი დაგვაკარგვინოს.

ხელისუფლება ამ საშიშროებას ვერ ამჩნევს. ისე კი გვაიმედებენ, რუსებისგან ყველაფერს უნდა ველოდოთო. საინტერესოა, თუ ყველაფერს უნდა ველოდოთ, ლარსი რატომღა იხსნება.

## შალამბერიძე ვერ ისვენებს



პარლამენტში ყოფნის დროს თავისი ინიციატივებით ალეკო შალამბერიძე აშკარად გამოირჩეოდა. იდეებს ის მაშინაც აფრქვევდა, როცა ტრადიციონალისტთა კვოტით ასლან აბაშიძის ბლოკში ღორძინდებოდა.

ბედის სიავისა და სიკარგის წყალობით, აღორძინებას დროულად დააღწია თავი და განაციონალდა. წინა მოწვევის პარლამენტში ნაციონალებიდან ის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური იყო. იმდენად აქტიური, რომ სააკაშვილმა თავის გამოსვლაში მას 22-ე საუკუნის ადამიანი უწოდა.

ეს შეფასება ნაციონალებმა მთლად კარგად ვერ გაიგეს. როგორც ჩანს, იფიქრეს, რომ შალამბერიძე 22-ე საუკუნის პარლამენტში იმსახურებდა ყოფნას. ის საარჩევნო სიაში აღარ შეუყვანიათ.

სხვა ნაციონალების მსგავსად, შალამბერიძეს ეს ამბავი დიდად არ შეუცხადებია. არც ოპოზიციაში გადასულა. კარგა ხანს პარტიის შემადგენლობაშიც ირიცხებოდა. ბოლო ხანებში კი ისეთი განცხადებები გააკეთა. ყველას ეგონა, 9 აპრილს დაგეგმილ აქციაზე ის გაუძღვებოდა ოპოზიციას.

მერე გაირკვა, რომ ოპოზიციასთანაც ბევრი პრეტენზია ჰქონდა. სააკაშვილის გადაყენების იდეას არ იზიარებდა. დღემდე მიაჩნია, რომ სააკაშვილი ჯერ არ უნდა წავიდეს. მისი აზრით, პრეზიდენტს მხოლოდ უფლებები უნდა შეეზღუდოს.

კრიტიკულ გამონათქვამებს ნაციონალური ელიტა მშვიდად ითმენდა. ხოლო როცა შალამბერიძემ მერობის კანდიდატის გამოსავლენად პრაიმერის ჩატარება მოითხოვა, გადაირივნენ.

მთლად ასეც არ გადაირეოდნენ, შალამბერიძეს მერობის ამბიცია რომ არ გასჩენოდა. ჟურნალისტები ნაციონალებთან კომენტარზე რომ მივიდნენ, ასე თქვეს, ეგ ადამიანი ჩვენი პარტიის წევრი 2005 წლიდან აღარ არისო. არადა ყველას ახსოვს, რომ ერთი წლის წინ ის ჯერ კიდევ ნაციონალი იყო.

ნაციონალებმა რაკი მასზე უარი თქვეს, არც ის დარჩენილა ვალში. პარტიიდან წასვლის შესახებ განცხადება დაწერა. მავანმა ჩათვალა, რომ მემუარების წერას დაიწყებდა, მაგრამ, ნურას უკაცრავად! მემუარების ნაცვლად ინიციატივების წერას შეუდგა.

ახლა მოითხოვა, რომ ცესკოში ყველა პარტიას თითო ხმა უნდა ჰქონდეს. ნაციონალები ამ იდეას არ აღუფრთოვანებია, მაგრამ არც ოპოზიცია დაინტერესებულა. შალამბერიძე ამის გამო არ დანაღვლიანებულა და უთქვამს, კიდევ მრავალ ინიციატივას წარვადგენო.

## პაატა დავითაია მთლად თვითონ დარჩა

საპარლამენტო უმცირესობაში რომ საქმე კარგად არ არის, ყვეამ იცის. უმცირესობაში გაერთიანებული ორი მცირერიცხოვანი ფრაქცია ერთმანეთს უკვე მტრულად უყურებს. ცალკე საუბრის თემაა „ადინოკი" ჯონდი ბაღათურია, რომელიც პარლამენტში შესვლის დღიდან ფრაქციის შექმნას აპირებს.

ფრაქცია ვერ შექმნა, სამაგიეროდ, უმრავლესობის და უმცირესობის წევრებსაც კარგად უშლის ნერვებს. უმრავლესობა ამაზე დიდად არ ნერვიულობს, უმცირესობა კი ძალიან განიცდის. ადრე არც ისე ნაღვლობდნენ, მაგრამ ახლა ბევრი პრობლემა აქვთ და ჯონდის კრიტიკას უკვე ვეღარ უძლებენ.

როგორც ამბობენ, დღე-დღეზე უმცირესობაში შემავალი „ქრისტიან-დემოკრატები" და „ძლიერი საქართველო" ერთმანეთს დაეტაკებიან. ეს დაპირისპირება ადრეც მოხდებოდა, მაგრამ „ძლიერი საქართველო" მთლად ძლიერად ვერ ყოფილა. დეპუტატები ამტკიცებენ, რომ თორთლაძის ფრაქცია მალე დაიშლება.

ფრაქციის დამანგრეველად დიმიტრი ლორთქიფანიძე მოიაზრებოდა. გავრცელებული ხმების მიხედვით, ის ფრაქციიდან უნდა წასულიყო. იმ დღის დადგომას ყველა მოუთმენლად ელოდა. განსაკუთრებით ისინი, ვისაც თორთლაძის ჯავრი სჭირდა.

დიმიტრი ლორთქიფანიძე მართლაც წავიდა. ოღონდ არა ფრაქციიდან, არამედ პარტიიდან. პარლამენტში მოხვედრამდე ის სალომე ზურაბიშვილის „საქართველოს გზის" წევრი იყო. პარლამენტში შესვლის შემდეგ კი ის პაატა დავითაიას „ჩვენ თვითონის" წევრი გახდა.

პარტიიდან წასვლის თაობაზე ლორთქიფანიძემ დავითაიას პირისპირ საუბრისას მოახსენა. თანაპარტიელები ერთმანეთს დახურულ კარს მიღმა შეხვდნენ. კი ამტკიცებენ საუბარმა მშვიდად ჩაიარაო, მაგრამ არავის სჯერა.

ლორთქიფანიძის გადაწყვეტილებამ დეპუტატები გამოაცოცხლა. ერთ-ერთმა დეპუტატმა კი იხუმრა: დავითაიას ადრე „ჩვენ თვითონ" ჰქონდა, ახლა კი „მე თვითონ" დარჩაო.

## შალვა რამიშვილი „სიმართლის დროს" ტოვებს



სკანდალური შალვა რამიშვილის გარშემო კიდევ ერთი სკანდალი აგორდა. ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ ის „იმედზე" თავის შოუს „სიმართლის დროს" აღარ წაიყვანს. „იმედში" განმარტეს, რომ ეს რამიშვილის პირადი გადაწყვეტილება იყო.

ეს ინფორმაცია თავად შალვა რამიშვილმაც დაადასტურა. მან ისიც თქვა, რომ „იმედიდან" არსად არ წავა, მაგრამ მის გარშემო დიდი ჭორები აგორდა. ამტკიცებენ, რომ მას ეროსი კიწმარიშვილმა საინტერესო წინადადება შესთავაზა. თავად კიწმარიშვილი „მაესტროს" ჩაუდგა სათავეში. განახლებულ მაესტროს ის თებერვალში წარგვიდგენს. ვნახოთ, ალმოჩნდება თუ არა რამიშვილი მის გუნდში.

ჯერჯერობით კი სკანდალური რამიშვილი „იმედზე" რჩება და „სამსონაძეებზე" იზრუნებს. „სიმართლის დროს" კი ახალ წამყვანს მოუძებნიან.

შორენა მარსაგიშვილი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# 8 წლის ბიჭმა ნაღმებზე მიბმული სადენები კბილებით გადაღრღნა

## ქართველები ომში ტანკებს მიწოლით ქოქავდნენ

თეა მარხვაი ე

**აფხაზეთის ომში ბევრი კურიოზული ამბავია მომხდარი. ეს კურიოზები ძირითადად ჩვენებურთა გამოუცდელობის ბრალი იყო. გამოუცდელი ქართველები ძალიან ხშირად გაუგონარ რამეებს სჩადიოდნენ. დედამიწის ზურგზე ჩვენს გარდა სხვა ალბათ ვერასდროს დაქოქავდა ტანკებს მიწოლით. ჩვენებურები კი ამას მშვენივრად ახერხებდნენ. ქართველთა საბრძოლო თავისებურებებზე „ახალ თაობას" გიორგი თავდგირიძე ესაუბრება, რომელიც შავნაბადის ბატალიონის ერთ-ერთი მეთაური იყო და ეს თავისებურებანი საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი.**

გიორგი თავდგირიძე:

— გამოუცდელობის მიუხედავად, აფხაზეთის ომში ჩვენი სამხედრო ნაწილები კარგად იბრძოდნენ. სამწუხაროდ, არ არსებობდა ერთიანი ხელმძღვანელობა, რომელიც ცალკეული ბატალიონების კარგ მოქმედებას გამარჯვებად აქცევდა. ერთხელ, ერთ-ერთი დასახლებული პუნქტის დაკავების ბრძანება მივიღეთ. ამისთვის საჭირო იყო მდინარის ფორისრება. მდინარეზე ერთადერთი ხიდი იყო. ძალიან მნიშვნელოვანი იყო მისიგაწმენდა. მოწინააღმდეგე ხიდზე არ იყო. ისინი მეორე ნაპირას იდგნენ, ხიდის მისადგომებს იცავდნენ და ხელს უშლიდნენ ჩვენი ქვედანაყოფის წინსვლას. ჩვენი უბედურება ის იყო, რომ ხელმძღვანელობამ ვერ მოახერხა სხვადასხვა ქვედანაყოფების ერთობლივი ბრძოლის ორგანიზება. გარდა ჩემი ქვედანაყოფისა, ხიდთან იდგა სატანკო ნაწილი. სატანკო ნაწილი ცოტა ხმამაღალი ნათქვამია. საუბარი სულ 12 ტანკზეა. ამ 12 ტანკში შედიოდა იმ დროისთვის ტე-72. ეს ტანკები ძალიან ცოტა გვყავდა. ტანკები ბევრი რომ გვყოლოდა, საკმაოდ ძლიერი შეტევითი ოპერაციების განხორციელება შეიძლებოდა. გარდა იმისა, რომ ასეთი ტანკები ცოტა გვყავდა, არც მისი გამოყენება ვიცოდით.

***— სულ არავინ არ იცოდა ტე-72 მართვა?***

— ვინც იცოდა ამ ტანკის გამოყენება, იმ ქვედანაყოფს ეს ტანკი არ ჰყავდა. ვისაც ჰყავდა, მათ ამის გამოყენება არ შეეძლოთ. სანამ მდინარის ფორსირებას მოვახდენდით, მოწინააღმდეგესთან სროლები მიდიოდა. ამ დროს დავინახეთ, რომ ტანკები მოვიდნენ. ეს ამბავი ძალიან გაგვეხარდა. ჩავთვალეთ, რომ ისინი შეასრულებდნენ ძირითადი გამრღვევი ძალის როლს. ჩვენ კი უკან გავყვებოდით და ტანკების დაცვას ფლანგებიდან უზრუნველვყოფდით. ჩვენთან მოსული ტანკები ხიდიდან 15 მეტრის დაშორებით გაჩერდნენ და წინ არ იძროდნენ.

***— რატომ?***

— ამის გასარკვევად სატანკო ქვედანაყოფთან გავაგზავნე მეკავშირე ჯარისკაცი, რომელსაც მეთაური უნდა ენახა. ჯარისკაცი დაბრუნდა და მითხრა, რომ მეთაური ტანკშია და არ ამოდის. ავდექი და მე წავედი მის სანახავად. როგორც წესი, მეთაური ზის ტანკის კოშკურაში (სპეციალური სამეთაურო კოშკურა არსებობს). ჩემი პირველი გაოცება გამოიწვია იმან, რომ ქვედანაყოფის მეთაური იჯდა მესამე თუ მეოთხე ტანკის მექანიკოსის განყოფილებაში. ის 40-45 წლის ოფიცერი იყო, რომელიც საკმაოდ შეშინებული ჩანდა. ვკითხე, თუ რატომ არ მიდიოდა წინ. მიპასუხა, ჯერ თქვენ წადით წინ და ჩვენ უკან გამოგყვებითო. რაც დიდი აბსურდი იყო. მე მას ვუხსნიდი, რომ ნაკლები მსხვერპლი იქნება თუ ტანკები წინ წავლენ. სამწუხაროდ, ვერაფრით ვერ დავუმტკიცე. მაინტერესებდა იმის გარკვევაც, მართავდა თუ არა თავის ათ ტანკს. მითხრა, რომ კავშირი ჰქონდა. მითხრა ისიც, რომ ტანკისტები არიან გამოუცდელები და არ გააჩნიათ საბრძოლო გამოცდილება. ამის გამო ეეჭვებოდა, რომ ტანკების გამოყენება ეფექტური იქნებოდა. სატანკო ქვედანაყოფის მეთაურთან ვსაუბრობდი, როცა მითხრეს, რომ მოვიდა ის ოფიცერი, რომელიც მთლიანად ამ ოპერაციას ხელმძღვანელობდა. მას ჩემთან საუბარი სურდა. მე მის გვარს არ დავასახელებ. ის იყო პოლკოვნიკი, საკმაოდ ასკოვანი და საკმაოდ გამოცდილი. ახლანდელი შეფასებით მას ნაკლი ჰქონდა, რადგანაც კარგად ვერ დაგეგმა ოპერაცია. ეს იყო მხოლოდ სიტყვიერი განკარგულებით დაგეგმილი ოპერაცია. ჩვენ ხიდიდან 20-25 მეტრის დაშორებით მდგარ დანგრეულ შენობასთან ვსაუბრობდით. ჩვენ უკან, 2-3 მეტრის მოშორებით, ბმპ-1 იდგა. უცბად ჩემი ყურადღება მიიქცია იმან, რომ ეს ბეემპე ცუდად მოძრაობდა.

***— რატომ ჩათვალეთ, რომ ის ცუდად მოძრაობდა?***

— ბეემპემ დაიწყო მანევრი. ჯერ ერთ მუხლუხოზე შემობრუნდა მარჯვნივ, მერე მარცხნივ. შემდეგ კი კოშკურის მოძრაობა დაიწყო. გავიფიქრე, გამოუცდელი მძღოლი ხომ არ ზის და რაიმე ინციდენტი არ მოხდეს-თქო. საუბარმა შემიყოლია. ამასობაში ვამჩნევ, რომ კოშკურა ტრიალდება. კოშკურის ლულა დაახლოებით ერთ მეტრში ჩერდება ჩვენი უფროსის თავთან. ის იყო უნდა ვუთხრა, რომ გამოიწიეთ, არ გაისროლოს-თქო, რომ ბეემპემ გაისროლა. საწყალი პოლკოვნიკი ძირს დავარდა. მან ალბათ მსუბუქი კონტუზიაც მიიღო. როგორც იქნა, წამოვაყენე. წავედი ბეემპესთან. ეკიპაჟის მეთაურის ნახვა მინდა. ლუკები ჩაკეტილი აქვთ. ვაკაკუნებ, ლუკი არავინ არ გამიღო. ბეემპეს მეთაურის და მექანიკოსის ლუკის გარდა აქვს სადესანტო ლუკები, რომლებიც ბეემპეს უკანა ნაწილშია განთავსებული. ვიფიქრე, იქნებ რომელიმე ღია იყოს-თქო, ერთ-ერთი მართლაც ღია იყო. შევძვერი ბეემპეში. მეთაურს ვთხოვე, იქნებ ლუკი გააღო, უნდა დაგელაპარაკო, საქმე მაქვს-თქო. გამიღო ლუკი. ვეუბნები, ბეემპე როგორმე აქედან გაიყვანე. წამოვედი და ფრონტის სარდალთან მივედი საუბრის გასაგრძელებლად. მან ის-ის იყო მტვერი ჩამოიფერთხა. გავიხედე და ვხედავ, რომ ბეემპეს კოშკურა ისევ ამოძრავდა. ველარ წარმოვიდგენდი, რომ კიდევ რაღაც მოხდებოდა. გავიფიქრე, ალბათ კოშკურას გაასწორებს და აქედან მერე გავა. ამ კოშკურამ მთელი ბრუნი გააკეთა, 360 გრადუსით მობრუნდა და ისევ ფრონტის სარდლის თავთან ახლოს გააჩერა ლულა და გაისროლა. უკვე ძალიან კომიკური სიტუაცია შეიქმნა. ბეემპესთვის ჯერ არ მცხელა, ფრონტის სარდალი უნდა წამოვაყენო.

***— კიდევ ეს მეთაური დაეცა?***

— აბა. წამოვაყენე, ვფერთხავ. ვეუბნები, არაფერი არ მომხდარა. ახლავე მოვაგვარებ ყველაფერს. ბეემპეს მეთაურს დავსჯი, მოვკლავ და ასეთი რამეები. მინდა მდგომარეობიდან გამოვიყვანო. დავიძარი ბეემპისკენ. მინდა შევძვრე ლუკში, რომ მეთაური გადმოვათრიო. ავძვერი ბეემპეზე, ამ დროს კვლავ დაიწყო კოშკურამ ტრიალი. ასეთ დროს ძნელია მაღლა გაჩერდი. ჩამოვედი და ვიფიქრე, ისევ უკნიდან შემოვუვლი-თქო. ამ დროს ეს კოშკურა ისევ დატრიალდა და ისევ ჩვენი უფროსის თავთან გაჩერდა, რომელიც ჯერაც ტანსაცმელს იფერთხავს... ბეემპემ მესამედაც გაისროლა. უკვე ველარ ვიკავებ სიცილს. მთელი უბედურება ის არის, რომ მესამე ნასროლი წინ მდგომ ტანკს მოხვდა.

***— არ აფეთქდა ტანკი?***

— ტანკს ჭურვი ძირითად კორპუსში არ მოხვედრია. ტანკს გვერდზე ე.წ. ზიპები აქვს, სადაც მარაგნაწილებია. ფუნქციონირებადი სისტემები იქ არ არის. ოდნავ ცეცხლიც ავარდა. სწრაფადვე ჩაქრა. ტანკის ეკიპაჟმა ვერ იგრძნო, წინიდან იყო გასროლა თუ უკნიდან. ამ დროს ვხედავ, გამორბის ჩემი ერთ-ერთი თანამებრძოლი, რომელიც იქვე მდგომ სახლში ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად იყო გასული, გაფართოებული თვალებით და თითქმის ჩახდილი. ის დღეს ხელისუფლების ერთ-ერთი მაღალჩინოსანია. ის ბიჭი შემდეგ მიყვებოდა, რომ მას სიკვდილის იმდენად არ შეშინებია, რამდენადაც არ სურდა შარვალჩახდილი მომკვდარიყო. როგორც იქნა, ბეემპეს მეთაურამდე მივაღწიე. ვუთხარი, უბრალოდ დაძარი და გვერდზე გადაიყვანე, თქვენგან არაფერი გვინდა-თქო.ამით ბეემპეს პრობლემაც მოვხსენით.

***— არ გაგირკვევიათ, ბეემპეს ეკიპაჟს ფრონტის სარდლის „ზუბი“ ხომ არ სჭირდა?***

— არა. ეს ინციდენტი შიშის ბრალი იყო. გამოუცდელი ეკიპაჟი დასვეს ტექნიკაზე. აი, ასეთი სატანკო ნაწილები გადმოისროლეს ბრძოლის ველზე. მათთვის არც მოსამზადებელი ფსიქოლოგიური სამუშაოები ჩაუტარებიათ. ბეემპეს ნასროლებით დაზარალებული ფრონტის სარდალი საკმაოდ ცუდად იყო. მისგან მივიღე დასტური, რომ სატანკო ქვედანაყოფისთვისაც გამეცა ბრძანება. წავედი მეთაურის სანახავად. მისი ოფიცრები და ჯარისკაცები შეშინებული არიან. მეთაური მეუბნება, შეიძლება მოვიხსნათო. ვეუბნები, რომ ამით ოპერაციას ჩააგდებთ. ბოლოს ისიც კი ვუთხარი, რომ თუ გინდა, თქვენ წადით და ჩემს ეკიპაჟს დავსვამ ტანკებზე.

***— ქვედანაყოფში გყავდათ ისეთი ხალხი, ვინც ტანკის მართვა იცოდა?***

— რა თქმა უნდა. ჩვენი ტანკები და ბეემპეები თან არ გვყავდა. იმიტომ, რომ ჩვენ, როგორც სპეცდანიშნულების ქვედანაყოფს, ისე გვიყენებდნენ. ამიტომ ტექნიკა არ გაგვატანეს. რაც აბსურდი იყო. დავალება მოგვცეს როგორც სპეცდანიშნულების ქვედანაყოფს. დავალებას კი ვასრულებდით როგორც სახაზო ქვედანაყოფი. სატანკოს მეთაურმა ისიც მითხრა, ხიდი დანაღმულია და ვერ გადავალთო. ვხედავ, ნაღმები მართლაც აწყვია. ტანკსაწინააღმდეგო ნაღმები ხიდზე ეწყო და მავთულებით იყო გადაბმული.აფეთქდება. თვითნაკეთი რაღაცა იყო. ვთხოვე, ერთი გასროლა გააკეთე და ზედაპირზე დაწყობილი ნაღმები გადაიხვეტება. გვიანდებოდა, ოპერაცია სასწრაფოდ უნდა დაგვეწყო. მითხრა, რომ ვერაფრით ვერ დაგვეხმარებოდა. იმის პირობა კი მოგვცა, თუ ხიდი გაიწმინდება, ის იფიქრებს, ხიდი გადაიაროს თუ არ გადაიაროს. ტანკები გაქცევაზე არიან. არადა, ეს არ უნდა დავუშვათ. ამ ტანკებმა შეიძლება ოპერაციაში მონაწილეობა არ მიიღონ, მაგრამ მოწინააღმდეგეზე აუცილებლად იქონიებენ ფსიქოლოგიურ გავლენას. ჩემი ქვედანაყოფის ბიჭებისკენ წავედი. რაღაც უნდა შევათანხმოთ. სანგარს რომ მივუახლოვდი, ჩვენმა ოფიცერმა პეტროვკამ ჩამიქროლა.მივაძახე, სად მიდიხარ? მითხრა, ტანკისკებისკენ მივდივარ, უნდა გავაფრთხილო, მოწინააღმდეგის ტ-72 ტიპის ტანკები აწყვეტილები მოდიან და მოემზადონო. ეს რომ გავიგონე, აკრობატული ილეთი გავაკეთე და პეტროვკა გავაჩერე. მას რომ ეს ამბავი ტანკისტებისთვის მიეტანა, ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა. ისედაც ძლივს ვაკავებდით.

***— მალე გამოჩნდნენ მოწინააღმდეგის აწყვეტილი ტანკები?***

— ეს აწყვეტილი ტ-72 იყო ორი უძველესი ტანკი ტ-54, რომელთაგან ერთი დადიოდა და ვერ ისროდა. მეორე ისროდა, მაგრამ ვერ დადიოდა. ის, რომელიც ვერ დადიოდა, ჩაბმული ჰყავდა მეორე ტანკს. რა უნდა თქვა, როცა ოფიცერს ასეთი საეჭვო ღირებულების სამხედრო ტექნიკა ტ-72-ად მოეჩვენება. ქვედანაყოფში გვყავდა წვევამდელი ელდარ მუზაევი, 18 წლის თბილისელი ბიჭი. სანამ ოპერაციას დავიწყებდით, ხიდის განაღმვა უნდა მოგვეხდინა. ბიჭებთან ვთათბირობდი, როგორ შეიძლებოდა ამის გაკეთება. ჩვენთან ერთად იყო სი-ენ-ენის ოპერატორიც. „აკოფში“ ისიც ჩვენთან ერთად იჯდა. უცბად ის ფეხზე ადგა, რაღაცას იღებდა... ერთი ჩვენი ოფიცერი ცდილობდა, რომ ისევ „აკოფში“ ჩამოესვა. გვითხა, მაცალეთ, ისეთ კადრებს ვიღებ, რომელსაც ცხოვრებაში ვერ გადავიღებო. ჩვენც გავიხედეთ და ჩვენი ყურადღება მიიქცია ელდარ მუზაევმა, რომელიც ხიდზე იყო ჩამოკიდებული ხელებით და ასე გადაადგილდებოდა. ასე მიუახლოვდა სადენებს, კბილებით გადაღრღნა და ცალი ხელით გადაჭრა ისინი. როცა მორჩა, ჩახტა მდინარეში და გამოცურა. მისთვის ეს დავალება არავის მიუცია. მან თავისი ვაჟკაცობის ხარჯზე გადაწყვიტა ამ პრობლემის მოგვარება. ნაღმების მოშორების შემდეგ დავიწყეთ ხიდის ფორსირება. აღმოჩნდა, რომ ეს სახიფათო არ იყო. მოწინააღმდეგე შეშინდა. სუსტი წინააღმდეგობა გაგვიწიეს. ჩვენი ტანკები ამაყად გადმოვიდნენ ხიდზე.

***— ასეთი შემთხვევები ხშირად იყო?***

— ხშირად იყო. ხალხს გამოცდილება არ ჰქონდა. ტანკებთან დაკავშირებით ერთი საინტერესო ისტორია შეგვემთხვა კიდევ, რომელიც მხოლოდ ქართველებმა შეიძლება ჩაიდინონ. ომი ახალი დაწყებული იყო. ჯერ ბოლომდე არ იყო გარკვეული, ვინ რომელი მიმართულებით იმოქმედებდა. ჩვენი ქვედანაყოფი ქალაქის თავზე, მთაზე იმყოფებოდა. ჩვენი პირველი საბრძოლო ნათლობა სწორედ იქ მივიღეთ. პირველად აღმოვჩნდით ნაღმმტყორცნების დაბომბვის ქვეშ. რაც არ უნდა ისწავლო სასწავლებელში ან პოლიგონებზე, ის საბრძოლო გამოცდილების ფსიქოლოგიურ ეფექტს ვერ შეედრება. ამას ბევრი ვერ უძლებს. საბოლოო ჯამში, მებრძოლთა ოთხმოცი პროცენტი პირველი საბრძოლონათლობის შემდეგ უფრო იბრძმედება. ჩვენი ქვედანაყოფის გარდა, სამი ტანკი იყო ამ პოზიციებზე. დაბომბვამ ძალიან დაგვაბნია. ზოგი გაწვა, ზოგი დაიმალა. რამდენიმე თანამებრძოლთან ერთად ბეემპეები გავიყვანე იმ ადგილას, სადაც ჭურვები არ ეცემოდა. ნაღმმტყორცნით დაბომბვა ვიზუალურად დამთრგუნავი იყო. არადა, თურმე ისეთ ჭურვებს გვესროდნენ, რომლებსაც ასაფეთქებელი მუხტი არ ჰქონდა. ჩვენი საბრძოლო მანქანები უსაფრთხო ადგილას რომ გავიყვანეთ, ჩვენთან სატანკო ქვედანაყოფის მეთაური მოვიდა. სულ სამი ტანკი იყო მის განკარგულებაში. მთხოვა, შენი ხალხი



წამოიყვანე და ტანკები გამომაყვანინეო. ვიფიქრე, რომ მისი ეკიპაჟი ან დაიბნა, ანდა გაიქცა. არ მინდოდა ახალწვეულები ხიფათში ჩამეგდო. ვუთხარი, მე ტანკისტი ვარ, წამოვად და მე და შენ გამოვიყვანოთ-თქო. მითხრა, შენ ერთი არ ეყოფი, ტანკს მიწოლა სჭირდებაო. გავოგნდი. ვიცი, რომ ტანკი მინიმუმ 30 ტონაა. ვეუბნები, ხომ არ გაგიჟდი, 30 ტონიანი ტანკი როგორ უნდა დავძრათ

## ფრონტის სარდალს „ბეემპემ“ ყურის ძირში სამჯერ ესროლა

ადგილიდან? აღმოჩნდა, რომ მეთაური ამისთვის მომზადებულია.

***— რანაირად?***

— ტანკები შეუყენებია შემაღლებულზე. საკმარისია ხუთი კაცის ოდნავი ბიძგი, რომ ტანკი ჩამოსრიალდება და გაკვრით დაიქოქება. მე მგონი, მარტო საქართველოში ხდება ტანკის მიწოლით დაქოქვა. მანქანა რომ დაქოქილიყო, ბევრჯერ მივწოლილვარ, მაგრამ თუ ტანკის მიწოლით დაქოქვა მომიწევდა, ვერასდროს წარმოვიდგენდი და ვერც იმას წარმოვიდგენდი, თუ მოგლეჯილ კუდიანი თვითმფრინავით შეიძლებოდა ფრენა.

***— ესეც აფხაზეთში მოხდა?***

— სოხუმში გადაფრენა თვითმფრინავებით ხშირად გვიწევდა. დავფრინავდით „ორბის“ თვითმფრინავებით. ამ პილოტებით ყოველთვის აღფრთოვანებული ვიყავი. ისინი დღეში ორ-სამ და ხან მეტ რეისსაც ასრულებდნენ. საკმაოდ სახიფათო იყო ფრონტისპირა ქალაქში ფრენა. ყოველი გაფრენისას ისინი საკუთარ სიცოცხლეს საფრთხის ქვეშ აგდებდნენ. ერთ-ერთ ბრძოლაში სერიოზული დანაკარგები მივიღეთ. თბილისში დავბრუნდით. დაღუპული მეგობრები დავასაფლავეთ, დაჭრილები მოვინახულეთ. მოკლედ რომ ვთქვა, ჭრილობებს ვიშუშებთ. ამ დროს ბრძანება მოვიდა, რომ სოხუმში უნდა წავიდეთ. ეს ის პერიოდია, როცა მოლაპარაკებები იწყება. ჩვენ ცოტათი პროტესტის გრძნობა გაგვიჩნდა. თუ მოლაპარაკება იწყება, მაშინ რა საჭიროა ჩვენი ბატალიონის გადასროლა, რომელიც იმ დროისათვის ბოლომოდე ფორმირებული არ იყო.გვითხრეს, რომ აუცილებლად თქვენ ხართ საჭირო, რადგანაც იგეგმება რაღაც შეტევა, იმისთვის, რომ მოწინააღმდეგე მოლაპარაკების მაგიდასთან რაც შეიძლება დამთმობი დაჯდეს. ბრძანება დილით მივიღეთ. შეკრებას მთელი დღე მოვუნდით. საღამოსთვის ყველანი უკვე აეროპორტში ვიყავით. თვითმფრინავი გადატვირთულია. ფეხზეც ძალიან ბევრი ხალხი დგას. ჩემი შტაბის უფროსი რამაზ ჯიქია ილუმინატორთან ზის, მე მის გვერდით ვზივარ. უნდა ავფრინდეთ, პილოტი გამოვიდა და ამბობს, აფრენას ვიწყებთ, ცხვირი უნდა ავწიო და უკან გადადითო. ჯარისკაცები გადავიდნენ უკან. როცა ჰაერში ავიწიეთ, გამოვიდა პილოტი და გვითხრა, ახლა წინ გადმოდით და თანაბრად გადანაწილდითო.

***— გეხუმრებოდათ თუ ასე იყო საჭირო?***

— გვეხუმრებოდა თუ არა, არ ვიცი, მაგრამ ასეთი სცენებს ხშირად ჰქონდა ადგილი. იმ დღესაც ასე მოხდა. ავფრინდით. ვიცი, რომ სოხუმამდე ფრენას 55 წუთი სჭირდება. ვიცი ისიც, რომ როგორც წესი, მფრინავები არასდროს ბოლომდე არ ავსებდნენ საწვავით ავზებს.

***— რატომ?***

— გადატვირთული რომ არ ყოფილიყო თვითმფრინავი. სასურველი იყო თვითმფრინავი ცარიელი ავზით დაშვებულიყო. ხშირად საარტილერიო ჭურვებიც მიგვქონდა. ეს კი დაშვებას ორმაგად სახიფათოს ხდიდა. ერთი არასწორი მანევრი დაშვებისას აფეთქებას გამოიწვევდა. მივფრინავთ, გავიდა 45 წუთი, გავიდა კიდევ ათი წუთი. დაბლა ისევ არ ვეშვებით. შტაბის უფროსი ილუმინატორს არის აკრული. მეუბნება, შუქები არ ჩანსო. ვიფიქრე, მერე რა მოხდა, სოხუმი ფრონტისპირა ქალაქია და შეიძლება შუქი არ არის. იყო შემთხვევა, რომ როცა თვითმიფრინავი აეროპორტს მიუახლოვდებოდა, შუქი მაშინ აინთებოდა ორიენტაციისთვის, მერე კი ქრებოდა. ასეთ ვითარებაში დაშვება ძალიან სარისკო იყო. ეს პილოტები სერიოზულ რისკზე მიდიოდნენ. იმ დღესაც დიდ რისკზე წავიდნენ. გადის დრო, თვითმფრინავი ხან შეამცირებს სიმაღლეს, ხან ისევ აკრეფს. ერთ-ერთი ასეთი მანევრის დროს შტაბის უფროსი გაფითრებული მობრუნდა და მეუბნება, ჩვენი თვიმფრინავი ასაფრენ ზოლს პერპენდიკულარულად კვეთს. ვიფიქრეთ, ალბათ ორიენტაცია დაერღვათ პილოტებს. ისინი არა ზღვიდან ცდილობდნენ დაშვებას, არამედ მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე შედიოდნენ. მე არ ვიცი, რა გაუგებრობა მოხდა. საათნახევარი რომ გავიდა, ყველანი უკვე შეგუებული ვიყავით იმ აზრს, რომ თვითმფრინავი უნდა ჩამოვარდნილიყო, რადგანაც წესით და რიგით, საწვავი უნდა გათავებულიყო. თვითმფრინავში სრული სიჩუმეა. ყველა ჩამოვარდნისთვის ემზადება. ამ დროს შემოდის პილოტი და ამბობს, უკან, თბილისში მივდივართო.

***— რანაირად? საწვავი ხომ აღარ იყო?***

— საბედნიეროდ, აღმოჩნდა, რომ ერთი პილოტი თავის სოხუმელ მეგობარს საწვავს დაპირდა. ამიტომ მეტი რაოდენობით ჰქონდათ ჩასხმული ავზში საწვავი. აი, ამ საწვავმა გადაგვარჩინა. დავბრუნდით თბილისში, სოხუმში მეორე დღეს გავფრინდით. იგივე პილოტები და იგივე თვითმფრინავი იყო. შტაბის უფროსი ისევ ილუმინატორთან ზის. უკვე სოხუმთან ვართ. მოულოდნელად ძლიერი ჭახანის ხმა გაისმა. ვითომც არაფერი. თვითმფრინავი კვლავ აგრძელებს კურსს. შტაბის უფროსი მეუბნება, ალბათ შასი გაიხსნა. ამისთვის საკმაოდ ძლიერი ხმაური იყო. ვიფიქრე, ჟანგი აქვს მოკიდებული და მეტი ხმაური ამიტომ ჰქონდა. დაჯდა თვითმფრინავი. გაიღო ლუკი. ველოდებით, სანამ ტრაპი მოვა. გავიხედე, ადამიანების ძალიან დიდი მასა მოდის თვითმფრინავისკენ. ერთი კი ვიფიქრე, რომ ჩემი ბატალიონი ჯერ არ ღირსებია ასეთ დახვედრას და ნეტა რა ხდება-თქო. რატომღაც ყველა კუდისკენ იყურებოდა. ჩვენც გავიხედეთ, დავინახეთ, რომ თვითმფრინავს კუდი აღარ ჰქონდა. აღმოჩნდა, რომ მას რაკეტა მოხვედროდა. ზუსტად იმ ადგილას, სადაც ძირითადი გამონაბოლქვი ტემპერატურის კრიტიკული მასაა. ეს მატორთან მოშორებით არის. ამან გადაგვარჩინა. გაგვიმართლა იმაშიც, რომ თვითმფრინავს რაკეტა მაშინ მოხვდა, როცა კურსი დაჯდომის ტრაექტორიაზე იყო აღებული.

ნონა ცაბა ე

# სიდედრის გაკეთებული კერძები ძალიან მასუქებს

## ყოფილმა სახალხო დამცველმა ცოლს მუშაობა ალით დააწყებინა

**„ახალი თაობის“ დღევანდელი ნომრის სტუმრები ყოფილი სახალხო დამცველი სოზარ სუბარი და მისი მეუღლე თამთა ყუბანეიშვილი არიან. ინტერვიუ თამთას ახალ სამსახურში შედგა. როგორც შევიტყვეთ, ცოტა ხანია, რაც მან მუშაობა დაიწყო. იქვე ისიც გაგვიმხილა, ეს სოზარის დამსახურებაა, ძალიან უნდოდა, რომ მემუშავა და სახლში არ ვმჯდარიყავიო. წყვილი პირადი ცხოვრების შესახებ საკმაოდ გულახდილად გვესაუბრა. თუ როგორია სოზარ სუბარი არაპოლიტიკურ ამპლუაში, ამას ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ.**

***— თამთა, რადგან მასპინძელი ხართ, მოდით, თქვენთან საუბრით დავიწყოთ. რას საქმიანობს სოზარ სუბარის მეუღლე?***

**სოზარი:**

— როგორც იქნა, გამოვაძევე სახლიდან (იცინის).

**თამთა:**

— რომ იტყვიან, გამომაგდო სახლიდან სოზარმა (იცინის), მაიძულა ყველანაირად, დამეწყო მუშაობა. სულ ვამბობდი, რომ ვერანაირად ვერ ეგუება ჩემს სახლში ყოფნას-მეთქი. მე ვმუშაობ სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტში. არის ასეთი არასამთავრობო ორგანიზაცია და, რომ იტყვიან, ახალი თანამშრომელი ვარ.

***— როგორც ვიცი, სამი შვილი გყავთ. როგორ ახერხებთ მუშაობას?***

— სწორედ ეს იყო ერთადერთი მიზეზი, რატომაც მიჭირდა ამ საკითხის გადაწყვეტა. რამდენჯერმე იყო სიტუაცია, რომ დამეწყო მუშაობა, მაგრამ ყოველთვის უარს ვამბობდი, რადგან ბავშვები პატარები არიან და ეს ძალიან ძნელია.

**სოზარი:**

— სხვათა შორის, პირველ შემოთავაზებაზე სერიოზული შეცდომა დავუშვით: შესთავაზეს, რომ „60 წუთში“ დაეწყო მუშაობა. ჩვენც დავთანხმდით. ახალი შეუღლებულები ვიყავით და რამდენიმე დღეში აღმოვაჩინეთ, რომ ბავშვს ველოდებოდით, პირველ ბავშვს. თამთამ თქვა, „60 წუთი“ ისეთი სანერვიულო საქმეა და იმდენი სარბენია, ახლა მაგას ვერ ვიზამო. ეს ის პერიოდი იყო, როცა „60 წუთი“, პრაქტიკულად, გაჩერდა, აღარ მუშაობდნენ და, მის ადგილას ვინც დაიწყო მუშაობა, თითქმის მთელი წელი იღებდა ხელფასს. ისე, კვირაში ერთხელ თუ შეივლიდა ხოლმე... პირველად ასე დაგვემართა (იცინის).

**თამთა:**

— მე ვთვლი, რომ ის პერიოდი, რაც ვიყავი სახლში, საჭირო იყო ბავშვებისთვის. ახლა უფრო მშვიდად ვარ, ბავშვები წამოიზარდნენ, ოჯახის წევრებიც მეხმარებიან და უფრო ადვილია, თანაც უფროსები ბაღში დადიან, მესამე კი პატარაა, მაგრამ... ახლობლების მხრიდან ხელშეწყობა გვაქვს, სოზარმაც შედარებით მოიცალა.

***— როგორ გაიცანით ერთმანეთი?***

**თამთა:**

— ჩვენი გაცნობაც, რომ იტყვიან, ენჯეოს საშუალებით მოხდა, ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციას ჰქონდა პროექტი, იმდროინდელ სახელმოხვეჭილ და გამოცდილ ჟურნალისტებს უნდა მოემზადებინათ ახალი თაობა.

— პროფესიით ჟურნალისტი ხართ?

— კი, პროფესიით ჟურნალისტი ვარ. იმ დროს ჩვენი ლექტორი იყო აკაკი გოგიჩაიშვილი. მან გვითხრა, რომ ტარდებოდა სამთვიანი ტრენინგი, შეგიძლიათ მოამზადოთ კარგი მასალები, სერიოზული ხელმძღვანელები გეყოლებათო. წავედით რამდენიმე სტუდენტი და აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი ხელმძღვანელი სოზარი იქნებოდა, მეორე — ვახო კომახიძე.

***— რით მოგხიბლათ სოზარმა?***

— ყველაფრით. თავიდან ძალიან მეგობრული და უშუალო ურთიერთობა გვქონდა, ადვილად ამყარებს ადამიანებთან ურთიერთობას და ბარიერები და შეზღუდვები არ გვქონია ურთიერთობაში, როგორც ლექტორსა და სტუდენტს. ჩვეულებრივი ურთიერთობა გვქონდა — გახსნილი, ღია და, რომ იტყვიან, კარგად გავიცანი. მთლიანად ვენდობოდი.

***— ე.ი. ერთი ნახვით შეყვარება არ ყოფილა?***

— არა, ერთი ნახვით არ შეგვყვარებია ერთმანეთი, უბრალოდ, კარგად გავიცანით. ეს პროექტი რომ დამთავრდა, შემდეგ „60 წუთის“ მეორე პროექტი დაიწყო, ერთწლიანი და იქაც ვხვდებოდით ერთმანეთს. თუ რამე მჭირდებოდა, პირველი, ვინც მახსენდებოდა, სოზარი იყო, ყოველთვის მას ვურეკავდი. რომ დამთავრდა ყველა პროექტი და აღარ ვეკონტაქტებოდით ერთმანეთს, მაშინ მივხვდი, რომ რაღაც დამაკლდა.

**სოზარი:**

— მერე საბაბი არ ჰქონდა, მაგრამ მაინც მირეკავდა ხოლმე (იცინის).

**თამთა:**

— გარკვეული პერიოდის შემდეგ ისევ შევხვდით და ვიგრძენით, რომ ერთმანეთი ძალიან გვაკლდა. ამის შემდეგ მალევე შევქმენით ოჯახი.

***— სოზარი იყო სახალხო დამცველი. დღეს ის პოლიტიკაშია. რამდენად მოიწონეთ მისი გადაწყვეტილება?***



— მე ყველა გადაწყვეტილებას მოვიწონებ, სადაც ის იქნება. სოზარი საქმეში ბოლომდე, 100%-ით იხარჯება. მის გადაწყვეტილებას პატივს ვცემ.

**სოზარი:**

— რომ არ მოეწონებინა, ალბათ, ვერც წავიდოდი, რადგან, განა რა უნდა გააკეთო ცხოვრებაში ისეთი, რომ ოჯახზე ძვირფასი იყოს. მეუღლე თუ წინააღმდეგია, ელემენტარულად, ვერ გააკეთებ და არც გამოგივა.

***— თქვენ როგორ ფიქრობთ, სად უფრო რთულია მოღვაწეობა, სახალხო დამცველის რანგში თუ პოლიტიკაში? და, საერთოდ, რატომ მიიღეთ გადაწყვეტილება, პოლიტიკაში წასულიყავით? ბევრისთვის ეს მოულოდნელი იყო...***

— წესით, მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო, რადგან ბოლო ერთი წელი, როდესაც სახალხო დამცველი ვიყავი, სულ ვამბობდი, რომ, როდესაც ხედავ, ქვეყანა ანტიდემოკრატიული გზით ვითარდება და ადამიანის უფლებების დარღვევა იქცა პოლიტიკად, ამის შეცვლის ყველაზე სწრაფი და ეფექტური გზა პოლიტიკაა. ამიტომაც მზად ვიყავი წასასვლელად, თუმცა შეიძლებოდა, არ წავსულიყავი, რადგან შესაძლოა ვერ დამენახა იქ ჩემი ადგილი. როცა იყო ასეთი სერიოზული შემოთავაზება, ჩავთვალე, რომ ამაზე უარის თქმა იქნებოდა ქვეყნისა და ჩემი პრინციპების ღალატი. ბოლო რამდენიმე დღით ადრე გადავწყვიტეთ და შემდეგ გამოვაცხადეთ კიდეც. სიადვილეს რაც შეეხება, ყველა საქმეს ერთნაირი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდო. ახლა ლექციებს ვკითხულობ და ზოგჯერ ლექციაზე მისვლა მერიდება, რადგან დროის სიმცირის გამო ვერ ვასწრებ სათანადოდ მომზადებას, მაგრამ, ცხადია, მაინც გაცილებით მეტი დრო მაქვს, ვიდრე მაშინ, როცა სახალხო დამცველი ვიყავი, ოჯახს საერთოდ ვერ ვხედავდი, პრაქტიკულად, ბავშვებთან ურთიერთობა მიჭირდა. დილით ადრე გამოსული, გვიან ღამემდე ვერ მივდიოდი. განსაკუთრებით მოხსენებაზე მუშაობის პერიოდში თამთა თუ დამირეკავდა და მეტყოდა, მოდი, რა, ბავშვებს უკვე სძინავთ და აღარ შეგიშლიან ხელსო, შეიძლება წავსულიყავი. ახლა ასე აღარ არის.

***— ე.ი. დრო მეტი გაქვთ ოჯახისთვის?***

**თამთა:**

— მაინცდამაინც თავისუფალი დრო არც ახლა აქვს, უბრალოდ, თითო საათი მიამატა დილას და საღამოს.

**სოზარი:**

— რატომ, ახლა შაბათ-კვირაც ხომ მაქვს თავისუფალი? მანამდე თითქმის წარმოუდგენელი იყო, რომ შაბათ-კვირა სახლში გამეტარებინა.

***— რამდენად ყურადღებიანი მეუღლეები ხართ?***

**თამთა:**

— ვართ, შეძლებისდაგვარად. დაბადების დღეები არ გვავიწყდება და სხვა მნიშვნელოვანი თარიღებიც...

**სოზარი:**

— თამთა ზოგჯერ ზედმეტად ყურადღებიანიც არის.

***— თამთა, როგორია სოზარი ოჯახში? როგორი მეუღლეა, როგორი მამა?***

**თამთა:**

— ყველანაირად მეხმარება. არ არის ისე, რომ დაჯდეს ტელევიზორთან ან კომპიუტერთან და ყურადღება არ მიაქციოს ბავშვებს. შეუძლია, მათთან ერთად ითამაშოს, აჭამოს. მამის როლს ძალიან კარგად ასრულებს, საყიდლებზე წასვლაც არ ეზარება.

***— ხშირად კამათობთ? ძირითადად რა საკითხებზე გიწევთ კამათი?***

— მაინცდამაინც ხშირად არ ვკამათობთ, გლობალურ საკითხებზე შეთანხმებული ვართ და, პრინციპში, თანამებრძოლები ვართ. ყოფითი თემები ყველა ოჯახშია, სერიოზული კამათი რომ მოგვსვლოდეს, ასეთი არ მახსენდება.

***— შერიგებისკენ პირველ ნაბიჯს ვინ დგამს?***

**თამთა:**

— მე უფრო, ალბათ, ეს ცოტა ჯიუტი სვანია (იცინის).

***— სოზარი განსხვავებული სვანი ჩანს...***

— რა გითხრათ, მე ვისაც შევხვედრივარ სოზარის ახლობლებსა და ნათესავებს, ყველა კარგი ადამიანია და ყველა მიყვარს.

**სოზარი:**

— არასწორი წარმოდგენა აქვთ სვანებზე.

***— იმის თქმა გინდათ, რომ ანეკდოტები სვანებზე მოგონილია?***

— რომელი ანეკდოტი (იცინის)?

***— რომელი ერთი გითხრათ...***

**თამთა:**

— სოზარს არ უყვარს სვანებზე ანეკდოტები.

**სოზარი:**

— როგორ არ მიყვარს, უბრალოდ, ანეკდოტს გააჩნია.

***— საჩუქრების გაკეთება თუ უყვარს სოზარს?***

— კი, უყვარს და სერიოზული საჩუქრებიც იცის.

**სოზარი:**

— ამას წინათ ერთ-ერთ გაზეთში ვკითხულობდი, თურმე 10 ათასდოლარიანი „ესკადა“ (სუნამო) მიჩუქებია თამთასთვის. ძალიან აღვშფოთდი, როგორ შეიძლება, ასეთი რამე არსებობდეს-მეთქი.

**თამთა:**

— ასეთი ფასიანი საჩუქარი ჯერ არ გაუკეთებია. სოზარის საჩუქრების ღირებულება ძირითადად 40 ევროს ვერ სცდება ხოლმე, სუნამოს კუთხით.

***— როგორი დიასახლისია თამთა?***

— არის რაღაცები, რაშიც დიდოსტატია.

***— რას გამოარჩევდით?***

— სანამ დავქორწინდებოდით, თავს მაწონებდა, მე რომ პიცის გაკეთება ვიცი, ისეთი არავინ იცისო და აკეთებდა კიდეც. ამ ბოლო დროს ამისთვის დიდად ველარ იცლის და მეც არა ვარ პიცისტი. სახლში საჭმელი ყოველთვის არის და თანაც ჩემი გემოვნების დაკმაყოფილება არ არის რთული. წვნიანებიც მიყვარს.

**თამთა:**

— არ არის პრეტენზიული.

***— გურმანი თუა?***

— გურმანი არის.

**სოზარი:**

— კუბდარი ჯერჯერობით ვერ ისწავლა და ამაში ჩემი დის ხელი სჯობია (იცინის).

**თამთა:**

— სვანი რომ არა ვარ, იმიტომ. სვანი უნდა იყო, რომ კარგი კუბდარი გამოგივიდეს.

სოზარი:

— ჯერჯერობით დედამისთან ვერ მივა, რომელიც მართლაც მაგარი მზარეულია. დასავლურ-ქართული კარგი მზარეული რასაც ჰქვია ოჯახში, ამის მაგალითი თამთას დედაა.

***— ე.ი. მოგწონთ სიდედრის ნახელავი?***

**თამთა:**

— დედაჩემი ჩვენთან ცხოვრობდა 2 წელი და კარგად იცის, როგორი ხელი აქვს.

**სოზარი:**

— ერთი მხრივ, კარგია, რომ სულ ერთად არა ვართ, რადგან, როცა ის ჩვენთან არის, ძალიან ვიმატებ ხოლმე წონაში (იცინის).

***— როგორია სიძე-სიდედრის ურთიერთობა?***

**თამთა:**

— ძალიან კარგი. საერთოდ, დედაჩემი ყველას მიმართ კრიტიკულია, შვილების მიმართაც და, ჩვენთან რომ ცხოვრობდა, სოზარის მიმართაც ჰქონდა ხოლმე პატარ-პატარა შენიშვნები (იცინის), ხან ვარცხნილობასთან დაკავშირებით, ეთერში რომ დაინახავდა, იტყოდა, აი, ასე რომ ყოფილიყო, უკეთესი იქნებოდაო და რა ვიცი. ისე, ზოგადად, სულ ცდილობდა, ესიამოვნებინა სოზარისთვის და, თუ რამე არ მოსწონდა, ჩუმად გაუკეთებდა, სოზარი რომ ვერ მიმხვდარიყო. თავიდან, ახალი სიძე რომ იყო, მე რომ ფეხმძიმედ ვიყავი და არ შემეძლო, დედაჩემი ახვედრებდა სადილებს, სალათებს, თანაც — ძალიან ლამაზად გაფორმებულს. სოზარი მოვიდოდა, დაასხამდა მაწონს, აურევდა ამ ყველაფერს და ისე მიირთმევდა. დედაჩემი გამოვიდოდა მეორე ოთახში და მეტყოდა — ვაიმე, ეს რა ქნა (იცინის), ამ ჩემს ლამაზად მორთულს მაწონი მოასხაო. მაწონი უყვარს ძალიან და, საერთოდ, რძის ნაწარმი. ასევე ძალიან უყვარს სვანური მარილი. მარილი მინდაო, რომ იტყვის, ე.ი. სვანური მარილი უნდა.

***— თქვენი კუთხის კერძები ძალიან გიყვართ?***

**სოზარი:**

— კი, მიყვარს. რაც ყველაზე გამორჩეულად მიყვარს, რაზეც ტვინი მეკეტება და რაც, სამწუხაროდ, იშვიათად მაქვს, ეს არის ზისხორა, სვანური კერძი, კუპატის მსგავსი. ასევე ძალიან მიყვარს რძის ნაწარმი — მაწონი, ყველი.

***— ნათესავები თუ გყავთ სვანეთში?***

— კი, ბევრი. მე სკოლა იქ დავამთავრე, დედ-მამა იქ არიან დასაფლავებული. ჩემი ბიძები, ბიძაშვილები, ნაწილი სვანეთშია, ნაწილი ქვემო ქართლშია გადმოსახლებული, კერძოდ, დმანისში. უზარმაზარი სახლი მაქვს სვანეთში, რომელშიც ჩემი ბიძაშვილი ცხოვრობს ამჟამად. ჩვენ ხშირად ჩასვლას ვერ ვახერხებთ. ძირითადად ცუდ ამბებზე მიწევს ჩასვლა. იქ დასასვენებლად ვერ ჩავდივართ. აქამდე სურამში დავდიოდით და ეს ორი წელია, დმანისში დავდივართ. თამთას ძალიან მოეწონა დმანისი, თანაც თავს კარგად ვგრძნობთ, ჩვენს წრეში ვტრიალებთ. მთელი ჩემი ნათესაობა იქ ცხოვრობს. ახლა გავბედეთ და სახლიც კი ვიყიდეთ, სწორედ გუშინ გადავიფორმეთ. კარგი ვარიანტი გამოჩნდა იაფად და შევიძინეთ. ძალიან კარგი ეზო აქვს. ახლა იმას ვფიქრობთ, ვალები როგორ გავისტუმროთ.

***— როგორც ვიცი, პარტიაში ხელფასი არ გაქვთ. ალბათ, არ მიწყენთ, თუ გკითხავთ, რა შემოსავლები გაქვთ, რითი არსებობს თქვენი ოჯახი?***

— პარტიაში არანაირი ხელფასი არ მაქვს. ცოტა დაგროვილი გვქონდა, კიდევ მაქვს რაღაც შემოსავლები.

***— ბიზნესი ხომ არ გაქვთ?***

— არა, არანაირი. ლექციებს ვკითხულობ უნივერსიტეტში, ასევე ტრენინგებს ვატარებ გაეროს ეგიდით და ამაშიც ვიღებ საკმაოდ ნორმალურ ჰონორარს.

**თამთა:**

— მეც მაქვს ცოტა ხელფასი, შეიძლება ითქვას, ამანაც განაპირობა ჩემი სამსახურში გასვლა. ცოტა რთულია დღეს სამი შვილის აღზრდა, მაგრამ მომავლის იმედი გვაქვს. ახლობლებიც გვიდგანან მხარში. სოზარს კარგი სანათესაო ჰყავს, სოფლის პროდუქტებს ხშირად გვიგზავნიან. ამ კუთხის ხალხმა სერიოზული თანადგომა იცის.

***— სად უფრო გიყვართ დასვენება, მთაში, ბარში თუ ზღვაზე? მართალია, მთის შვილი ხართ, მაგრამ მაინც სად გრძნობთ სულიერ კომფორტს?***

— მთა მიყვარს, მიყვარს თოვლი და თხილამურები.

**თამთა:**

— ზღვა არ უყვარს, ბავშვების ხათრით შეიძლება წამოვიდეს. ბაკურიანში როცა ვისვენებთ, იქ სიხარულით ჩამოდის ხოლმე.

***— სპორტით თუ ხართ დაკავებული?***

— სამწუხაროდ — არა, თუ არ ჩავთვლით ზამთარში თხილამურების სპორტს. ზოგჯერ ისე გადის ზამთარი, რომ ამასაც ვერ ვახერხებ.

**თამთა:**

— ამის ოცნებაა, რომ ველოსიპედის დრო ჰქონდეს.

**სოზარი:**

— დრო და კარგი ველოსიპედი.

***— შეგიძლიათ, მანქანა შეცვალოთ ველოსიპედით...***

— არა, თბილისში ვერ შეცვლი, ისეთი მოძრაობის წესებია, რომ, პრაქტიკულად, შეუძლებელია, მეორეც, ისეთი გამონაბოლქვია, ისეთი ცუდი ბენზინია თბილისში, აქ რომ ველოსიპედით იაროს, 5 დღეში გაიგუდება.

# „გიგი უგულავა კაზინოებს აკონტროლებს“

## ციხეებში 49 ათასი პატიმარი ზის

შორენა კოწოწაშვილი

**შევარდნაძის ხელისუფლების აქტიური სახე და კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლის იმიჯით წარმოჩენილი მიხეილ სააკაშვილი, რომელიც საზოგადოების მიერ სწორედ ამ დამსახურებისთვის იქნა მხარდაჭერილი და პრეზიდენტად არჩეული, დღეს სისხლიანი რეჟიმის ავტორად იწოდება და იგივე საზოგადოების უდიდესი უმრავლესობის მიერ აღიარებულია, როგორც სიკვდილის ბრიგადების ავტორი და ანტიეროვნული მმართველი.**

მართალია, საზოგადოების მსგავსი შეფასებები ხელისუფლებას და მის პირველ პირს დიდად არ ანაღვლებს, მაგრამ ფაქტია, რომ სააკაშვილის რეიტინგი მნიშვნელოვნად დაეცა არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ერთ დროს სააკაშვილის თანაგუნდელები და თანამებრძოლები კი დღეს უდიდეს დანაშაულად მიიჩნევენ სააკაშვილის გვერდში დგომას და ლამის ვერც კი პატიობენ თავს, როგორ შეუწყვეს ხელი ამ ადამიანის გალიდერებას.

ასეთი ადამიანი დღეს ბევრია არა მხოლოდ პოლიტიკურ წრეებში, თუმცა ბევრი როდი ბედავს ღიად პრეზიდენტთან და მისი მმართველობის შემნარჩუნებლებთან დაპირისპირებას.

„ახალი თაობის“ სტუმარია ლეილა გაფრინდაშვილი, რომელიც თბილისის საკრებულოს წევრობამდე და სააკაშვილის თანამებრძოლი იყო, როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია „ვაკის გონივრული განვითარების“ წევრი და როგორც წყნეთის მიწების უკანონოდ გასხვისების გამო შევარდნაძის ხელისუფლების მებრძოლი. დღეს ლეილა გაფრინდაშვილი ღიად აცხადებს, რომ წყნეთის მიწათმომწყობი შოთა მეფარიძე, რომელსაც სააკაშვილი, შეიძლება ითქვას, პირდაპირ ეომებოდა, ფრთიანი ანგელოზია სააკაშვილთან და მის მაღალჩინოსნებთან შედარებით, რომლებმაც წყნეთი დაისაკუთრეს.

***— ქალბატონო ლეილა, როგორ დაუახლოვდით სააკაშვილს და რატომ გადაწყვიტეთ მასთან ერთად შევარდნაძის პოლიტიკას დაპირისპირებოდით?***

— მე ვიყავი არასამთავრობო ორგანიზაცია „ვაკის გონივრული განვითარების“ წევრი, რომელიც საინიციატივო ჯგუფის სახით შეიქმნა შევარდნაძის პერიოდში უშუქობით, უგაზობით შეწუხებული ადამიანებისაგან. ჩვენი ჯგუფი მოკლე ხანში ძალიან პოპულარული გახდა და არათუ ვაკიდან, თბილისის სხვადასხვა უბნიდანაც მოდიოდნენ ჩვენთან დასახმარებლად. ეს იყო 1999 წელი, როდესაც საპარლამენტო არჩევნები იყო დანიშნული. იცით, რომ ვაკის მაჟორიტარ დეპუტატად მოქალაქეთა კავშირმა მიხეილ სააკაშვილი წარმოადგინა. ჩვენ პოპულარული ჯგუფი ვიყავით ვაკეში და მოქკავშირის წევრმა და ჩემმა ახლობელმა ზურაბ ცქიტიშვილმა მთხოვა, დახმარება გაგვეწია მიხეილ სააკაშვილისთვის, როგორც პოპულარული და ძალიან მებრძოლი დეპუტატობის კანდიდატისთვის. რადგან სააკაშვილი იმ პერიოდში საკმაოდ ხმაურიან და მნიშვნელოვან განცხადებებს აკეთებდა, გვეგონა, რომ მართლა გულწრფელად დაგვეხმარებოდა იმ პრობლემების მოგვარებაში, რაც ვაკის რაიონს აწუხებდა. ჩვენი ორგანიზაცია მაშინ სააკაშვილს მართლა სერიოზულად დაეხმარა იმ საარჩევნო კამპანიის პერიოდში და სააკაშვილი ვაკის დეპუტატი გახდა. ჩვენ წინასწარ ვიყავით სააკაშვილთან შეთანხმებული, რომ იმ საკითხებთან ბრძოლაში, რაც ვაკის რაიონს აწუხებდა, ის მხარში დაგვიდგებოდა. მრავალ პრობლემათა შორის ერთ-ერთი იყო ბაგებისა და წყნეთის ტყეები. მაშინ ამ მიწების შესყიდვის დიდი ინტერესი იყო და ხდებოდა წყნეთის ტყეების გაჩეხვა. ჩვენ პარალელური ორგანო წყნეთშიც გვქონდა შექმნილი, რომელშიც წყნეთის აქტიური მოქალაქეები შედიოდნენ. ჩვენ ამ ბრძოლის პროცესში ეს ადამიანებიც ჩავრთეთ და დავიწყეთ წყნეთის ტყეების, რეკრეაციული ზონის გადარჩენისთვის ბრძოლა. სააკაშვილისთვის ეს თემა ძალიან საინტერესო აღმოჩნდა. უფრო სწორად, მისთვის ეს ყველაფერი იყო ძალიან მომგებიანი და გადაწყვიტა აქტიურად ჩართულიყო ამ პროცესში. ამით სააკაშვილმა უზარმაზარი პიარი გაიკეთა. მაშინ ჩვენთან ერთად ამ საქმეში ჩაერთვნენ დათა ახალაია და ზურაბ მელიქიშვილი. ისინი წყნეთის ტყეებში დადიოდნენ ფოტოაპარატებით და ტელეკამერებით. განსაკუთრებული ბრძოლა გაჩაღდა შოთა მეფარიძესთან, რომელიც იმ დროს იყო წყნეთის სატყეოს უფროსი. ხდებოდა გზების გადაკეტვა, ტარდებოდა აქციები და ა.შ. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა ნაციონალური მოძრაობა და სააკაშვილი და მისი ჯგუფი ჩვენზე დაყრდნობით აქტიურად ცდილობდნენ, რომ ეს საკითხები მათთვის სასარგებლოდ გამოეყენებინათ. გამოიყენეს კიდეც. შოთა მეფარიძის სახით უცებ დაიხატა საოცარი მტრის ხატი. დღეს რომ ამ ყველაფერს ვაკვირდები, ჩანს, რომ ამათთან შედარებით შოთა მეფარიძე არის ანგელოზი. იმდენად, რამდენადაც თუ მან რამდენიმე ათეული მიწა გაასხვისა მთავრობის დავალებით, დღეს ფაქტობრივად წყნეთი აღარ არსებობს. მაშინ ამ საკითხების მოგვარებაში მხარში გვედგა გამგებელი გია ასათიანი, რომელიც აქტიურად იყო ჩვენთან ერთად და იქ შეხვაშემოხლა რომ მოხდა მეფარიძის ხალხსა და ჩვენ შორის, გია ასათიანი პირველი იყო, ვინც ცემატყეპით გაუმასპინძლდა მეორე მხარეს. რასაც ჩვენ მაშინ ვაკეთებდით, გულწრფელად გვჯეროდა იმისი, რომ ვიბრძოდით ვაკის ფილტვების და საერთოდ, წყნეთის ტყეების გადასარჩენად. არ გვინდოდა განადგურებულიყო ეს რეკრეაციული ზონა. ის სკანდალები, რაც მაშინ პარლამენტში და მთავრობის სხდომებზე ხდებოდა, ჩვენი მონაწილეობით იყო და კეთდებოდა იმისათვის, რომ შოთა მეფარიძე მოეშორებინათ თანამდებობიდან. მაგრამ მეფარიძე არც ისეთი სულელი აღმოჩნდა. ძალიან კარგად ხვდებოდა, რომ ეს იყო მის მიმართ მიმართული ბინძური პოლიტიკური კამპანია და ასე ადვილად არ ნებდებოდა სააკაშვილის ჯგუფს, რომელშიც მეც ვიყავი. ერთი სიტყვით, ჩვენ ამ ბრძოლაში გავიმარჯვეთ. მაგრამ, როდესაც სააკაშვილი საკრებულოს თავმჯდომარე გახდა, შოთა მეფარიძე იმდენად იქნა შევიწროებული, რომ ვერაფრის გაკეთებას ვერ ახერხებდა. ჩვენ ამას ვთვლიდით ჩვენს ერთ-ერთ გამარჯვებად.

***— დღემდე ინარჩუნებს სააკაშვილი ძველ თანამებრძოლებთან კარგ ურთიერთობას?***

— 2003 წლის რევოლუციის შემდეგ, როდესაც სააკაშვილი პრეზიდენტი გახდა, მოხდა საოცრება. ყველა ის ჯგუფი, რომელიც იყო წყნეთში, რომელთაც სააკაშვილი თავის მეგობრებად თვლიდა და მისი აქტიური მხარდამჭერები იყვნენ, რომლებიც არჩევნების პერიოდში სააკაშვილის აქტივისტები იყვნენ, სასწრაფოდ იქნენ დაპატიმრებულები. ჩამოვიდნენ წყნეთიდან და გვითხრეს, ჩვენ ხომ თქვენს გვერდით ვიდექით, რატომ გვიჭერენ და გვაპატიმრებენო. მე დავურეკე ზურაბ მელიქიშვილს, რომელიც დღეს პარლამენტშია და ვთხოვე გარკვეულიყო, რა ხდებოდა და რატომ აპატიმრებდნენ სააკაშვილის თანამებრძოლებს წყნეთში. მელიქიშვილი შემპირდა, ვითარებაში გაერკვეოდა, მაგრამ შემდგომ ტელეფონს საერთოდ აღარ პასუხობდა. ამ ადამიანებს, რომლებიც დღე და ღამე მიშას გვერდით ტრიალებდნენ, ძალიან დიდი ფული დაადებინეს და შემდგომ საპროცესო შეთანხმებებით გამოუშვეს.

***— გია ასათიანმაც ვერ შეინარჩუნა თანამდებობა და როგორც მახსოვს, ისიც დააპატიმრეს. თუ იცით, რა იყო ასათიანის დაპატიმრების მიზეზი?***

— მოგეხსენებათ, ირაკლი ოქრუაშვილი იყო მონადირე. ასათიანსაც უყვარდა ნადირობა. ასე დამეგობრდნენ ასათიანი და ოქრუაშვილი. როცა ირაკლი ოქრუაშვილი დაიჭირეს, ადგნენ და ასათიანიც დაიჭირეს იმ მოტივით, თუ რატომ ნადირობდა ოქრუაშვილთან ერთად. აი, ასეთი კურიოზები იყო იმ პერიოდში. გასახსენებელი ბევრია.

***— სააკაშვილის ოჯახსაც აქვს წყნეთში მიწები?***

— ბაგებში, სტუდქალაქის მოპირდაპირე ტერიტორიაზე, სადაც გადამწვარი იყო და სააკაშვილი ამით უზარმაზარ რეკლამას იკეთებდა, დღეს ეს ტერიტორია სააკაშვილის ოჯახის ხელშია. მაშინ თითით ვაჩვენებდით ტელევიზიებს, ეს ტერიტორია გაყიდულია, ეს გაყიდულია, დღეს ყველა ეს მიწა სააკაშვილის ხელშია. რეკრეაციული ზონა კანონით იყო დაცული და მისი ხელის ხლება იყო დასჯადი. დღეს ეს ტერიტორიები ფაქტობრივად მიხეილ სააკაშვილისა და მისი მთავრობის მიერ აღარ არსებობს. დღეს ეს ტყეები არის გადაჩეხილი, გავერანებული. არც რეკრეაციული ზონაა. ამ ზონას თათი დაადეს სამშენებლო კომპანიებმა, რომლებიც არის გიგა ბოკერიასი და გივი თარგამაძის. მთელ ვაკეში მათი ხალხის მიერ გაჩაღდა სამშენებლო პოლიგონი. იპოდრომი იქნება, მზიური თუ სხვა ტერიტორიები ვაკეში, ყველაფერი სააკაშვილის მოსვლის შემდგომ მისმა თანაგუნდელებმა ჩაიგდეს ხელში. რაც არ უნდა გააკეთო ამ მშენებლობების შესაჩერებლად და როგორი უკანონო მშენებლობაც არ უნდა იყოს, არაფერი გამოგივა. არავის აზრი არ არის გათვალისწინებული. იცით, რომ ბიძინა ივანიშვილმა ვაკის პარკს განახლება გაუკეთა და კეთილმოაწყო ის შენობაც, სადაც ჩვენ მაშინ ოფისი გვქონდა. დღეს ჩვენი ოფისი ნიაზ დიასამიძეს აქვს გადაცემული, სადაც სამიკიტნო აქვს გაკეთებული და დღე და ღამ მიშა, მიშას იძახის. სააკაშვილმა პრეზიდენტად მოსვლისთანავე ერთი ხელის მოსმით ჩამოიცილა ის ადამიანები, რომლებიც მის გვერდით იდგნენ და მის პიარს ხელი შეუწყვეს. ყველა ადამიანი თავის მოღალატედ გამოაცხადა და ოფისებიდანაც გამოგვყარა. იმდენად ვერ იტანს მიშა ვაკეს, რადგან ის ოპოზიციურად განწყობილი რაიონია, რომ ვაკის პარკისკენ არც კი იყურება და დღეს ეს პარკი საოცრად მოუვლელია.

***— თქვენ თქვით, რომ წყნეთის და ვაკის მიწების დიდი ნაწილი სააკაშვილის და მისი ძმების ხელშია. როდის დაისაკუთრა მან ეს მიწები, როცა მეფარიძის წინააღმდეგ იბრძოდა?***

— არა. ეს მოხდა მისი პრეზიდენტობის პერიოდში. მე საპარლამენტო არჩევნების დროსაც ვთქვი საგაზეთო ინტერვიუში ამ ფაქტის შესახებ: როდესაც ვაკის დეპუტატობის კანდიდატი ნაციონალური მოძრაობიდან და გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრი გამცემლიძე იდგა ერთ-ერთ ადგილზე და ხელით აჩვენებდა ტელევიზიებს, ნახეთ, როგორ არის გადაჩეხილი წყნეთის ტერიტორიებიო, მაშინ გამცემლიძე იდგა სააკაშვილის ძმების კუთვნილ ტერიტორიაზე, სადაც ერთი ღამის განმავლობაში მოჭრეს 500-მდე ხე და მიწაში ჩამარხეს. გამცემლიძე კი ხელს ვილაცეებისკენ იშვერდა. დღეს წყნეთის მიწები მიტაცემული, დატაცებულია ვილაცეების მიერ. რა დღეში აგდებენ იქ მცხოვრებ დევნილებს, კარგად იცით. ადგილობრივ მოსახლეობას, რომელსაც შევარდნაძის პერიოდში რაღაც მიწები დაუსაკუთრეს, 600 კვ მეტრის ოდენობით, ისიც წაართვეს. დღეს წყნეთი არის დაჩაჩანაკებული კუთხე ვაკის



რაიონში, ადგილობრივი მცხოვრებლები კი დატერორებულები არიან და ხმის ამოღების საშუალება არა აქვთ.

***— გია ასათიანი მხოლოდ ოქრუაშვილთან მეგობრობის და ნადირობის გამო დააპატიმრეს?***

— დიახ, მარტო ამის გამო. თუმცა ბრალდებაში პროკურატურამ სხვა რამ ჩაწერა. მანამდე თუ ყველაფერი კარგად იყო და ასათიანი არავისთვის არ იყო პრობლემა, რატომ გახდა ის მიუღებელი ოქრუაშვილის დაპატიმრების შემდეგ?! მთელმა წყნეთმა იცის, რომ ასათიანი იმიტომ დააკავეს, რომ სანადიროდ ოქრუაშვილთან ერთად დადიოდა.

***— ქალბატონო ლეილა, თქვენ მიმართაც ხომ არ იყო სააკაშვილის მხრიდან რეპრესიები, შევიწროება? მახსოვს, საკრებულოში ყოფნის დროს თქვენ შედარებით განზე იდექით.***

— მე, საერთოდ, განზე ვიდექი საკრებულომდეც. მე მაქვს ჩემი ცოდვები და მთელი ცხოვრება უნდა მოვინანიო ის ცოდვები, რაც სააკაშვილისადმი ჩემ დახმარებაში გამოიხატება. მაგრამ, როგორც კი თბილისის საკრებულოში შევედი და რაც იქ ჩემმა თვალებმა ნახა, ამან გამაოგნა. მე ვიყავი სამშენებლო და ანტიკორუფციულ კომისიაში მიწვეული. ვიყავი ამ კომისიის წევრი. მე პირადად ვუთხარი სააკაშვილს, ამისთვის თუ მოდიოდით, რას ვერჩოდით შევარდნაძეს? ამაზე უარესი შევარდნაძეს არაფერი გაუკეთებია-მეთქი. ამის შემდეგ ჩემსა და სააკაშვილს შორის დაძაბულობა დაიწყო. რასაკვირველია, მე არასოდეს შემშინებია სააკაშვილის. იმდენად, რამდენადაც ჩემი მიზანი იყო ქვეყნისთვის რაიმე სიკეთე გამეკეთებინა. როცა დავრწმუნდი, რომ სააკაშვილი სიკეთის გამკეთებელი არ იყო, რამდენიმე არასამთავრობომ ბრიფინგი მოვაწყეთ და ვთქვით, რომ ეს არის დამღუპველი ძალა და რომ სააკაშვილის სახით ქვეყნის სათავეში დამღუპველი ძალა მოვიდა. ხალხს მოვუწოდეთ, რომ სააკაშვილისთვის და მისი პარტიისთვის ხმა არ მიეცათ. მაგრამ მაშინ საზოგადოება ისე იყო აღტკინებული, რომ ჩვენს მოწოდებას ყურადღება არ მიაქციეს. ამის მერე ჩვენ გამოგვაძევეს და ოფისის გარეშე დამტოვეს. ამის შემდეგ გადაფასება მოვახდინე, ყველაზე ეროვნულ ძალად ლეიბორისტული პარტია ჩავთვალე და მის წევრი გავხდი. სააკაშვილმა რეპრესიები კი არ განახორციელა ჩვენზე, საერთოდ გადაგვიარა. სააკაშვილი ყოველთვის ცდილობდა ლეიბორისტული პარტიის, როგორც იმ დროს ყველაზე რეიტინგული პარტიის წევრები, თავის მხარეს გადაექაჩა, ამ დროს კი მე მისი მომხრე ლეიბორისტული პარტიის წევრი გავხდი. მისთვის ეს იყო სერიოზული დარტყმა. მინდა გითხრათ ისიც, რომ ვაკეში წართმეული ოფისის სანაცვლოდ ვაკის პარკთან აშენებულ ახალ კორპუსში უნდა მოეცათ ჩვენთვის 50 კვ მეტრი ფართი. დღეს იცით, ვინ არის ამ ფართში? — სააკაშვილის ძმა. მისი ოფისია იქ განთავსებული.

***— ანუ ნანობთ, თავის დროზე რომ სააკაშვილის გვერდით იდექით. ასეა?***

— კი არ ვნანობ, ეს იყო ჩემი ერთ-ერთი ყველაზე დიდი დანაშაული. იმიტომ, რომ მე ვერ გავითვალისწინე ძალიან ბევრი რაღაც მაშინ. დღეს შეიძლება ტომები დაიწეროს იმაზე, რაც მე იმ პერიოდში ნაციონალური მოძრაობისთვის გამიკეთებია. ყველა ვიცი ნაციონალების ლიდერებიდან, როგორ ცხოვრობდნენ, რას ჭამდნენ და რას სვამდნენ, როგორები ჩამოვიდნენ პროვინციებიდან და რა ქონების პატრონები არიან დღეს. მაშინ ლამის შიმშილით იხოცებოდნენ და დახეული ფეხსაცმლით დადიოდნენ, დღეს რომ მილიონებს ვერ ითვლიან.

***— სააკაშვილი აცხადებს, რომ მისმა ხელისუფლებამ კორუფცია დაამარცხა. შეგიძლიათ თქვათ, კონკრეტული გვარები, ვინ რა ბიზნეს-ინტერესები მიითვისა?***

— ის ადამიანები, რომლებიც მაშინ სააკაშვილთან ერთად იყვნენ, დღეს 200 000-იანი მანქანებით დადიან. თითქმის ყველა პროვინციიდან იყო ჩამოსული და არც ერთს ბინა თბილისში არ ჰქონდა. იგივე გივი თარგამაძე ავიღოთ, დღეს რომ ამდენი ქონების პატრონია. იგივე გიგა ბოკერია. კობა ბექაური გახეხილი პალტოთი რომ დადიოდა. მისი ცისფერი პალტო ალბათ ყველას ემახსოვრება. გინდათ ზურა მელიქიშვილი ავიღოთ. კარგად მახსოვს, რა ქონების პატრონი იყო. რომელი ერთი ჩამოგითვალოთ? ყველა იყო ძალიან ხელმოკლე ადამიანი. ნახეთ, რა ქონება იშოვეს ახალაიებმა. ჩამოვიდნენ ზუგდიდიდან, თბილისში ბინაც არ ჰქონდათ.

***— დღეს ამ ადამიანებს საკუთარი ბიზნესები აქვთ?***

— უზარმაზარი ბიზნესები აქვთ. ყველა ბიზნესის წილში არიან ჩამჯდარი. ყველასთვის ცნობილია უგულავას ბიზნეს-ინტერესები სამშენებლო ბიზნესში. წილები აქვს კაზინოებში. ქალაქში თუ ვინმე ინვესტორი შემოდის, ყველას წილშია. ინვესტორებისგან, გზების მშენებლობიდან და ა.შ. იმხელა ფულები ამოქაჩეს, შევარდნაძის ჩინოვნიკებს არც კი დაესიზმრებოდათ. გზების გაკეთება არის ფულის კეთების კარგი საშუალება. ნახეთ თბილისის ბიუჯეტი და მერიის ფონდიდან სად არის გადარიცხული სოლიდური თანხები. ვაკის რაიონში თუ რამე მშენებლობები მიდის, ყველაფერი კეთდება სააკაშვილის სატელიტების მიერ. აქ მშენებლობას ძირითადად აწარმოებს გიგა ბოკერიას მამა, გიგი უგულავა, გივი თარგამაძე, თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი. გახსოვთ, იყო პერიოდი, ვაკეში კვ მეტრი ფართი 3000-4000 დოლარი ღირდა.

***— კეზერაშვილი სამშენებლო ბიზნესშია ჩართული?***

— მისი ცოლია სამშენებლო ბიზნესში. „ვარსკვლავების აკადემია“ რომ ჩამოინგრა და იქ ორი ადამიანი დაიღუპა, სწორედ კეზერაშვილის ცოლის სამშენებლო ფირმის „არტიქსის“ მიერ იყო აშენებული. ყველაფერში, რაც ქვეყანაში შემოდის და რაც ქვეყნიდან გადის, ამათ წილი აქვთ. ისინი თვლიან, რომ მათ ეს ყველაფერი დაიმსახურეს და ეს ქონება მათი უნდა იყოს. გიგა ბოკერიამ მითხრა, ჩვენ რასაც ვაკეთებთ, ასე გვსურს. თქვენ რომ მოხვალთ ხელისუფლებაში, რაც გინდათ, ის გააკეთეთო. ბოკერიას მაშინ შევხვდი, როცა სასწაულები ხდებოდა, გლდანის ეკლესია დაარბიეს, ხალხს სამსახურებიდან ყრიდნენ, ქონებას უნგრევდნენ და ციხეში ყრიდნენ. როგორც გავიგე, დღესათვის 40 000-მდე პატიმარია ციხეში და არა 23 000, როგორც აცხადებენ. ჩემთან მოსულმა ერთმა კაცმა თქვა, გორში კაცი არ არის დარჩენილი ან ჯარში მიჰყავთ, ან ციხეში. თუ ჯარში წასვლაზე უარს იტყვიან, ციხეში მიჰყავთო. ზემოთ მშენებლობებზე ვსაუბრობდით, იცით რა ცემენტით არის აშენებული ახალი კორპუსები — 80 და 100 მარკიანი ცემენტით. ჩვენი სახლი, სადაც ვცხოვრობ და რომელიც 1966 წელს აშენდა, 600 მარკიანი ცემენტით არის აშენებული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რამდენიმე წელში შეიძლება ეს კორპუსები თავზე დაენგრეს ჩვენს მოსახლეობას. გინახავთ, რომელიმე სერიოზული ინვესტორი ჩამოსულიყო აქ და ინვესტიცია ჩაედო? აქ ყველა საეჭვო კაპიტალის მქონე შემოდის და მასაც ეს ხელისუფლება წილში უჯდება. რეალურად აქ რა ფულიც შემოდის ინვესტიციის სახით, ეს არის ამ მაღალჩინოსნების მიერ ოფშორულ ზონებში დაგროვილი ფული. მათ შემოჰყავთ ვიღაც ფირმები, რომლებიც ჩანან და მათ უკან კი სწორედ ესენი მოქმედებენ თავიანთი ბიზნეს-ინტერესებით. როგორ გგონიათ, არაბები აქ ასე ადვილად ჩადებენ ფულს? სადაც ყოველ წუთს ტერორი მიდის და რა დღეშია ბიზნესი.

გააგზავნეთ სმს „ჯეოსელიდან“, „მაგთიდან“, „ბილაინიდან“
ნომერზე 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად
დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს.
ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და
ფონდ „იავნანას“ ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.
შემოგვიერთდით, ერთად დავუბრუნოთ
ბავშვები თავიანთ ოჯახებს!
ფონდი „იავნანა“, გაზეთი „ახალი თაობა“

# საყვარელი ადამიანისთვის ბევრ რამეს დავთმობ

## სასურველ სასი ოდ აღიარებული მამუკა ლომაშვილი დაოჯახებაზე სერიოზულად ფიქრობს

ეკა ირემაშვილი

**ჰუმორისტი მამუკა ლომაშვილი სასურველი სასიძოა. როგორც თავად აცხადებს, ოჯახის შექმნის საკითხი მის ცხოვრებაში უკვე აქტიურად დგას და ეძებს კიდეც სასურველ გოგონას. როგორც თავად ამტკიცებს, მის გვერდით არასოდეს იქნება ქაჯი და უზრდელი მანდილოსანი.**

მამუკა ლომაშვილი:

— ჩემდა საბედნიეროდ, მოზარდებთან აქტიური ურთიერთობა მაქვს. ჩემი სტუდიის წყალობით ბევრ ე.წ. თინეიჯერთან ვკონტაქტობ. მინდა გითხრათ, რომ ძალიან განვსხვავდებით ერთმანეთისგან. ეს ყველაფერი გლობალიზაციამ გამოიწვია. ახლანდელი ბავშვები იმდენად განვითარებული არიან, რომ მაგ ასაკში ძალიან ბევრი რამ პირადად არ ვიცოდი. ბევრი რამ მათგან მომწონს, ბევრი — არა.

***— რა არ მოგწონთ ახლანდელ ახალგაზრდებში?***

— ყველაზე მეტად არ მომწონს მათი დამოკიდებულება უფროსებისადმი. ისინი სულ გაიძახიან, ჩვენი უფლებებიო. კი ბატონო, ყველამ უნდა დაიცვას თავისი უფლება, მაგრამ ყველაფერი ნომრის ფარგლებში უნდა იყოს. ხშირად თინეიჯერები თავისუფლებას სხვაგვარად აღიქვამენ, რაც უზრდელობაში გადადის. სამწუხაროდ, ბევრი შემთხვევა ვიცი ასეთი. ხშირად ისინი ძალიან ზედმეტებში გადადიან.

***— ამ წუთას განსაკუთრებული შემთხვევა გახსენდებათ?***

— ერთმანეთისადმი აგდებული დამოკიდებულება და ცინიზმი ჩემთვის მიუღებელია. სამწუხაროდ, დამკვიდრდა ტენდენცია, რომ ვინც უფრო მეტად „იმარიაჟებს" თავისი სითავხედით, უფრო მაგარი ტიპია. უფროსს შენობით რომ დაუწყებენ ლაპარაკს, ასეთ დროს ვიღაცამ მათ უნდა უთხრას, რომ ასეთი საქციელი კარგი კი არ არის, არამედ სიგოიმეა. ადრე უფროსი რომ რამეს დაგავალებდა, კარგ ჟესტად ითვლებოდა და ჟარგონულად ვიტყვი, „გასატეხი" ნამდვილად არ იყო. ახლა თუ უფროსი რაღაცას დაგავალებს, მოზარდები თვლიან, რომ „გაჩმორებენ". ასეთი ტენდენციაა, რაც ძალიან ცუდია.

***— ახლა გოგონები უფრო აქტიურობენ, ვიდრე ბიჭები. მეთანხმებით?***

— კი, ნამდვილად ასეა. მე გოგონების „რაზბორკას" შევესწარი, გაოგნებული დავრჩი. ასეთი გარჩევა ცხოვრებაში არ მინახავს. არ დაგავიწყდეთ, ეს იყო რელიგიური დღე, ყველას თავზე მანდილი ეფარა, ხელში სანთლები ეჭირათ. ამათი ისეთი ჩხუბი ვნახე, ნუ მკითხავთ.

***— ფიზიკურ ჩხუბს გულისხმობთ თუ სიტყვიერს?***

— ჯერ სიტყვიერი ჩხუბი ვნახე და მერე — ფიზიკურიც. ისეთი გაოგნებული დავრჩი, ხმა ველარ ამოვიღე.

***— ამიტომ დადიხართ უცოლოდ?***

— ჩემმა თაობამ მთელი თავისი ბავშვობა და მოზრდილობის ასაკი ომში გაატარა — ჯერ იყო 1989 წლის 9 აპრილი, ამას დაემატა სამაჩაბლოს ომი, შემდეგ აფხაზეთის ომი, რასაც დაემატა სამოქალაქო ომი. ჩვენ დაჩაგრული თაობა ვართ, ყველანი გადარჩენის ინსტინქტით ვარსებობდით. ამ თაობას მთლიანად ვერ გადავუსვამთ ხაზს, მათ შორის ძალიან ბევრი ნიჭიერი და ზრდილობიანია, მაგრამ უმეტესობა კალაპოტიდან არის ამოვარდნილი. მათ გარშემო იმდენი აგრესიაა, რომ მათთვის ფასეულობები აზრს კარგავს.

***— სასურველ სასიძოთა ხუთეულში ხართ დასახელებული. დაოჯახებაზე არ ფიქრობთ?***

— უი, ეს არ ვიცოდი! ოჯახის შექმნის საკითხი ჩემს ცხოვრებაში უკვე აქტუალურია.

***— დგამთ ამისთვის ქმედით ნაბიჯებს?***

— სურვილი მაქვს, ყოველ შემთხვევაში და მზად ვარ ამ ნაბიჯის გადასადგმელად.

***— ახლა სასურველ ობიექტს ეძებთ?***

— რა თქმა უნდა.

***— გაქვთ კრიტერიუმები, რომლებიც გინდათ დააკმაყოფილოს თქვენმა მომავალმა მეუღლემ?***

— რა კარგად ჩამომიყალიბეთ! ძალიან მინდა, მქონდეს ჩემი კრიტერიუმები, მაგრამ შეიძლება, საქმე საქმეზე რომ მიდგება, რადიკალურად განსხვავებული გადაწყვეტილება მივიღო. მჯერა, რომ ადამიანი გარეგნული ფაქტორით არ უნდა შეაფასო.



***— პირველი ეფექტი ხომ მაინც გარეგნული მხარეა?***

— კი, შეიძლება ადამიანმა გარეგნობით მოგხიბლოს, მაგრამ მხოლოდ ეს არ არის საკმარისი. თუ ადამიანი შენს გულთან და სულთან ახლოს არ მოვიდა, სილამაზე სილამაზედ დარჩება. საყვარელ ადამიანთან რაღაც უნდა გაახლოებდეს, საერთო ინტერესთა სფერო უნდა გქონდეთ.

***— რა შეიძლება დათმოთ საყვარელი ადამიანისთვის?***

— საყვარელი ადამიანის გულისთვის ბევრი რაღაცის გადაწევა შემიძლია უკანა პლანზე.

***— მამაკაცებს რომ არ უყვართ დათმობა?***

— მაგალითად, რა მაქვს, რომ დავთმო? ოჯახის შექმნა ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთგაგებაზეა დამყარებული. თუ ეს წყვილს შორის არ არის, მაშინ იქვე დამთავრებულია ყველაფერი. თუკი ურთიერთნდობა და პატივისცემა არის, დანარჩენი უკვე წვრილმანია და ყველაფერს მოევლება.

***— სიყვარულში იმედგაცრუებული დარჩენილხართ?***

— რასაკვირველია. ვინ იტყვის, რომ — არა. არ ვიცი, შეიძლება თქვან, მაგრამ ჩემს შემთხვევაში ასე არ არის. ხშირად მაქვს იმედგაცრუებები. მხოლოდ სიყვარულზე არ ვამბობ. ცხოვრებაში ყველაფერს რთულად ვაღწევ. ცნობადი სახე რომ ვარ, ყველას ჰგონია, რომ ყველაფერი ადვილად მაქვს. ჩემი გადასახედიდან კი ეს ყველაფერი ძალიან რთულია.

***— იმიტომ, რომ პოპულარული ხართ?***

— პოპულარობა ერთია, მაგრამ ყველაფერს ბევრი შრომისა და წვალების შედეგად მივაღწიე. ხელოვნებაში ძალიან რთულია ადგილის დამკვიდრება მაშინ, როცა, უხეშად ვიტყვი, „კრიშა" არ გყავს. თუ ვიღაცას ორ ცდაში გამოსდის ყველაფერი, მე 50-ჯერ უნდა ვცადო. ცხოვრებაც ეს არის, ფარხმალი არასოდეს უნდა დაყარო და, თუ მოინდომებ, ყველაფერი აუცილებლად გამოგივა.

***— და რამდენჯერაც დაეცემი, ფეხზე უნდა ადგე და ყველაფერი თავიდან დაიწყო?***

— რასაკვირველია. ჩემი დევიზია „და მაინც!" კარგად ვიცი, რა ფასი აქვს, როცა ვიღაც გვერდით გიდგას.

***— აზიატი ქართველი მამაკაცების რიცხვს მიეკუთვნებით?***

— არავითარ დაჯგუფებაში არ შევდივარ, მაგრამ აზიატი ვარ.

***— ანუ ქალი „კუხნაში"?***

— არა, არა და არა. ქალი „კუხნაში", ქალი წინდის მქსოველი და ქალი ხაჭაპურის მცხობელი კარგია, მაგრამ ქალსაც უნდა ჰქონდეს თავისი ადგილი ცხოვრებაში. რა თქმა უნდა, ქალმა ხაჭაპურიც უნდა გამოაცხოს, წინდაც უნდა მოქსოვოს და „კუხნაშიც" უნდა იტრიალოს, თუ ქალი ხარ და განსაკუთრებით, თუ დედა ხარ. ვარ აზიატი და რა ვქნა? აზიატობაში რას გულისხმობთ, არ ვიცი, მაგრამ, უფრო სწორად, ვიცი, რასაც გულისხმობთ.

***— მაინც რას?***

— ჯერ თქვენ მითხარით, რას გულისხმობთ და მერე მე გეტყვით.

***— რაც ახლა თქვით, რომ ქალი „კუხნაში" და ცომში ხელებდასვრილი. ხშირად ქართველი მამაკაცები თავიანთ აზიატობას საყვარელი ქალის ჩაცმასთან მიმართებით ამჟღავნებენ.***

— გულწრფელად გეტყვით, როცა მამაკაცთან ერთად გამოდის ქალი და მას ვულგარულად აცვია, მიმაჩნია, რომ არ არის კარგი ჟესტი. იმაზე არ არის ლაპარაკი, მოკლე ჩაიცვას თუ არა საყვარელმა ქალმა, მაგრამ მთავარია, გამაღიზიანებელი არ იყოს მისი ჩაცმულობა. პრობლემა არ მაქს პირსინგებსა და სვირინგებზე, მაგრამ, ზუსტად ვიცი, რომ არ მომეწონება, იქნება ეს ჩემი რჩეული, საცოლე თუ საყვარელი ადამიანი. ასეთი ვარ და რა ვქნა?

***— თქვენს საყვარელ ადამიანს ტატუ და პირსინგი არ უნდა ჰქონდეს?***

— სხვამ რაც უნდა ის ქნას, მაგრამ ჩემს საყვარელ ქალზე ასეთი რამ ნამდვილად არ მომეწონება და ვერ მივესალმები.

***— თუ პირსინგიანი ან ტატუიანი გოგონა შეგიყვარდათ?***

— როცა შეგიყვარდება, იქ უკვე დამთავრებულია ყველაფერი, მაგრამ ამას ვაქცევ დიდ ყურადღებას და რა ვქნა? აი, ამ კუთხით ვარ აზიატი.

***— ნოდარ დუმბაძეს ეთანხმებით, რომ სიყვარული აბრმავებს, აყრუებს და ამუნჯებს ადამიანს?***

— რა თქმა უნდა. არ გაგიგიათ, როცა კატეგორიულად ამბობენ, ასეთ და ასეთ ადამიანს კატეგორიულად არ დავუკავშირებ ბედსო და მერე ისეთებს შეირთავენ ხოლმე, შეიძლება გამოშტერდე. ეს დაბრმავებაა, აბა, რა არის?

***— მართალია, რომ კაცის გრძნობები და გონება კუჭზე გადის?***

— ეს, საერთოდ, რა შუაშია, ვერ ვხვდები. უბრალოდ, დანაყრებული მამაკაცი უფრო ადვილი მოსათვინიერებელია. დამიყენეთ მშიერი ქალი და როგორ იმოქმედებს იგი? მშიერი ქალები რას აკეთებენ, კარგად ვიცი. ყველაფერი ადამიანზეა დამოკიდებული. შეიძლება, მაძღარიც იყოს, მაგრამ ისეთი რაღაცები გააკეთოს, რომ გამოგაშტეროს. თუ ადამიანი ხარ, შეიძლება ლუკმა არ ჩაიდო პირში, მაგრამ ადამიანად დარჩე.

***— ოჯახის შექმნა უცხოელ გოგონასთან თქვენთვის მისაღებია?***

— ჩემთვის ეს საკითხი პრობლემა არ არის. თვითონ მყავს ამერიკელი სიძე. თავიდან სკეპტიკურად ვუყურებდი, მაგრამ, როცა გავიცანი, რადიკალურად შემეცვალა მასზე წარმოდგენა. ბევრ ქართველს ვერ შევადარებ, იმდენად სხვანაირი ადამიანია. რაც შეეხება ჩემს საკითხს, ამაზე არ მიფიქრია, მაგრამ, არ მგონია, რომ უცხოელზე დავქორწინდე. უბრალოდ, ერთ რამეს მივხვდი — არავინ თქვას წინასწარ არაფერი. მეცინება იმ ადამიანებზე, რომლებიც წინასწარ დოგმებს აყალიბებენ. არავინ იცის, ხვალ და ზეგ რა იქნება. ყველაფერი ღმერთის ნებაა.

***— როგორი გოგონა არ იქნება არასოდეს მამუკა ლომაშვილის გვერდით?***

— ზუსტად ვიცი, რომ უზრდელი, მატყუარა და ქაჯი გოგონა ჩემ გვერდით არასოდეს იქნება. შეგნებულ ადამიანს ვეძებ!

***— ხელოვანს?***

— მოდით, ცოტა ხელოვნების იქითაც გავიდეთ. ყველა ადამიანში უნდა იყოს ხელოვანი, მაგრამ აუცილებელი არაა, მოქმედი ხელოვანი იყოს. ჩემთვის კარგი შემფასებელი უკვე ხელოვანია. არ ვარჩევ გოგონას პოპულარობისა და ცნობადობის კრიტერიუმით. ჩემთვის ეს მიუღებელია. მთავარია ადამიანობა და გულთან მოვიდეს. ხომ გაგიგიათ, „შამომეფეთაო". ასე მინდა დამემართოს.

***— ე.წ. ბოიფრენდისა და გელფრენდის ინსტიტუტი თქვენთვის მისაღებია?***

— საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, თურმე, მერე გამოჩნდა ყველაფერი. მანამდე თურმე სულ პატიოსანი ხალხი ვიყავით, კოჭის ზემოთ კაბა არ ადიოდა და წეროებს მოჰყავდათ ბავშვები. ეს მომენტი ყოველთვის იყო. ბოიფრენდი ქართულად რომ გავშიფროთ ჩვენი მამების ტრადიციამდე — წაწლობამდე მივალთ. უბრალოდ, წაწლობა მთლად ისე არ მთავრდებოდა, როგორც ახლა ბოიფრენდსა და გელფრენდს შორის მთავრდება. ქართველებს ადრე ძალიან კარგი ტრადიცია გვქონდა — გოგონების ადრეულ ასაკში დაოჯახება. როდესაც გოგონა მომწიფდებოდა ბიოლოგიურად გასათხოვრად, მას ათხოვებდნენ და ეს სწორი იყო. თუკი ადამიანი ვერ თხოვდება, როგორ უნდა მოგიბრუნდეს ენა და უთხრა, არა, შენ სიცოცხლის ბოლომდე კდემა იყავიო. ეს ყველას არ შეუძლია. ვისაც აქვს ამის ნებისყოფა და უფლისგან ბოძებული ძალა, ის მონასტერში მიდის. ყველა ხომ ვერ წავა მონასტერში? ეს გასაკვირი არ უნდა იყოს. მაგალითიც ამიტომ მოვიყვანე — ადრე, რა, არ იყვნენ მრუშები? თუ სიტყვა ბოზი საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ გაჩნდა? ყველას თავისი ცხოვრება აქვს და არ მაქვს უფლება, ვინმე განვსაჯო. ვისაც როგორ უნდა, ღმერთმა ისე მოუმართოს ხელი. მე ვინ ვარ, რომ ვიღაცის ცხოვრებაზე ვილაპარაკო და მივუთითო, რა არის სწორი და რა — არა. ჩემს ცხოვრებაზე არ შემიძლია ვთქვა, რამდენად სწორად ვცხოვრობ და სხვისაზე მით უმეტეს არანაირი უფლება არ მაქვს, ვილაპარაკო.

***— ბედისწერის გჯერათ?***

— ნამდვილად მჯერა ბედისწერის, მაგრამ, იმისიც მჯერა, რომ ადამიანს შეუძლია შეცვალოს თავისი ბედისწერა. ღმერთმა მოგვცა არჩევანის საშუალება და ცუდისგან უკეთესობისკენ თავის დაძვრენის უნარი. ადამიანი თვითონ ირჩევს, საით უნდა წასვლა და როგორი ცხოვრებით უნდა ცხოვრება. იმის ნამდვილად არ მჯერა, რომ დავჯდები სახლში, ბედისწერას დაველოდები, ვიღაც მოვა და ყველაფრით უზრუნველმყოფს. ეს ნამდვილი სისულელეა. ნება იბოძე, ადამიანო და გაანძრიე ხელი, გაანძრიე ფეხი, იწვალე და გააკეთე ყველაფერი. ამას, გინდათ, ბედისწერა დაარქვით და გინდათ ხელისწერა. ამ ცხოვრებაში, რაც არ უნდა ბევრი გეხვიოს გარშემო, ადამიანი მაინც მარტოა.

***— დაბოლოს, რას ეტყვით იმ გოგონებს, რომლებსაც სჯერათ, რომ თქვენთან მიმართებით თუნდაც ერთი პროცენტი შანსი აქვთ?***

— ვაიმე, ეგ რა მითხარით! ყველას ბედნიერებას, სიკეთეს და ძალიან ბევრ სიხარულს ვუსურვებ. ყველაფერს კარგს ვუსურვებ, რა ვქნა, დამაბნიეთ! ყველას დიდი მადლობა, მაგრამ, კარგად დაფიქრდნენ, ხომ არ შეცდნენ?!

# ლადო გურგენიძემ „სახალხო ბანკის" ახალი გუნდი წარადგინა

შორენა გონგლა ე

საქართველოს სახალხო ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს აღმასრულებელმა თავმჯდომარემ და გენერალურმა დირექტორმა, ლადო გურგენიძემ, გუშინ სახალხო ბანკის მენეჯმენტის გუნდის ახალი წევრები წარადგინა. გურგენიძის განცხადებით, ახალი გუნდის თითოეულ წევრს როგორც ქართულ, ასევე საერთაშორისო ბანკებში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს.

—ჩვენ დღეს წარმოვადგინეთ ბანკის მენეჯმენტის ახალი გუნდი, რომელსაც შეემატა 16 პროფესიონალი, შეემატა სხვადასხვა წამყვანი ქართული ბანკებიდან, ისევე, როგორც რამდენიმე წამყვანი უცხოური დიდი ბანკიდან, რამდენიმე ადამიანი ახლახან დაბრუნდა საქართველოში. ეს საკმაოდ სასიამოვნოა, რომ ქართველი პროფესიონალები ბრუნდებიან სახლში და აგრძელებენ მოღვაწეობას. გარდა ამისა, ცხადია, რომ ჩვენ სახალხო ბანკში დაგვხვდა პროფესიონალების ძალიან დიდი ჯგუფი და ჩვენ ერთად განვახორციელებთ ყველა იმ მიზანს და გეგმას, რომელიც ბანკს გააჩნია. რაც შეეხება ბანკის სტრატეგიას, ცხადია, ჩვენ გავაგრძელებთ განვითარებას, როგორც უნივერსალური საბანკო ინსტიტუტი, — განაცხადა ლადო გურგენიძემ.

გიორგი არველაძემ და ლექსო ლიპარტელიანმა სახალხო ბანკის დირექტორის თანამდებობა დაიკავეს. გიორგი არველაძე ლონდონიდან ახლახან დაბრუნდა საქართველოში. ლექსო ლიპარტელიანი კორპორატიულ საბანკო საქმიანობას გაუძღვება, ტატო ჩანტლაძე სახალხო ბანკში იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილის როლს შეასრულებს. დათო მელიქიძე დაინიშნა დირექტორის მოადგილედ ფინანსურ დარგში. როგორც ლადო გურგენიძემ აღნიშნა, მას დიდი გამოცდილება აქვს წლიური ანგარიშების, ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსური ბაზრების საზედამხედველო რეგულატორის მოთხოვნის, შესაბამისობის მიმოხილვის, შემოწმებებისა და შესაბამისობის პროცედურებში. მელიქიძეს ასევე მიღებული აქვს ბაკალავრის ხარისხი კავკასიის ბიზნეს სკოლიდან და იგი არის ამერიკის შეერთებული შტატების საბუღალტრო სტანდარტების სერთიფიცირებული საჯარო ბუღალტერი.

სანდრო რთველაძე დაინიშნა კორპორატიული და სამერჩანტო საქმიანობის თანადირექტორად. მას მიღებული აქვს მაგისტრის ხარისხი ბიზნესის ლონდონის ბიზნეს სკოლიდან. კორპორატიული და სამერჩანტო საქმიანობის თანადირექტორად დავით ვერულაშვილი დაინიშნა, ის 2008-2009 წლებში იყო კორპორატიული საბანკო დეპარტამენტის ხელმძღვანელი პროკრედიტ ბანკში; 2006-2008 წლებში მუშაობდა საქართველოს ბანკში კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო საქმიანობის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილედ, ვერულაშვილს ასევე მიღებული აქვს მაგისტრის ხარისხი ინფორმატიკისა და საწარმოების მენეჯმენტში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. საკრედიტო რისკების დეპარტამენტის დირექტორად დაინიშნა თემურ აბულაძე. როგორც გურგენიძემ აღნიშნა, მას ხანგრძლივი გამოცდილება აქვს საკრედიტო რისკების მართვაში, იგი საქართველოს ბანკში სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა: იყო საკრედიტო რისკების მართვის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, ასევე საკრედიტო რისკების ანალიზის განყოფილების უფროსი 2000-2001 წლებში.

პირადი ბანკირის მომსახურების ჯგუფის ხელმძღვანელად მანანა აკობია დაინიშნა, აკობია საქართველოს ბანკში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდა, მას მიღებული აქვს ბაკალავრის ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირებაში კავკასიის ბიზნეს სკოლიდან.

მარკეტინგის დეპარტამენტის დირექტორად ნინო ონიანი დაინიშნა, სტრუქტურირებული პროდუქტების დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობას შოთა დეკანოსიძე იკავებს. დეკანოსიძე ბანკში მისვლამდე, 2001-2007 წლებში, საქართველოს ბანკში სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა, მათ შორის დოკუმენტური ოპერაციებისა და ვაჭრობის დაფინანსების პროექტების კოორდინატორად და დოკუმენტური საქმიანობის განყოფილების უფროსად. მიღებული აქვს მაგისტრის ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირებაში გაერთიანებული სამეფოს ჩესტერის უნივერსიტეტიდან.

თემურ ირემაშვილი სახალხო ბანკის შვილობილი საბროკერო კომპანიის „ლიბერთი სიქიურითის" დირექტორად დაინიშნა.

შესყიდვების დეპარტამენტის დირექტორად ლევან ჩაჩუა დაინიშნა. გიორგი კაციტაძე ბანკის უსაფრთხოების სამსახურს უხელმძღვანელებს. კაციტაძე ასევე ხელმძღვნელობდა საქართველოს ბანკის უსაფრთხოების სამსახურს. ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს აღმასრულებელი თავმჯდომარისა და გენერალური დირექტორის ადმინისტრაციის ხელმძღვანელად თამუნა მაჭავარიანი დაინიშნა.

ლევან ჩაჩუა დაინიშნა შესყიდვების დეპარტამენტის დირექტორად, თავმჯდომარისა და გენერალური დირექტორის ადმინისტრაციის ხელმძღვანელად. ალექსი ხოროშვილი კი ბანკის აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობას იკავებს.

ლადო გურგენიძე ახალი გუნდით კმაყოფილია და იმედოვნებს, რომ მათი მუშაობა კიდევ უფრო ნაყოფიერი გახდება.

# წმინდა გიორგის სახით ღმერთმა საქართველოს მფარველი ანგელოზი მოუვლინა

## 23 ნოემბერს გიორგობას მარტო ქართველები აღნიშნავენ

ნათია ხურცილავა

**ქართველი ხალხი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს წმინდა გიორგის. ეს წმინდანი განსაკუთრებით უყვართ, მისი სახელობის 365 ტაძარია საქართველოში. წმინდა გიორგი, ღვთისმშობელთან ერთად, ჩვენი ქვეყნის მფარველია.**

გვესაუბრება წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესიის მოძღვარი, დეკანოზი მამა გიორგი სხირტლაძე.

*— მამა გიორგი, გვიამბეთ წმინდა გიორგის ცხოვრებისა და მისი მოწამეობრივი აღსასრულის შესახებ...*

— წმინდა გიორგი მე-3 საუკუნის მეორე ნახევარში კაბადოკიაში, მდიდარ ქრისტიანულ ოჯახში დაიბადა. მამამისი მოწამეობრივად აღესრულა. დაქვრივებულმა დედამ შვილის ქრისტიანულად აღზრდა განაგრძო. ჭაბუკი გიორგი რომის ლაშქარში განმწესდა მხედრად. ახოვანმა, მამაცმა და უშიშარმა მეომარმა მალე იმპერატორ დიოკლიტიანეს ყურადღება მიიპყრო. მან რაზმის უფროსად დანიშნა გიორგი და მხედართმთავრის მაღალი წოდებაც უბოძა. კერპთაყვანისმცემელმა იპერატორმა თავისი გამგებლობის ბოლო წლებში სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ქრისტიანობას. მან სრული თავისუფლება მიანიჭა ქრისტეს მიმდევრების დასასჯელად მმართველებს. ეს რომ შეიტყო გიორგიმ, გაათავისუფლა თავისი მონები, ქონება გლახაკთ დაურიგა, საჯაროდ აღიარა ქრისტიანობა, სენატში გამოაცხადა და ყველას მოუწოდა, ჭეშმარიტი სარწმუნოება მიეღოთ. „მე მონა ვარ ქრისტესი, ღმრთისა ჩემისა და მსასოებელი მისი. საკუთარი ნებით წარვმსდგარვარ თქვენ წინაშე, რათა ვეწამო ჭეშმარიტებისთვის“. თავისი მხედართმთავრის ამ კადნიერი სიტყვით თავზარდაცემულმა დიოკლიტიანემ სცადა დაერწმუნებინა იგი, რომ განდგომოდა ქრისტეს და მსხვერპლი შეეწირა კერპებისთვის. წმინდანმა უთხრა: „ვერავითარი ამასოფლიური დიდება ვერ შეანელებს ჩემს სურვილს, რომ ვემსახურო ჭეშმარიტ ღმერთს“. განრისხებულმა მეომრებმა შუბის კვრით დააპირეს გაყვანა, მაგრამ წმინდანის სხეულზე შეხებისას რკინა რბილდებოდა და იდრიკებოდა. საპყრობილეში დიდი ლოდი და ბორკილები დაადეს, ნაწამები იმპერატორს წარუდგინეს. განრისხებულმა დიოკლიტიანემ ბრძანა, ყელზე მძიმე სატანჯველით ეწამებინათ. დიდი მოწამე მბრუნავ ბორბალზე დააკრეს, რომლის ქვეშაც წვერბასრი რკინისმახვილებიანი ძელი დაუდეს. დიოკლიტიანემ იფიქრა, რომ იგი უკვე აღესრულა და ბრძანა, სხეული ბორბლიდან ჩამოეხსნათ. ამ დროს სასწაული მოხდა, უცებ ჩამობნელდა და ჭექა-ქუხილი დაიწყო. მაღლიდან ხმა მოისმა: „ნუ გეშინიან, გიორგი, მე შენთან ვარ“. ბორბალთან უჩვეულო ნათლით მოსილი ჭაბუკი გამოჩნდა, ხელი შეახო მოწამეს და უთხრა: „გიხაროდენ“. წმინდა გიორგი სრულიად უვნებელი წამოდგა. დიოკლიტიანემ როდესაც ნახა ცოცხალი გიორგი, თვალებს არ დაუჯერა. იმპერატორის განკარგულებით, წმინდა გიორგი ღრმა ორმოში ჩააგდეს და თავზე გახურებული კირი დააყარეს. სამი დღის შემდეგ წმინდანი ისევ უვნებელი იყო. იმპერატორის ბრძანებით, ლურსმნებგაყრილი რკინის გავარვარებული ჩექმები ჩააცვეს და ცემით წაიყვანეს საპყრობილემდე. წმინდანს ორი სისხლით სავსე თასი შეასვეს. პირველ თასს ის მორჩილი უნდა გაეხადა, მეორეს კი უნდა მოეკლა. დიოკლიტიანემ წმინდანს დაავალა, ქრისტიანობის ჭეშმარიტების დასამტკიცებლად მიცვალებული აღედგინა მკვდრეთით. მიწა იძრა, საფლავი გაიხსნა და მიცვალებული მკვდრეთით აღდგა. ამის შემდეგ კიდევ შესთავაზა დიოკლიტიანემ ქრისტეს უარყოფა წმინდანს, მაგრამ ამის პასუხად მან კერპებისთვის ჯვრის გარდასახვა მიიღო. დიოკლიტიანემ წმინდა გიორგი სიკვდილით დასაჯა. ანდერძის თანახმად, წმინდანის სხეული პალესტინის ქალაქ რამალაში დაკრძალეს, შემდეგ კი ქალაქ ლიდიაში გადაასვენეს. წმინდა გიორგი 30 წლის ასაკში ეწამა.

***— ეკლესია წმინდა გიორგის ხსენებას ორჯერ, 6 მაისს და 23 ნოემბერს დღესასწაულობს. 23 ნოემბერი მისი ბორბალზე წამების დღეა. როგორც ვიცით, 23 ნოემბერი, როგორც „ქართული დღესასწაული“, ისე მოიხსენიება. რატომ?***

— მართლაც, ქართულ კალენდარში 23 ნოემბერი აღნიშნულია, სხვა მართლმადიდებელი ეკლესიის კალენდარში არ არის აღნიშნული. 6 მაისი მისი თავის კვეთის, ანუ გარდაცვალების, მიწიერი ცხოვრების დასასრულის დღეა. რა თქმა უნდა, ორივე თარიღი საგულისხმოა ჩვენთვის, განსაკუთრებით საქართველოში, რადგან წმინდა გიორგი ჩვენი ერის მფარველი ანგელოზია. ისე, როგორც თითოეულ ადამიანს, ასევე ყველა ერსაც ჰყავს თავისი მფარველი ანგელოზი, განსაკუთრებით ისეთ მართლმადიდებელ ქრისტიან ერს, როგორიც ქართველი ერია. საქართველოს ღმერთმა მფარველი ანგელოზი მოუვლინა, ყოველი ბოროტებისგან დამცველი. განსაკუთრებით პატივცემულია საქართველოში წმინდა გიორგი, როგორც ჩვენი პატრონი წმინდანი. ამიტომ მისი ბორბალზე უმძიმესი წამების დღე, პირველი მკვლელობის დღე, 23 ნოემბერს აღინიშნება, რამდენჯერაც მოკლეს წმინდა გიორგი, იმდენჯერ გაცოცხლდა, ღმერთმა მკვდრეთით აღადგინა. ერთ-ერთი ყველაზე დიდი საშინელი წამება, მიწიერი განსაცდელი ბორბალზე წამება იყო, რომლის დროსაც მან სიცოცხლისთვის არაადეკვატური ჭრილობები მიიღო, მაგრამ ღმერთმა აღადგინა. საოცარია ბოროტი ძალების, ამ შემთხვევაში დიოკლიტიანეს სულიერი სიბრმავე და სიბნელე, როდესაც ის მკვდრეთით აღმდგარ ადამიანს ხედავს და მაინც არ სწამს ქრისტე. საოცარია ღვთის სასწაულები წმინდა გიორგის ცხოვრებაში აღსრულებული, რომელიც მეტყველებს და მოწმობს, თუ რა შეუძლია ღმერთს, რა გარდაქმნა, რა მეტამორფოზა, როგორ შეუძლია, მომავალი მკვდრეთით აღდგომა მოასწავოს. ასეთი სასწაულებით მიწაზე მოასწავებს მომავალ მკვდრეთით აღდგომას. ბრძოლებისა და განსაცდელების ჟამს განსაკუთრებით გვახსენებს წმინდა გიორგი თავისი მოღვაწეობით იმ სულიერ გამოცდილებას, რომელიც ეკლესიამ დააგროვა. იმისთვის, რაც დღეს ჩვენთვის თითქოს თავისთავად ცხადია, იმ საიდუმლოებებისთვის, რასაც მართლმადიდებელი ეკლესია აღასრულებს, ეკლესიამ ზღვა სისხლი დაღვარა, რომ ჩვენამდე ასეთი ცხადი ჭეშმარიტებები მოეტანა.

***— დიოკლიტიანე ხედავს ღვთის სასწაულებს, მაგრამ მაინც არ სწამს ღმერთი. შეიძლება ეს პარალელი გავავლოთ თანამედროვე ადამიანთან?***

— საოცარია ურწმუნო ადამიანის პარადოქსული უარისმყოფელობა, შეუვალობა, უფანჯრობა. საოცარია იმ ადამიანის დევიზი, რომელიც ბნელ სარდაფშია ჩასული, თვალები აქვს დახუჭული და ამბობს, მზე არ არსებობსო. საოცრად პარადოქსულია ქრისტეს არმიღება. ჯერ კიდევ სახარებისეული ისტორიით, როდესაც ფარისევლები ხედავდნენ აშკარად აღსრულებულ სასწაულებს, საოცარი იყო მათი წინააღმდეგობა ჭეშმარიტებისა. ამას სულიწმინდის გმობაც ჰქვია, როდესაც ადამიანმა იცის, რომ ღმერთი არსებობს, იცის, რომ კეთილია, სასწაულს ახდენს, მაგრამ ჯიუტად თეთრზე შავს ამბობს და არ იღებს. ეს ღვთის გმობა და მკრეხელობის უმაღლესი ფორმაა. მცირედ მორწმუნეც კი საოცრად განსხვავდება სრულიად ურწმუნოსაგან. ურწმუნო არის ტლანქი, უხეში, მოუქნელი. ის ემსგავსება იმ ხეს, რომელიც შიგნიდან არის გამოფიტული, შეიძლება დიდი იყოს, მაგრამ უცებ დაბერილმა ქარმა, განსაცდელმა გადატეხოს წელში, ხოლო მადლით დარბილებული, თითქოს სუსტი და რბილი მცენარე, უფრო ჩვილი ხე (ადამიანი) შეიძლება გადაიხაროს, მაგრამ ისევ გაიმართოს, რადგან მადლით არის დარბილებული. პარადოქსულია იმ ადამიანთა გულების ამღვრეულობა და შეუვალობა, რომელიც იწვევს ღვთის ნების უცნობელობას. განა არ შედის ღვთის ნება ყველაში? ურწმუნოშიც შედის, მაგრამ მისი ამღვრეული გული საკუთარ დაცემულ ნებასა და ბოროტის ნებას შორის ღვთის ნებას ვერ იძიებს, რადგანაც ამღვრეულ წყალში ვერაფერს პოულობს, ბნელ ფანჯარაში ვერაფერს ხედავს, ვერავითარ პეიზაჟს, ვერავითარ სივრცეს. მისი სულიერი ჰორიზონტი დახშულია. საოცარია დღევანდელ დღესაც ადამიანთა უგრძნობელობა. ვიმეორებ, სრულიად ურწმუნო რადიკალურად განსხვავდება თუნდაც მცირედ მორწმუნისგან, როგორც მძინარე მღვიძარისგან. მღვიძარე შეიძლება ფეხზე ამდგარი არ არის, ჩაცმული არ არის, მაგრამ ის ადეკვატურია, ნათელზე მის თვალებს რეაქცია აქვთ, როგორც ყვავილი, მზის სინათლისკენ არის მიმართული. როდესაც ადამიანს სძინავს, ძნელია ადეკვატური ზომების მიღება, რადგან ის ძილის დროს ვერანაირ რეაქციას ვერ ახდენს.



ყოველი ერი თავისი ცხოვრებისა და ბრძოლის განმავლობაში გარკვეულ სულიერ გამოცდილებას აგროვებს. არც ერთ ერს არ ეპატიება ისე გადახრა მართლმადიდებელი სარწმუნოებიდან, როგორც ჩვენ. არც ერთი არ ისჯება ისე, როგორც ჩვენ ვისჯებით. ჩვენ ძალიან დიდი გამოცდილება დავაგროვეთ ბოროტებასთან ბრძოლისა, ბევრი განსაცდელიც მიგვიღია და ბევრი დახმარებაც ღვთისგან. იმდენად დიდი მადლი დააგროვა ჩვენმა ერმა, რომ ამას ზოგჯერ ხილული სახეც ჰქონდა.

***— განწირულია ასეთი ადამიანი თუ ხსნა მაინც არის?***

— არა, რა თქმა უნდა, განწირული არ არის. უნდა ვიცოდეთ, რომ მისიის, ჯვრის გარეშე არც ერთი ადამიანი არ იბადება. არათუ ადამიანი, არამედ ყოველი ქმნილება გარკვეული მისიითა და აზრით არის დაბადებული. ეს ყველაფერი კანონზომიერია. ჩვენთვის არის ხოლმე შემთხვევითობა და გაუგებრობა. ეს ღვთის კანონზომიერებაში ჩაუხედაობის გამო გვეჩვენება. ყველა ადამიანს თავისი ჯვარი აქვს, მაგრამ იყენებს ადამიანი მისთვის ღვთის ხატად და მსგავსად მიცემულ უნარებს წალმა თუ არ იყენებს? ნებისმიერ ადამიანს ღმერთი შანსს აძლევს მართლმადიდებელ ეკლესიაში მოსვლისას, სულიერი გამოღვიძებისას, ცოდვისაგან განწმენდისას, კათარზისისას, თეოზისისას (განღმრთობა). საბედნიეროდ, ღვთის ნება ყველაზე მოქმედებს, როგორც წვიმს მართლებსა და ცოდვილებზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგი ჭურჭელი თავდახურულია და ეს წვიმის ბრალი არ არის. თუმცა, ეკლესია ამბობს, ნებისმიერი ადამიანი ახალგაზრდობაში თუ სიბერეში, სიცოცხლის დასაწყისში თუ ბოლოში, სამწუხაროდ, ზოგი იმქვეყნად არ არსებობს, რომ ღვთის არსებობის ფაქტის წინაშე არ დადგეს. რეალობა რეალობად რჩება. მორწმუნე ამას აღიქვამს, შესაბამისად, ურწმუნო კი — როგორც ილუზიას. ურწმუნო ადამიანში არის ისეთი სულიერი გაუხეშება, რომ ლამის დიოკლიტიანეს მიემსგავსოს. რა თქმა უნდა, უფალი მოწყალეა, უყვარს მონანული ცოდვილი და სწყალობს მართალს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თუ ადამიანი ცოდვებში მკვიდრობს, ის მაინც ქრისტესია. ღმერთი ყველას გადახრის, მაგრამ არავის აძალებს, მოუწოდებს, მაგრამ ადამიანის ნებაზე ძალადობას არ ახდენს. ადამიანის გულის კარი შიგნიდან იღება. გულის გასაღები ჯვარია, რომელიც ღმერთმა მოგვცა ჩვენ. კარის გაღებას ზოგი გამტვრევას ეძახის, ზოგი კი — პატარა გასაღებით გაღებას. ამ შემთხვევაში გასაღები ჩვენთვის მოცემული ჯვარია. გული არასოდეს რჩება ცარიელი ან შედის მასში სული წმინდა და ივანებს მამა, ძე და სულიწმინდა ან მასში სხვა რეალობა შედის, ამ მხრივ ის შეიძლება სხვა ძალების მარიონეტი გახდეს. ამიტომ, მე ვიტყოდი, რომ დიოკლიტიანე ფარისეველთა დინასტიის სულიერი მემკვიდრეა, რომლებმაც ქრისტე აცვეს ჯვარს. ის ამიტომ აღასრულებს „შესანიშნავად“ იმ ბნელ მოვალეობას, რომელიც მას ჰქონდა. დიოკლიტიანე ღვთის სასწაულების მიუხვედრელობის გამო კი არ აკეთებს ამ ბოროტებას, არამედ ეს არის გაცნობიერებული ცოდვა. ამ მხრივ მისი ცოდვა ორმაგდება.

***— მამა გიორგი, გაცნობიერებული ცოდვა ორმაგი ცოდვაა?***

— ცოდვა, ბოროტება, რომელსაც ადამიანი შეგნებულად აკეთებს, ორმაგდება და ათმაგდება. ისიც უნდა ითქვას, რომ დღეს არცოდნა ლამის სათნოებად აქციეს. „არცოდნა არცოდვააო“, ამბობენ. დიოკლიტიანე არცოდნის გამო არ აკეთებს. მან შესანიშნავად იცოდა და გრძნობდა, რასთან და ვისთან ჰქონდა საქმე, მაგრამ იგი შეგნებულად ებრძოდა, როგორც შავი მაგიის ადეპტი. დღეს ამ აპოკალიპტურ დროში არცოდნა განსაკუთრებული ცოდვაა.

***— ქართველებისთვის რა დატვირთვა აქვს წმინდა გიორგის? ვიცით, რომ წმინდა გიორგი ხილულადაც და უხილავადაც ეხმარებოდა ქართველებს ომში. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ყოველი მეორე კაცი გიორგია საქართველოში...***

— ყოველი ერი თავისი ცხოვრებისა და ბრძოლის განმავლობაში გარკვეულ სულიერ გამოცდილებას აგროვებს. არც ერთ ერს არ ეპატიება ისე გადახრა მართლმადიდებელი სარწმუნოებიდან, როგორც ჩვენ. არც ერთი არ ისჯება ისე, როგორც ჩვენ ვისჯებით. ჩვენ ძალიან დიდი გამოცდილება დავაგროვეთ ბოროტებასთან ბრძოლისა, ბევრი განსაცდელიც მიგვიღია და ბევრი დახმარებაც ღვთისგან. იმდენად დიდი მადლი დააგროვა ჩვენმა ერმა, რომ ამას ზოგჯერ ხილული სახეც ჰქონდა. ღვთის დახმარება მოდის, მაგრამ ზოგჯერ ამას ერი ვერ იღებს, ვერ აცნობიერებს, რომ ეს ღვთის დახმარებაა. ჩვენი გონება რომ გახსნილიყო და ღვთის ახლობლობა გვეგრძნო, ამ დახმარებას ხილული სახეც ჰქონდა. ზოგჯერ ბრძოლაში წმიდა გიორგის დახმარებას ხილული სახე ჰქონდა. როგორც წესი, უფალი, პირველ რიგში, უხილავად გვეხმარება, მაგრამ გააჩნია განსაცდელს, რისი გადატანა უწევს ერს. ამიტომ შესაბამისი მსხვერპლიც მოეთხოვება, ანუ ღმერთი შესაბამის მსხვერპლს ითხოვს. ქრისტიანობა მსხვერპლის ავტორიტეტზეა აგებული. ქრისტე არის ის პირველი მღვდელთმთავარი, რომელიც იყო შემწირველი, შეწირული და შესაწირავი და ამ შესაწირის მიმღებელიც. ქრისტიანობა მსხვერპლის რელიგიაა, მაგრამ სიყვარულის, სინანულის მსხვერპლის. ღმერთი ჩვენგან ითხოვს ადამიანურ, ქრისტიანულ გულს, რომელიც მონანულია. რამდენადაც ერი შეესაბამება სახარებისეულ სტანდარტებს, ამდენად დახმარება-განსაცდელი, ცოდვა-მადლი ჩვენზე ამდენად ირეკლება. ჩვენი პატრონი წმინდანი ასევეა ღვთისმშობელი. არც ერთ ერს არა აქვს ისეთი ახლობლობა ღვთისმშობელთან, როგორიც ქართველს. არც ერთ ქვეყანას ზეციური დახმარების, გამოწვდილი ხელის ისეთი ნიშნები არ უგრძვნია, როგორიც საქართველოს. დღეს ჩვენ ვცხოვრობთ თითქმის აპოკალიპტურ დროში. მე ვურჩევდი ადამიანებს, რომ იოანე ღვთისმეტყველის „აპოკალიფსი“ ანუ „მეორედ მოსვლის გამოცხადება“ წაიკითხონ. ამ გზაზე, რაზეც ჩვენ ვდგავართ, შეწევნა ღვთისა უფრო ცხადი და გაცნობიერებული გახდება. დღეს, როდესაც ადამიანი უამრავ ალტერნატივას აწყდება, მარჯვნივ წავიდეს თუ მარცხნივ, ამ ტრანსპორტში ჩაჯდეს თუ იმ ტრანსპორტში და ა.შ. დღეს, როგორც არასდროს, გვჭირდება განწმენდილი გული, რომ ცხადად გამოვარჩიოთ ღვთის ნება, ჩვენში შემომავალი, თუ რა უნდა ამ ეტაპზე ჩვენგან ღმერთს, რას ითხოვს ჩვენგან უფალი, როგორც ცალკეული მორწმუნეებისაგან, ასევე მთლიანად ერისგან.

***— როგორ უნდა აღნიშნოს მართლმადიდებელმა ოჯახმა გიორგობის დღესასწაული? არიან ოჯახები, რომლებიც ამ დღესასწაულზე მხოლოდ ქეიფით შემოიფარგლებიან. თქვენ რას ურჩევთ ამ ხალხს?***

— ეს დღესასწაული ყოველთვის დაკავშირებულია წირვასთან, ლოცვასთან, სიხარულთან, სულიერ ზეიმთან და არა აღვირახსნილ ღრეობასთან და სისხლიან მსხვერპლთან, თითქმის წარმართულ დონემდე დასულ ცხოველების შეწირვასთან, რომელიც, უკეთეს შემთხვევაში, ძველი აღთქმის გადმონაშთია, უარეს შემთხვევაში კი წარმართობაა. უკეთესი იქნება, ნაკლები ყურადღება დაეთმოს დღესასწაულის პომპეზურობას, უფრო შინაგანი დღესასწაული უნდა იყოს. დღესასწაულების მხოლოდ გასტრონომიული, გარეგნული ტიპის აღნიშვნებისგან უნდა გამოვიდეთ. თვითანალიზის, სულიერი გამოცდილების, ზიარების, ერთმანეთის თანაგანცდის, ერთმანეთის შეწევნის, დარღვეული სულიერი ბალანსის, მთლიანობის აღდგენისკენ უნდა იყოს მიმართული ყველა დღესასწაული, თუმცა არ შეიძლება, მხოლოდ სულიერად აღვნიშნოთ გიორგობა. ჩვენ მიწაზე ვიმყოფებით და ადამიანს აქვს როგორც სული, ისე — სხეული. სხეულებრივი, ხილული სახითაც უნდა იქნეს აღნიშნული გიორგობა, მაგრამ, თუ პირველ ადგილზე არ იქნება მისტიკური, მართლმადიდებლური წირვა-ლოცვა, როგორც უმაღლესი ფასეულობა, ჩვენი ადგილიდან დაძვრა გაჭირდება. ყოველი გიორგობა ჩვენი სულიერი კალენდრის მნიშვნელოვანი დღეებია. ეს არის ის ბარომეტრი ჩვენი იმ სულიერი მდგომარეობისა, რომელშიც ერი და მისი შემადგენელი ინდივიდები იმყოფებიან.

# იუმორისტები ყველაზე მოწყენილი ადამიანები ვართ

## საქართველოში ყველაფერს ეშველა ფეხბურთის გარდა

გერა მამულაშვილი

**„სიცილის ქართველი დედოფალი", — ამ სათაურით ინტერვიუს მზია კვირიკაშვილთან უკრაინული გამოცემა „დონეცკის საინფორმაციო რესურსები" აქვეყნებს. „ახალი თაობა" მასალას მცირედი შემოკლებით გთავაზობთ.**

— რას ვაკეთებთ, როდესაც გვიჭირს? ან ვტირით, ანდა...მართალია, ვიცინით. ვკითხულობთ ანაკდოტებს, „კომედი-კლაბისგან“ ვერ მოგვაცილებთ, ვიხედებით „მრუდე სარკეში“ და იუმორისტებს ნამდვილ „ანშლაგს“ ვუწყობთ.

ასეთ „ანშლაგში“ ვნახე სწორედ პირველად მზია კვირიკაშვილი. ის საბავშვო ბაღის მუსიკალური მუშაკის როლში იყო, როიალზე ბრწყინვალედ უკრავდა და პატარებთან საუბრისას ზუსტად ხატავდა არა მარტო საქართველოს პრობლემებს, არამედ მთელ ჩვენს პოსტსაბჭოთა ყოფას სასაცილოს ხდიდა. დარბაზი ცრემლებამდე ხარხარებდა! მე ვუსმენდი მახვილგონივრულ, ნაპერწკლოვან, არტისტულ მზიას და წარმოდგენაც კი არ შემეძლო, რომ ოდესღაც პირადად შევხვდებოდი ამ საინტერესო მსახიობს. მაგრამ ცხოვრება საოცრად არაპროგნოზირებადია. თბილი შემოდგომის ერთ საღამოს უცხო ენების ინსტიტუტის მასწავლებელმა ნინო ტორონჯაძემ დამირეკა:

— ჩვენთან გორლოვკაში სტუმრად მეგობრებთან ძალიან საინტერესო ადამიანები არიან. გინდათ შეხვდეთ? ხუთსართულიანი „ხრუშჩოვკის“ შესასვლელში ნინო გამომცდელად იღიმოდა:

***— შეგიძლიათ გამოიცნოთ, რომელ ბინაში უნდა შევიდეთ?***

უშეცდომოდ ვრეკავ სწორედ იქ, სადაც საჭიროა, რადგან კარს იქით აშკარად

## ისრაელში იმდენი ქართველია, რომ ებრაელები უკვე ქართული აქცენტით ლაპარაკობენ.

ქართული სამზარეულოს გემრიელი სუნი იგრძნობა. კარი გამოვიცანი იმიტომ, რომ საქართველო ჩემს გულში უკვე დიდი ხანია და მტკიცედ ცოცხლობს. ამ ქვეყანაში ორჯერ მომიწია ყოფნა. 1977 წელს „ენგურჰესის“ მშენებლობაზე აფხაზურ ჯვარზენში, ხოლო 1984 წელს ახალგაზრდა მწერლების საკავშირო კონკურსზე „მსოფლიოს ფანტანსტიკა მშვიდობისთვის ბრძოლაში“, რომლის ჟიურის ხელმძღვანელიც უდიდესი ნოდარ დუმბაძე იყო.

დავეხეტებოდი სამეგრელოს მთებში, „მზიურის“ ნორჩ მომღერლებს ვუსმენდი, შოთა რუსთაველის პროსპექტზე ვსეირნობდი, მცხეთის ტაძრის უძველეს ქვებს ვეხებოდი, საოცარ სპექტაკლებს ვუყურებდი პატარა, მაგრამ მთელს მსოფლიოში ცნობილ რეზო გაბრიაძის მარიონეტების თეატრში. და კიდევ — ცეცხლოვან ქართულ კერძებს მივირთმევდი, რომლის გასინჯვის მერე ცოტათი ქართველი ხდები!

საქართველოს სიცილის დედოფალი ზღურბლთანვე ისე შეგვხვდა, როგორც ძველ მეგობრებს, რადგან ჩვენ ძალიან ბევრი საერთო გვაქვს: ქვეყანა, რომელშიც ჩვენ გავიზარდეთ და რომლის ნამსხვრევებშიც ამჟამად ვცხოვრობთ. კულტურა, რომელიც ბევრ თაობაში ერთმანეთს შეერია. უნიჭო პოლიტიკოსები, რომლებიც ძველმა კომუნისტურმა ლიდერებმა გამოზარდეს და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, რომელიც შეეხო „უცნობ ბომჟებს“, „უბრალო“ ოლიგარქებს და უდიდეს არტისტებსაც.

მზია არაჩვეულებრივი ადამიანია. საქართველოში მისი მონაწილეობის გარეშე არც ერთი იუმორისტული საღამო არ ტარდება. ის ქართული ფილარმონიის პროექტის „იუმორინას“ აქტიური მონაწილეა. ქვეყნისთვის რთულ პერიოდში ცრემლების ფასად დადებითად მუხტავდა თავის მსმენელს და მათ უკეთეს მომავალ დროებაში არწმუნებდა. მზია წერს ლექსებს, მუსიკას, ხატავს, გადაღებულია „მოსფილმში“ სამველ გასპაროვთან კინოსურათებში „რა ხდება სახლში, როგორ არის საქმეები?“ და „რისკის გარეშე“; კიდევ რეჟისორ ანდრეი მეზენცევთან ფილმში „ოლგა და კონსატანტინე“. 2008 წლის ბოლოს რუსეთში ქართველების კავშირმა მოსკოვში საკუთარ თანამემამულეებს წინასაახალწლო საჩუქარი გაუკეთა: მზია კვირიკაშვილთან შეხვედრას ორგანიზება გაუკეთა. ის უბრალოდ ბრწყინავდა და მსმენელებს ერთ რამეში არწმუნებდა: ათასი პრობლემების მიუხედავად, ცხოვრება მშვენიერია და საოცარი.

მისი კარიერა იწყებოდა შორეულ 1985 წელს, გორკში სასაუბრო ჟანრის მსახიობების საკავშირო კონკურსზე.

**საუბრობს მზია კვრიკაშვილი:**

— მე სცენაზე უკვე ახალბედა აღარ ვიყავი, რა თქმა უნდა, ბევრს გამოვდიოდი საქართველოში, იშვიათად მიღებდნენ კინოში, მაგრამ ასეთ ამპლუაში, სერიოზულ კონკურსში მონაწილეობა არ მიმიღია. ჟიურიში ევგენი პეტროსიანი და ბორის ბრუნოვი იყვნენ. 60-70-იან წლებში ამ კონფერანსიეს პოპულარობა ძალიან მაღალი იყო. თითქმის ისეთივე, როგორიც რაიკინს ჰქონდა. დღეს ძალიან ბევრი ცნობილი მსახიობისთვის ის ერთგვარი საესტრადო მამა გახდა: ბრუნოვი რომ არ ყოფილიყო, ისინი შესაძლოა დაკარგულიყვნენ. ხოლო ბორის სერგეევიჩს შეეძლო მათი გამოსვლების გაერთიანება, მიწოდება და გაყიდვა. მაყურებლები მსახიობების გამოსვლებს შორის მის გამოჩენას მოუთმენლად ელოდნენ. ხოლო კონკურსანტებს შორის იმ წელს იყვნენ სვეტლანა როჟკოვა, საშა ცეკალო, ვალენტინ კორკინა და ვიქტორ ოსტროუხოვი, ელენა სტეპანენკო. ოსტროუხოვები მაშინ გამარჯვებულები გახდნენ, ხოლო მე და ელენამ მეორე და მესამე ადგილები დავიკავეთ. მე ერთადერთი ვიყავი, ვინც პროგრამა საკუთარი რესპუბლიკის ენაზე წარვადგინე. ეს მსმენელებისთვის გასაგები რომ ყოფილიყო, ტექსტი შევარჩიე ცეკვების, მუსიკის და პანტომიმის ელემენტების თანხლებით...



***— როგორ მოხდა, რომ ყველანი, ვისთანაც თქვენ იმ წელს ერთად კონკურსში მონაწილეობდით, ძალიან ცნობილი ადამიანები გახდნენ, ხოლო თქვენ საქართველოს ფარგლებს გარეთ ცოტანი თუ გიცნობენ?***

— სამწუხაროდ, ასე მოხდა. კონკურსის შემდეგ უმალვე მოსკონცერტში კონტრაქტი შემომთავაზეს, მაგრამ ვიფიქრე, ვიფიქრე და ... სახლში გავემგზავრე.

***— რატომ?***

— არ გავრისკე. მაშინ ჯერ კიდევ არავინ ფიქრობდა, რომ კავშირი ასე სწრაფად დაინგრეოდა. თბილისში მე ქვეყნის კულტურული ცხოვრებისგან მოწყვეტილად თავს არ ვგრძნობდი. იქ მქონდა ბინა, მყავდა დედა, შვილი. საჭირო იყო, რომ ყველაფერი ეს მიმეტოვებინა. მაშინ ისე გამოიყურებოდა, რომ ეს უფრო მისაღები გადაწყვეტილება იყო...

***— დღეს ნანობთ ამის შესახებ...***

— ზოგჯერ ვნანობ. ძალიან მიყვარს ჩემი ქართველი მაყურებელი, ისინი მადლიერი ადამიანები არიან, რომლებიც მზად არიან, რომ კონცერტებზე იცინონ და იტირონ. მაგრამ ...დღეს საქართველოში საკონცერტო მოღვაწეობით თავის გატანა ძალიან ძნელია.

***— და რას გთავაზობდათ მოსკოვი?***

— ერთი პერიოდი რეგინასთან „ანშლაგში“ გამოვდიოდი. შემდეგ იყო ორწლიან კონტრაქტზე წინადადება და ტური დსთ-ს ქვეყნებში. მაგრამ ეს თითქმის კაბალური შეთანხმება იყო. ძალიან ბევრი და დაძაბული მუშაობა იყო საჭირო, მგზავრობები, სასტუმროები, მოუწესრიგებლობა... მე უკვე აღარ ვარ ახალგაზრდა ადამიანი და ჯანმრთელობაც ძველებური აღარ მაქვს, ინფარქტი გადავიტანე. ძალიან მსურდა დავთანხმებულიყავი, მაგრამ კვლავ უარი ვთქვი.

***— მაგრამ თქვენ ხომ კონცერტების გარეშე არ შეგიძლიათ?***

— არ შემიძლია. ამიტომ — ვმუშაობ დიასპორასთან. მე თანამემამულეები სხვადასხვა ქვეყნებში მიწვევენ. ვიყავი აშშ-ში, ისრაელში, ესპანეთში, საბერძნეთში, გერმანიაში, თურქეთში, ბულგარეთში, რუსეთში და, რა თქმა უნდა, უკრაინაში. ყველგან, სადაც კი ჩემი თანამემამულეები ცხოვრობენ. მაგრამ ეს, როგორც წესი მცირე, კამერული აუდიტორიაა. სამაგიეროდ, ძალიან თბილი და მადლიერებით აღსავსე! ადამიანებს დიდი ნოსტალგია აქვთ და ისინი საქართველოდან ამბებს, სიახლეებს დიდი სიხარულით ღებულობენ.

***— გაქვთ თუ არა დღეს ისეთი, რითაც საქართველოში ამაყობთ?***

— დიახ, რა თქმა უნდა! პრობლემები ძალიან ბევრია, მაგრამ რასაც არ უნდა ამბობდნენ დღეს ჩემს ქვეყანაზე, ჩვენთან მთლად ასე ცუდად არ არის ყველაფერი. სოფლებში ახალი სკოლები იხსნება, თბილისი ლამაზდება: კარგად განათებულია, ბევრი ახალი, არქიტექტურით გამორჩეული შენობებია. ყველა ახალი პოლიციური განყოფილება მინისგან არის აშენებული, რომლის შიგნითაც ე.წ. „აბეზიანიკებს“ ვერ დაინახავთ. საგზაო პოლიციელები ჩვენთან ყველანი ახალ ფორმებში არიან, ახალ მანქანებზე, კეთილგანწყობილები და კომპეტენტურები. მანქანებსაც ჩვენში უკვე აღარ იპარავენ. კორუფციაც ჩვენში აღარ არის. საერთოდ არ არის. ეს როგორც ილფ და პეტროვს აქვთ ებრაულ საკითხში: „...ებრაელები არიან, ხოლო საკითხი არა“. ასე რომ: ქართველები არიან, ხოლო კორუფცია არა. ქრთამებს არსად არ იღებენ. ყველაფერი სალაროს საშუალებით, მისი გავლითაა. პრეტენზიების გრძელ სიაში, რომელსაც ოპოზიცია პრეზიდენტს წარუდგენს, ეს პუნქტი არ არსებობს.

სამხრეთ ოსეთიდან დევნილებისთვის

**„ადამიანების გასაცინებლად ი ულება გაცილებით ნელია, ვიდრე ატირება!“**

სოფლები გააშენეს. ისინი, რა თქმა უნდა, არქიტექტურით გამორჩეულნი არ არიან, უბრალოდ, ერთსართულიანი სახლების რიგებია, თითოეულში ერთი ოჯახი ცხოვრობს. ორი ოთახი, სამზარეულო ავეჯით, მაცივრით და სარეცხი მანქანით. სააბაზანო. ვრცელი ქვის სახლების შემდეგ, რომლებიც, სხვათა შორის, საძირკვლამდე დაანგრიეს, რა თქმა უნდა, ეს საჩუქარი არ არის, მაგრამ ვისაც სურდა, მიიღეს, ბუნებრივია, უფასოდ. ხოლო ვინც არ მოინდომა, ფული მიიღო ბინების თუ სახლების საყიდლად რაიონებში. ბათუმის საქალაქო ცენტრი და სანაპირო ნებისმიერი ევროპული კურორტისთვის დიდი პატივი იქნებოდა. თეთრი სახლები კოლონიალურ სტილში, რამდენიმე კილომეტრის სიგრძის ბულვარის ხაზი ფანტანებით, ახალი ვაგზალი და აეროპორტი, ისინი ჩვენ თურქებმა აგვიშენეს.

თბილისში ფიზიკოსების მეხუთე კონფერენცია ჩატარდა და ესტონურ-ქართული მეგობრობის ფორუმი გაიმართა. ქართველი ქალები კვლავაც ლიდერობენ ჭადრაკში. ხოლო ფლორენციაში სამეცნიერო ფორუმიც კი ჩატარდა ქართულ ხელოვნებაზე; პროექტს მხარი დაუჭირა ფლორენციის მერმა, მაქს-პლანკის ხელოვნების ისტორის ინსტიტუტმა და რემუალდო დელ ბიაკნოს ფონდმა. აი, მხოლოდ ფეხბურთში საქართველოს ნაკრები ისევე აგებს ყველასთან, ვისაც არ უნდა შეხვდეს!

***— რაზე იცინიან დღეს საქართველოში?***

— ო! ჩვენთან ყველანი განსხვავებულად ხუმრობენ! საქართველო პატარაა, მაგრამ აქ ბევრი განსხვავებული ხალხი ცხოვრობს და თითოეულს საკუთარი გაგება აქვს იმისა, თუ რა არის სასაცილო. მე ნომრები მაქვს სხვადასხვა ჯგუფებისთვის. „გურული მინდორში“, „ოსის ქორწილი“, „ცისფერი ხევსურეთში“, „მეგრელი და ქურდი“, „ოსი და მილიცია“, „კახელს ბავშვი გაუჩნდა“...იმ კონკურსის შემდეგ სხვადასხვა ძალიან ცნობილმა მწერლებმა-იუმორისტებმა საკუთარი ტექსტები მაჩქეს, მაგალითად, ტრუშკინმა. მე ვუფრთხილდები ამ საჩუქრებს და მათ შემოქმედებითად ვიყენებ, მაგრამ ბოლო დროს ბევრს ვწერ ჩემთვისვე. ვმოგზაურობ ქვეყანაში, დეტალებს და ხუმრობებს ვარჩევ. მიყვარს ქვეყნის ნებისმიერი კუთხური კილოს შემოქმედებითი გააზრება, ხოლო რუსული აუდიტორიისთვის — განსხვავებული აქცენტებია. ეს ძალიან სასაცილოდ გამოდის. აჭარლები, სვანები, მეგრელები — ყველანი განსხვავებულად საუბრობენ, განსხვავებულად და სხვადასხვა რამეებზე იცინიან. ვფიქრობ, რომ ენების, სახეების, შემოქმედების მრავალფეროვნება — ჩვენი ქართული კულტურული დალოცვა და სიმდიდრეა.

***— არის თუ არა ქართულ ტელევიზიაში საკუთარი იუმორისტული პროგრამები?***

— რა თქმა უნდა არის. მაგრამ ყველაზე საინტერესო პროექტი — არასატელევიზიოა, თუმცა მას, ბუნებრივია, რომ ტრანსლირებენ. 2000 წლიდან თბილისში ფილარმონიის დიდ დარბაზში ყოველწლიურად ტარდება „იუმორინა“, რომელიც ჯემალ ბაღაშვილმა დააარსა.

***— თქვენ საკუთარი ამპლუა გაქვთ?***

— დიახ. სცენაზე მე ჩვეულებრივი ქართველი ქალი ვარ, რომელსაც აქვს ოჯახი, ჰყავს ბავშვები, ქმარი. პრობლემები ბევრია; ეს ყველაფერი სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ცხოვრებისეულ პირობებში გამოვლინდება. მაგალითად, მყავს მეგობარი-ჟურნალისტი. ელემენტარული სახსარი რომ ჰქონოდა, ის უქმე დღეებში ბაზარში რაღაცით სავაჭროდ მიდიოდა. ხოლო ჩვენში კრიზისი საწარმოებს ძალიან სწრაფად პრობლემებს უქმნის და ხშირად აუქმებს კიდევაც. შედეგად მას მოუწია ხუმრობა: სანამ ბაზარში ვიდექი, ჟურნალი დახურეს და მე გამყიდველად დავრჩიო. რა თქმა უნდა, სამწუხარო ხუმრობაა... ამჟამად მასთან პოეტები საკუთარ წიგნებს ყიდიან, ხოლო გვერდით ვაჭრობენ ექიმები, პროფესორები... ყველანი ქუჩებში გავიდნენ, რათა საკუთარი ოჯახები გამოეკვებათ. ამაზე ტირილიც სავსებით შეიძლებოდა, მაგრამ მე ვხუმრობ — და ამაზე ყველანი იცინიან...

***— და რა აერთიანებს თქვენს მსმენელებს სხვადასხვა ქვეყნებში?***

— იცით, ერთი ასეთი ქართული ხუმრობაა: საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც თუ გზას აცდები და გამვლელს ჰკითხავ, საით წახვიდე, ის აუცილებლად გეტყვის: „აქეთ!“ და საკუთარ სახლს გიჩვენებთ. აი, ეს აერთიანებს ყველა ქართველს მსოფლიოში. და კიდევ: ადამიანებს ყოველთვის უყვარდათ და უყვართ კიდევაც საკუთარ პოლიტიკოსებზე სიცილი.

***— თქვენ მთელი მსოფლიო შემოიარეთ. სად არის დღეს უკეთესი ცხოვრება?***

— პასუხი ერთმნიშვნელოვანია: ყველგან ცუდი მდგომარეობაა! რადგანაც კრიზისია — ეს კი პოლიტიკოსების ცარიელი სიტყვები არ არის. აი, ვიყავი ისრაელში. იქ იმდენად ბევრი ქართველია, რომ ჩვენ ვხუმრობთ: ებრაელები უკვე ქართული აქცენტით საუბრობენო. მაგრამ ბოლო დროს მათთანაც უბრალოდ პრობლემებია: უმუშევრობა, ფასები იზრდება, ხელფასები ყველას მოუჭრეს და ასეა ყველგან. საზღვარგარეთ კარგად მხოლოდ ტურისტები არიან. მუშაობა ყველგან გაძნელებულია და დღეს ყველგან ნაკლებს იხდიან. არც ერთ ქვეყანაში მთავრობა უბრალო ადამიანების გასაჭირზე რეალურად არ ფიქრობს. ყველანი საკუთარი პრობლემებით ერთი-ერთზე არიან...

***— რაღაც ძალიან მხიარული საუბარი ჩვენ არ გამოგვდის...***

— თქვენ იცით, რომ ცხოვრებაში იუმორისტები ყველაზე მოწყენილი ადამიანები არიან — მოწყენილი არლეკინები?!!ჩვენ გულში იმდენი ადამიანური ტკივილი გვაქვს! მაგრამ...ფარდის უკან ცრემლს მოიწმენდ და სცენაზე მანათობელი ღიმილით გამოდიხარ, დარბაზს აიძულებ, რომ გაიცინონ. ჯერ კიდევ ჩაპლინი ამბობდა, ადამიანების გასაცინებლად იძულება გაცილებით ძნელია, ვიდრე ატირება!

... და ის მიღიმის ჯადოსნური ღიმილით და მაიძულებს გავიხსენო, რომ „მზია“ ქართულად მზეს ნიშნავს!

# ამერიკაში 70 წლის ბანკების მძარცველს ეძებენ



გფბ-ის აგენტები გამწარებული ცდილობენ დააკავონ ბოროტმოქმედი, რომელმაც სამი თვის განმავლობაში ხუთი ბანკი გაძარცვა. ეჭვმიტანილი დამნაშავე, სავარაუდოდ, 70 წელს არის გადაცილებული.

ამ მამაკაცს მეტსახელად „მოხუცი ბანდიტი" უწოდეს.

გამოძიებას მიაჩნია, რომ ხანდაზმული დამნაშავე არც იუმორის გრძნობას არის მოკლებული. ერთ-ერთ ბანკზე თავდასხმის დროს მას ჟანგბადის ნიღაბი ეკეთა.

უკანასკნელად იგი კალიფორნიის ქალაქ სან დიეგოს ბანკს ეწვია. ხანდაზმულმა მამაკაცმა პისტოლეტის მუქარით ნაღდი ფული მოითხოვა, შემდეგ დანაშაულის ადგილიდან ფეხით მიიმალა.

ინფორმაციისათვის, რომელსაც შედეგად დამნაშავის დაჭერა მოჰყვება, პოლიცია 16 ათას დოლარს იხდის.

გარეგნული აღწერილობის თანახმად, მძარცველი დაახლოებით 70 წლისაა, გამხდარი და წვერგაუპარსავი.

ერთ-ერთ ბანკში იგი გარე დაკვირვების კამერამ დააფიქსირა.

წესრიგის დამცველების ვარაუდით, მოხუცი მძარცველი შეიარაღებული და სახიფათო შეიძლება იყოს.

# ქურდმა მაღაზიის ფანჯარაში 11 საათი გაატარა

პორგუგალიის პოლიციამ დააკავა უიღბლო დამნაშავე, რომელმაც ქურდობის მცდელობის დროს მაღაზიის ფანჯარაში საცვლების ამარა გაჭედვა მოახერხა და რამდენიმე საათის განმავლობაში სეირის მოყვარულებს ართობდა.

დამნაშავე, რუმინელი გასტარბაიტერი „ხაფანგში" 11 საათის განმავლობაში ფართხალებდა. პოლიციამ მისი გათავისუფლება რის ვაივაგლახით მოახერხა.

აღსანიშნავია, რომ მოქალაქეები მის გათავისუფლებას არც კი ცდილან და მხოლოდ სეირით ტკბებოდნენ.

მაღაზიის გაქურდვის ეს კურიოზული და წარუმატებელი მცდელობა პორგუგალიის სამხრეთით მდებარე ქალაქ ალმანსილში მოხდა. 22 წლის რუმინელმა მაღაზიის ვიწრო სარკმელში შეძრომა სცადა, მაგრამ გაიჭედა. თავის გათავისუფლება სცადა, მაგრამ მხოლოდ ის მოახერხა, რომ უფრო მაგრად გაიჭედა და თანაც შარვალიც ჩასძვრა.

პოლიციელების თქმით, ეს შემთხვევა მათი მდიდარი პრაქტიკისთვისაც უჩვეულო გამოდგა.

ხშირად ქურდები მაღაზიაში კი აღწევენ, მაგრამ გარეთ გამოსვლას ველარ ახერხებენ. დანაშაულის საწყის ეტაპზე ფიასკოს მოწმენი პოლიციელები პირველად გახდნენ. ქურდმა ფანჯრის ხაფანგში 11 საათი გაატარა. დილით იგი სუპერმარკეტის პატრონმა აღმოაჩინა, რომელმაც მეხანძრეებსა და პოლიციელებს გამოუძახა. ამ უკანასკნელებმა იგი მაღაზიაში „შეტენეს", სადაც მას პოლიციელები ელოდნენ.



შემთხვევითი მაყურებლები ამ სცენას აშკარა კმაყოფილებით ადევნებდნენ თვალს. დამნაშავის გარეთ გამოყვანისას მას უკვე შარვალი ეცვა.

პორტუგალიის პატარა ქალაქი ალმანსილი თავისი სამეთუნეო ნაწარმით არის ცნობილი, რომელსაც ტურისტები ხალისით ყიდულობენ. აქვე მდებარეობს კვინტა დო ლაგოს და ვალე დო ლობოს კურორტები.

# „დღის ლამაზმანი" მეცნიერებათა დოქტორი აღმოჩნდა



ყოფილმა მეძავმა, მემუარების ავტორმა, რომელიც შემდეგ ტელესერიალის „გამოძახების გოგონას საიდუმლო დღიური" სცენარს დაედო საფუძვლად, ვინაობა გაამჟღავნა — იგი მეცნიერებათა დოქტორი აღმოჩნდა.

ყოფილმა მეძავმა, ვისი მემუარების მიხედვითაც ბრიტანეთში პოპულარული ტელესერიალი გადაიღეს, ვინაობა გაამჟღავნა — იგი მეცნიერებათა დოქტორი აღმოჩნდა.

პროფესორი ბრუკ მანიატი მემუარებს „დღის ლამაზმანის" ფსევდონიმით წერდა. მემუარებში იგი აღწერდა თავის კლიენტებს, ვისაც იგი ელიტური მეძავის სახით ემსახურებოდა. მეძავობით აღებული ფულით იგი დოქტორანტურაში სწავლების ფულს იხდიდა და შემდეგ დისერტაცია დაიცვა.

34 წლის მასწავლებელმა განაცხადა, რომ სიმართლის დამალვა აღარ შეეძლო და ნამდვილი სახელი ამიტომ გაამხილა. მისი თქმით, იგი ძლიერ სტრესს განიცდიდა იმის გამო, რომ ყველას ატყუებდა.

ჟურნალისტებსა და მემუარების მოყვარულებს დიდი ხანია აინტერესებდათ, თუ ვინ იმალებოდა „დღის ლამაზმანის" ფსევდონიმის უკან. ავტორის ვინაობით დაინტერესება სერიალის გადაღების შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა.

პროფესორი მანიატი ამჟამად ბრისტოლის კვლევით ინსტიტუტში მუშაობს, ბავშვების ჯანმრთელობის სპეციალისტია. მისი თქმით, მეძავად გახდომა იმიტომ გადაწყვიტა, რომ ესაჭიროებოდა სამუშაო, რომელიც სწავლების გასაგრძელებლად საკმარის დროს დაუტოვებდა.

ორმაგ ცხოვრებას ყველასგან საიდუმლოდ ინახავდა, მას შემდეგაც კი, რაც ინტერნეტში ბლოგი გახსნა, რომელშიც გამოძახების გოგონად მუშაობისას მიღებულ გამოცდილებას აღწერდა, შემდეგ კი წიგნიც გამოსცა.

„სანდი თაიმსის" ჟურნალისტებთან შეხვედრისას მანიატიმ განაცხადა, რომ მეძავად 2003 წლის ბოლოდან 2004 წლამდე მუშაობდა, თანაც ეს სამუშაო მას „გაცილებით მეტ სიამოვნებას ანიჭებდა", ვიდრე მეორე სამუშაო — პროგრამისტად მუშაობა.

— აღარ მინდა, რომ ეს საიდუმლო ტვირთად მაწვეს, — განაცხადა მან ჟურნალისტებთან შეხვედრისას. გარდა ამისა, იგი შიშობდა, მისი საიდუმლო ყოფილ მეგობარ ვაჟს შეიძლება გაემხილა.

— ახლა თავს გაცილებით უკეთ ვგრძნობ, ტყუილების თქმა აღარ მიხდება, — დაუმატა მან, — ქალი ვარ, ლონდონში ვცხოვრობდი, გამოძახების გოგონად ვმუშაობდი, ჩემ მიერ აღწერილი ადგილები, მოქმედებები და გრძნობები სრული სიმართლეა და თითოეული სიტყვის დადასტურება შემიძლია.

ბრისტოლის უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ პროფესორ მანიატის წარსულის ეს ასპექტი უნივერსიტეტში მის მომავალ მუშაობაზე არავითარ ზეგავლენას არ მოახდენს.

გამომცემლობა „ორიონ ბუქსმა", სადაც „დღის ლამაზმანის" მემუარები დაიბეჭდა, გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც გამომცემლობის თანამშრომლებმა ავტორს მხარდაჭერა აღუთქვეს, რადგან მან ინკოგნიტოს გამხელა გადაწყვიტა.

— მის წიგნებს 2005 წლიდან ვაქვეყნებთ და იმედი გვაქვს, რომ ეს თანამშრომლობა გაგრძელდება, — განაცხადეს მათ.

# ტუალეტში გინდა? — ღილაკს თითი დააჭირე!

როგორც ეიბისი ნიუსი იუწყება, ბრიტანეთის მოქალაქეს, რომელიც ავტოავარიის შედეგად სერიოზულად დაშავდა, დაზიანებული ანალური სფინქტერი ელექტროდენით მართული სფინქტერით შეუცვალეს.

სამხრეთ იორქშირის მკვიდრი, 55 წლის გედ გალვინი 2007 წელს მოტოციკლით ავარიაში მოყვა. ავარიის შედეგად მან მოიმტვრია ორივე მაჯა, ფეხი, დაუზიანდა თვალის ბადურა.

გარდა ამისა, მენჯის ძვლების მოტეხილობის გამო დაუზიანდა კუჭნაწლავი, აგრეთვე კუნთი, რომელიც დეფეკაციის აქტს აკონტროლებდა.

ამის გამო პაციენტს კოლოსტომიის ტრადიციული ოპერაცია გაუკეთეს — სწორი ნაწლავი მუცლის ღრუზე გამოუყვანეს, სადაც პოლიეთილენის პარკი დაუმაგრეს განავლის შესაგროვებლად.



გალვინი ამ ოპერაციით მეტად უკმაყოფილო დარჩა. ინტერვიუში განაცხადა, რომ არ უნდოდა ამ პარკის შესახებ ვინმეს შეეტყო.

ქირურგებმა მისი სფინქტერის ნორმალური მუშაობის აღდგენა ორჯერ სცადეს, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს და ბოლოს, პაციენტი კუჭ-ნაწლავის დარღვევების სპეციალისტთან, ნორმან უილიამსთან მოხვდა, უილიამსი ლონდონის სამეფო საავადმყოფოში მუშაობდა და ბარძაყის წვრილი კუნთის ქსოვილისაგან ელექტროდენით მართული სფინქტერის შექმნის ტექნოლოგიის ავტორი გახლდათ.

ბარძაყის წვრილი კუნთი მუხლიდან საზარდულისაკენ, ბარძაყის შიდა ნაწილს მიჰყვება. ოპერაციის დროს მას ბარძაყისგან აცალკევებენ და სწორი ნაწლავის გარშემო ათავსებენ, იქ, სადაც სფინქტერი უნდა მდებარეობდეს.

ამ კუნთის სამართავად მცირე ზომის ელექტრული აპარატი გამოიყენება, გულის რიტმის მართვის ხელსაწყოს მსგავსად.

ოპერაციის შემდეგ დეფეკაციის აქტის განსახორციელებლად გალვინმა მხოლოდ და მხოლოდ ღილაკზე უნდა დააჭიროს თითი.

# ინდონეზიაში ჰობიტი აღმოაჩინეს

კვლავაც არ ცხრება კამათი მინიატურული ქალის თავის ქალისა და ჩონჩხის წარმომავლობის შესახებ, რომელიც სამეცნიერო საზოგადოების სამსჯავროზე პირველად 2004 წელს გამოიტანეს.

მაშინ მეცნიერებმა გაოცება ვერ დამალეს იმის გამო, რომ ინდონეზიის კუნძულ ფლორესზე ადამიანის მსგავსი ასეთი პატარა არსებები შეიძლება ბინადრობდნენ.

მცირე სიმაღლის, არაუმეტეს 90 სმ, გამო მას ჰობიტი უწოდეს, ჯ. რ. ტოლკიენის წიგნების პერსონაჟების მიხედვით. როგორც ჩანს, ჰომო ფლორენსისის სახეობის უკანასკნელი წარმომადგენელი 18 ათასი წლის წინ გარდაიცვალა.

აღმოჩენას სტატია ჟურნალმა „ნეიჩამ" მიუძღვნა, მაგრამ შემდეგ მეცნიერებმა ახალი სახეობისადმი მისი კუთვნილებით დაეჭვება გამოთქვეს. მათი ვარაუდით, შესაძლოა, მას მიკროცეფალია სჭირდა, დაავადება, რომლის დროსაც თავის ქალა და ტვინი ნორმალურ ზომებს ვერ აღწევს.

ნიუ იორკის სტონი ბრუკის უნივერსიტეტის მეცნიერებმა „ჰობიტის" თავის ქალას და ჩონჩხის ძვლების სტატისტიკური ანალიზი ჩაატარეს, ისინი ადამიანისა და სხვა პრიმატების ძვლებს შეადარეს და დაასკვნეს, რომ „ჰობიტის" ძვლების ზომები საგრძნობლად განსხვავდებოდა როგორც თანამედროვე ადამიანის ძვლებისაგან, ასევე მიკროცეფალებისაგან.



ამის გამო მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ „ჰობიტი", როგორც ჩანს, მაინც ცალკე სახეობის წარმომადგენელია.

მეცნიერების თქმით, ჰობიტების პათოლოგიურ ადამიანებად გამოცხადების მცდელობა მარცხით დასრულდა, რადგან მიკროცეფალიას და ჯუჯას სინდრომს ჰომო ფლორენსისის ანატომიასთან საერთო არაფერი აქვს.

დანამდვილებით ცნობილი არ არის, თუ რამდენი ხნის განმავლობაში არსებობდა ჰომო ფლორენსისი, როგორც დამოუკიდებელი სახეობა. კუნძულზე ნაპოვნი ნამარხი ნაშთების თანახმად, „ჰობიტები" 400 ათასი წლის წინ გადაშენდა, სხვა ცნობების თანახმად, პაწაწინა ადამიანები თანამედროვე სახეობის წარმომადგენლებმა დაახლოებით 18 ათასი წლის წინ გაანადგურეს.

მკვლევარების ერთი ნაწილის აზრით, კუნძულზე მცხოვრები ყველა ცხოველი, გიგანტური ვირთხებისა და ჯუჯა სპილოების ჩათვლით, დაახლოებით 12 ათასი წლის წინ ვულკანის ამოფრქვევამ გაანადგურა.

იმავდროულად, ადგილობრივი მოსახლეობა ამტკიცებს, რომ პატარა ადამიანები, რომლებსაც ისინი „ებუ გოგოს" უწოდებენ, დღემდე არსებობენ და მათ კუნძულზე ხშირად ხედავენ.

# 2 წლის ამერიკელმა დედა ამშობიარა

როგორც ამერიკული გამოცემა „ქომერშლ ეფეალი" წერს, დედამისს მშობიარობა რომ დაიწყო, მისი ორი წლის შვილი არ დაიბნა და ძმას ამქვეყნად დაბადებაში დაეხმარა.

ტენესის შტატის ქალაქ ოლივ ბრანჩის მკვიდრ 27 წლის ბობი ფავაცას, რომელიც მეოთხე შვილს ელოდებოდა, ექიმებმა საკეისრო კვეთის ოპერაცია 6 დეკემბრისთვის დაუნიშნეს, მაგრამ მშობიარობა უფრო ადრე, 13 ნოემბერს დაიწყო.

ამ დროს იგი შინ ორ შვილთან, 3 წლის ჯემისონთან და 2 წლის ჯერემიასთან ერთად იმყოფებოდა.

ფავაცა თავიდან ვერც კი მიხვდა, რომ მშობიარობა ეწყებოდა, ეგონა, რომ კუჭნაწლავი აწუხებდა. დილით წყლები რომ დაღვარა, მაშინვე დედას დაურეკა. დედამ, რომელიც ხუთი წლის უმცროსი შვილიშვილის ბაღიდან გამოსაყვანად იყო წასული, მაშინვე 911-ზე დარეკა და დახმარება ითხოვა.

მაგრამ მშობიარობა უკვე დაწყებული იყო და ზომიერი სისხლდენა გამოიწვია. ჯემისონმა დივანზე სისხლის გუბეში მწოლიარე დედა რომ დაინახა, გვერდით მიუჯდა და ტირილი დაიწყო, უმცროსმა ვაჟმა, ჯერემიამ კი პირსახოცს სტაცა ხელი, ბავშვი მიიღო და დედას გადააწოდა.

შემოსწრებულმა ექიმებმა ჭიპლარი გადაჭრეს და მელოგინე ქალი კლინიკაში მიიყვანეს. ექიმებმა დედა-შვილს აუცილებელი დახმარება აღმოუჩინეს და დაადასტურეს, რომ 3.3 კილოგრამი წონის ბიჭი სრულიად ჯანმრთელი იყო, ხოლო დედისათვის მშობიარობამ ასევე გართულების გარეშე ჩაიარა.



როგორც გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში არის ნათქვამი, 2 წლის ჯერემიას ხუთამდე თვლა, ცალკეული ფრაზების წარმოთქმა და დამოუკიდებლად ჭამა შეუძლია.

მოამზადა გენადი თვაურმა

# გია ხუროშვილს კარზე ექვსი „ვენოკი“ მიუტანეს

## მთავრობის საპარლამენტო მდივანი ქალების ყურადღებით შეწუხებულია



**მთავრობის საპარლამენტო მდივნის გია ხუროშვილის მიმართ ყველაზე კრიტიკული მისი 11 წლის შვილია. ხუროშვილი არ მალავს, რომ შვილთან ნებისმიერ საკითხზე კამათობს, დაწყებული იმით, რატომ არ დაურეკა დღის განმავლობაში, დამთავრებული ჩაცმულობის თემით.**

ნანა მიშელაშვილი

ხუროშვილი არ მალავს, რომ ერთ მანჰეტენელ ქალბატონს მოეწონა, რომელიც, არც მეტი, არც ნაკლები, 80 წლის არის. ამის გამო მანჰეტენზე ერთი მცირე სკანდალიც კი მოხდა.

მთავრობის საპარლამენტო მდივანს ქალები სიყვარულს თავისებურად უხსნიან. მაგალითად, ერთმა ქალმა კართან 6 ცალი უზარმაზარი თაიგული მიუტანა. ამის გამო ხუროშვილს ბევრი არ უფიქრია, არც ის გაურკვევია, ვინ გაუგზავნა ეს თაიგულები, თუმცა, ეჭვის დონეზე იცის, ვინ შეიძლება ყოფილიყო ამის „ჩამდენი“.

ვის ჩუქნის საჩუქრებს ყველაზე ხშირად გია ხუროშვილი და რას ჩუქნიან მას, როგორ ქალებზე ეჭვიანობს მისი 11 წლის ქალიშვილი, ამის შესახებ „ახალი თაობა“ მთავრობის საპარლამენტო მდივან გია ხუროშვილს ესაუბრა:

— ***რამდენი წლის შვილი გყავთ, მასთან ურთიერთობა თუ გიჭირთ?***

— შვილი ერთადერთი ადამიანია, რომელთანაც ვჩხუბობ, ოღონდ — როგორც პატარა ბავშვი. ჩემი შვილი 11 წლისაა.

— ***ძირითადად რაზე ჩხუბობთ?***

— შემიძლია ვეჩხუბო იმაზე, თუ რატომ არ დამირეკა, რატომ არ მომიკითხა. შემიძლია ვეჩხუბო იმაზეც, რატომ აცვია ესა თუ ის კაბა.

— ***მერე, თქვენს შენიშვნებს ითვალისწინებს?***

— კი, ითვალისწინებს. რიდი აქვს, მაგრამ უფრო მეტად იქით მიილტვის, სადაც მეტი თავისუფლება აქვს.

— ***ჩაცმულობის გარდა, კიდევ რაზე შეგიძლია იკამათოთ შვილთან?***

— ძირითადად ვცდილობ, არ ვეკამათო, ახლა ისეთი ასაკი აქვს, როდესაც ძალიან ფრთხილი უნდა იყო შენიშვნებში. ვცდილობ, ჩემი შენიშვნები სწორად მივიტანე შვილამდე, რომ კარგი ადამიანი დადგეს.

— ***შვილს თუ შეაქვს თქვენს ჩაცმულობაში რაიმე კორექტივები?***

— კი, ყველაზე კრიტიკულია. განსაკუთრებით კრიტიკულია იმ მანდილოსნების მიმართ, რომლებიც ჩემ გარშემო ტრიალებენ. უაზროდ ეჭვიანობს.

— ***ვისზე ეჭვიანობს, აპარატის თანამშრომლებზე?***

— აპარატის თანამშრომლებზე — არა. მას საკმაოდ კარგი ინტუიცია აქვს, რომელიც ხშირად ინტუიცია.

— ***ითვალისწინებთ შვილის რეკომენდაციებს ქალებთან დაკავშირებით?***

— სხვათა შორის, ძალიან ცუდი მეთოდი აქვს შერჩეული. პირდაპირ არ მიმითითებს, მაგრამ ამოიჩემებს, რომ ამ ქალს ცუდი ცხვირი აქვს, ამ ქალს ბინძური პერანგი ეცვა და მთელი მენიუ ზედ ეწერა. ისეთ რაღაცაზე მიანიშნებს, რაც რეალობასთან ახლოს არის. მერე სულ ასეთი განცდით ვუყურებ იმ ადამიანს, ამიტომ ვცდილობ, მთლად ახლოს არ ვაკონტაქტო მათთან.

— ***პოლიტიკოსი ქალებიდან თქვენს შვილს ვინმე მოსწონს?***

— ამ ბოლო დროს ამაზე საუბარი აღარ მქონია, თუმცა, თავის დროზე, ნინო ბურჯანაძე მოსწონდა.

— ***ადრე პარლამენტის ქალები სხვადასხვა ჯგუფებად იყოფოდნენ. ახლა როგორ არის ამ მხრივ საქმე?***

— ახლა ქალები სად არიან? სულ ერთი ჯგუფია. წინა პარლამენტში ჯგუფები იყო. ბურჯანაძის ჯგუფის ქალებს რომ შეხედავდი, დაწყებული პიჯაკით, დამთავრებული ვარცხნილობით, ბურჯანაძის რეინკარნაცია იყო. მეორე ჯგუფის ქალები ნადირაძის კულუარული ჯგუფისანი იყვნენ, რომლებიც სიტუაციას „აკონტროლებდნენ“, მესამე ჯგუფი ბადრის ქალები გახლდნენ, მაგრამ იყო ერთი დამოუკიდებელი ქალი, რომელიც ახლა ქალთა პარტიის ერთპიროვნული ლიდერია — გუგული მაღრაძე.

— ***ახლა ქალების როგორი კატეგორიზაციაა?***

— ქალებში გამიჭირდება რაიმე კატეგორიზაცია. სამაგიეროდ, ამ პარლამენტში არც ერთი ფრაქციის, არც ერთი უმცირესობის წევრი არ არის ბატონი ჯონდი ბაღათურია.

— ***სხვათა შორის, ჯონდი ბაღათურიას გაახსენდა, ერთხელ დავით ბაქრაძემ პირადად თქვენ როგორ მოგმართათ, როცა ხან ხელს იწევდით და ხან — არა, მთავრობა ვარჯიშობთ თუ ხელს იწევთო? ბაღათურიასთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ?***

— ჯონდი ბაღათურიას ვთხოვე, ერთი კანონი დაწერე, რომელზეც თანხმობას მოგცემ და გაიტან ამ პარლამენტში-მეთქი. რაღაც უტოპიურ კანონებს წერს და ვერც ერთი ვერ გააქვს.

— ***მართლა რომ დაწეროს ბაღათურიამ კანონპროექტი, დაეთანხმებით?***

— თუ უტოპიური კანონპროექტი არ იქნება, დავეთანხმები.

— ***ერთი ჩვეულებრივი დღე როგორია, როცა პარლამენტის ან მთავრობის სხდომაზე არ მიდიხართ?***

— ჩემი ყველა დღე განსხვავებულია. ვცდილობ, საინტერესოდ გავატარო. მთელი ცხოვრება შეყვარებული ვარ, არც ერთი დღე უსიყვარულოდ არ მინდა.

— ***მთავრობის საპარლამენტო მდივანი ახლა შეყვარებულია?***

— ასეა...

— ***ვინ არის თქვენი ტრფობის ობიექტი, პოლიტიკოსია?***

— სიყვარულსა მალვა უნდა.

— ***როცა არასასესიო კვირაა, ხშირად კომიტეტის სხდომებს არ ესწრებით და ამბობენ, რომ საქართველოში არ ხართ. ხშირად მოგზაურობთ?***

— არც ისე ხშირად.

— ***ამერიკაში ხომ მიფრინავთ ხშირად?***

— ამერიკა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია.

— ***ახლა ასეთი ტრაფარეტული განცხადებები არ გვინდა. არა მგონია, ამერიკაში სტრატეგიული ინტერესების გამო დადიოდეთ. რატომ მიფრინავთ იქ?***

— ამერიკაში მყავს შეყვარებული, რომელიც 80 წლის არის.

— ***ამას, რა თქმა უნდა, ხუმრობთ.***

— არა, სრული სერიოზულობით ვამბობ. ჩემი ახლობელი ცხოვრობს ამერიკაში. ეს 80 წლის ქალბატონი შემთხვევით გავიცანი. ამერიკელების თვისებაა, ყოველთვის მოგესალმონ, მოგეფერონ. მეც ასეთივე გავხდი, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ზედმეტად გამოვხატე და ეს ქალი დაეჭვდა. ჩემი ახლობლისთვის უთქვამს, ძალიან შევწუხდი ჯორჯის სიყვარულით, აქედან გამომდინარე, უთხარი, ნუ მაწუხებს-თქო. ამაზე სერიოზული სკანდალი მომხდარა, ჩემს ნათესავს უთქვამს, ეს როგორ დაიჯერეო.

— ***ე.ი. გია ხუროშვილს 80 წლის ამერიკელი შეყვარებული ჰყავს?***

— შეიძლება ასე ითქვას... ჩემზე ძალიან ბევრი რამ მომისმენია, ესეც შეუძლიათ, კოლექციას მიამატონ.

— ***სად ცხოვრობს ეს ქალბატონი ამერიკაში?***

— მანჰეტენზე.

— ***მანჰეტელი შეყვარებული საქართველოში ხომ არ დაპატიჟეთ?***

— იმდენად მოხუცია, რომ საქართველოში ვერ ჩამოაღწევს. მეშინია, ამხელა რისკი თავზე ავიღო...

— ***ამერიკის გარდა, სხვა რომელ ქვეყანაში გიყვართ წასვლა?***

— ძალიან მიყვარს იტალია, ესპანეთი. ყველა ქვეყანას თავისი ხიბლი აქვს.

— ***დაცვა, ვიცი, რომ არა გყავთ. იარაღთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ, ატარებთ?***

— არა. იარაღი და ფეხბურთი — ეს არის ორი თემა, რაც არ მიყვარს. როგორც წესი, ამბობენ, რომ ორივე უყვართ, რადგან ეს ქართული ტრადიციის შემადგენელი ნაწილია. რა ვქნა, არ მიყვარს იარაღი. რაში მჭირდება? ძალიან ფეთქებადი ვარ, თუ ავფეთქდი და ის იარაღიც ავაფეთქე, ეს უკვე კრიმინალია და მირჩევნია, სხვაგვარად ავფეთქდე.

— ***საერთოდ, მთავრობის საპარლამენტო მდივანს იარაღის ტარების უფლება აქვს?***

— არ ვიცი, არც მიკითხავს.

— ***გავიგე, რომ, იარაღისგან განსხვავებით, ღვინოებში კარგად ერკვევით...***

— ღვინო მიყვარს, სხვათა შორის — მისი დაწურვაც. ვენახიც მაქვს, საწურიც, კასრებიც. ყოველწლიურად დაახლოებით 300 ლიტრ სუფთა ღვინოს ვწურავ.

— ***ამდენ ღვინოს მარტო სვამთ თუ მეგობრებსაც აძლევთ?***

— მარტო 50 ლიტრი ვანო ხუხუნეიშვილის წილია, ასევე სხვებისაც... წელს ვანოს ხუხუნეიშვილისთვის ღვინო არ დამილევინებია და ჩემზე გაბრაზებულია.

— ***დეპუტატებთან მეგობრობთ?***

— ვმეგობრობ ყველა კარგ ადამიანთან. ჩემს სამეგობრო წრეს თუ გადახედავთ, სხვადასხვა სოციალური ფენის, მატერიალური შესაძლებლობისა და ეროვნების ადამიანები არიან. ყველას საერთო ნიშა ის არის, რომ ისინი კარგი ადამიანები გახლავთ.

— ***რომელიმე დეპუტატთან ნათესაური ურთიერთობა გაკავშირებთ?***

— არა.

— ***მინისტრებიდან ან დეპუტატებიდან თქვენი ყოფილი სტუდენტები არიან?***

— გიგი წერეთელი იყო ჩემი ყოფილი სტუდენტი, მაგრამ ბოლო პერიოდში რამდენჯერმე ლამის დამბაჩა მაყიდვინა.

— ***როგორ, გიგი წერეთელი თქვენი სტუდენტი იყო?***

— ასე მოხდა, მეორე სპეციალობა იყო, სადაც გიგის ასაკის ადამიანებიც იყვნენ ჩემი სტუდენტები.

— ***სამართალს უკითხავდი გიგი წერეთელს?***

— კი. იარაღი არ მიყვარს, მაგრამ გიგი წერეთელმა იმ მდგომარეობამდე მიმიყვანა, რომ დამბაჩს ვეძებდი სიგარეტის კანონის განხილვისას. „შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ“ — ასეთ დღეში ვიყავი.

— ***წერეთლის გარდა, კიდევ ვინ იყო თქვენი სტუდენტი?***

— ხათუნა გოგორიშვილი, დავით ნამგალაური, ლექსო ალექსიშვილი...

— ***ყველაზე კარგი რომელი სტუდენტი იყო?***

— ყველაზე მოწესრიგებული და პუნქტუალური იყო ხათუნა გოგორიშვილი.

— ***სწავლის მხრივ?***

— სწავლის მხრივაც. ერთი საკმაოდ უცნაური რამ მოხდა — სახელმწიფო გამოცდაზე გამოდის ხათუნა გოგორიშვილი, აიღო ბილეთი და დაიჯღანა. ყველას განცდა გაუჩნდა, რომ საკითხი არ იცის. მე-13 ბილეთი შეხვდა, მერე კიდევ ჩახედა და მეორე რეაქცია ის იყო, რომ ისტერიკული სიცილი აუტყდა. ყველას გაუკვირდა ხათუნას გარდასახვა. პირველი საკითხი, აბა, გამოიცანით, რა იყო? — საარჩევნო სამართალი.

— ***ეგ ეცოდინებოდა?***

— არ იცოდა, შემიძლია დაგიფიცოთ, მაგრამ იღბლიანია.

— ***სტუდენტებთან ურთიერთობა ხშირად გიწევდათ. ხშირი იყო ფაქტი, რომ სტუდენტმა ბილეთი არ იცოდა და ბედი სწყალობდა?***

— ერთხელ ქუთაისში ვარ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარედ. შემოდის ერთი სტუდენტი, გაუპარსავი, თანამედროვე, გაურკვეველ მოდას აყოლილი, აჩეჩილდაჩეჩილი, მოუწესრიგებელი და აშკარად ცოდნაშიც მოიკოჭლებს. უცბად გამიჩნდა განცდა, რომ ეს ადამიანი უნდა მოწესრიგდეს. დავპირდი: ხვალ თუ მოხვალ ისე, რომ შეგეხედებოდეს და ადამიანს ჰგავდე, ნახევარ ნიშანს მოგიმატებ-მეთქი. მეორე დღეს შემოვიდა, ავ თვალს არ ენახვებოდა, ისე იყო მოწესრიგებული. დღემდე არ მავიწყდება ბებიამისის ლოცვა. ბებია მოჰყვა და მითხრა: რადგან თქვენ ამას წვერი გააპარსვინეთ და ადამიანს დაამსგავსეთ, აღარაფერი მომკლავსო.

— ***ბებიებს, რაღაც, ძალიან უყვარხართ...***

— ეგ ცალკე თემაა.

— ***რა, ბებიებთან დაკავშირებით სხვა ისტორიებიც გაქვთ?***

— რაღაც, ასაკოვანი ქალები ძალიან მერჩიან. გამივიდა ეგ ასაკი, ახლა ვეტრფი შედარებით ახალგაზრდებს. არსებობს საშუალო ასაკი, როდესაც მიდრეკილება გაქვს შენზე უფროსი მანდილოსნებისადმი.

— ***ახლა რა ასაკში ხართ?***

— ახლა ვარდობის ასაკში ვარ. ბებრები აღარ გამომეხმაურონ... ამას თავი დავანებოთ. ქუთაისში, ერთი მეგობარი მყავს, ქუთაისის უნივერსიტეტის ლექტორია და ქუთაისში ჩემს ყველა ჩასვლაზე ხალისობს: ხუროშვილის ჩამოსვლა ატელიეებში რიგების მომატებას უკავშირდება, რადგან ყველამ იცის, რომ მოწესრიგებული უნდა მივიდეს გამოცდაზეო.

— ***სულ პიჯაკში დადიხართ, ჰალსტუხით... ძირითადად რა ფერებზე აკეთებთ აქცენტს?***

— ძირითადად — კლასიკურ ფერებზე, შავი, თეთრი, ნაცრისფერი.

— ***სად იძენთ ტანსაცმელს?***

— ქუთაისში, ბათუმში.

— ***ამას არ დავიჯერებ, თქვენზე ამბობენ, რომ ძირითადად ევროპასა და ამერიკაში იმოსებით.***

— ამერიკაში ნაყიდ ტანსაცმელს ბათუმში ნაყიდი სჯობია. ამას სრული სერიოზულობით ვამბობ. ამერიკას აქვს ბევრი დემოკრატიული ღირებულება, მაგრამ ტანსაცმელი საკმაოდ დაბალი ხარისხის არის.

— ***უფრო ხშირად რა ფირმის ტანსაცმელი გაცვიათ?***

— ვიცვამ იმ ფირმისას, რომელიც კარგად მერგება.

— ***პარლამენტში კარგად ჩაცმული ქალები დადიან?***

— სად არიან ქალები? სულ 4-5 ქალია.

— ***კაცები კარგად ჩაცმული დიდიან?***

— კაცებს არ ვაკვირდები.

— ***როგორ აცვიათ, არ აკვირდებით?***

— არა.

— ***გემოვნებით ვის აცვია, ამას ხომ ხვდებით?***

— სხვათა შორის, კარგად იცვამენ გიორგი მელაძე, არჩილ გეგენავა. ამ პარლამენტში უფრო მეტი აქცევს გემოვნებით ჩაცმას ყურადღებას, ვიდრე წინაში.

— ***კულტურულ ღონისძიებებზე ხშირად დადიხართ? მაგალითად, შვილთან ერთად — კინოში...***

— ჩემმა შვილმა ყველა თეატრის რეპერტუარი იცის, თავად დადის.

— ***ხელფასი რამდენი გაქვთ და თუ გყოფნით?***

— ჯამაგირს უნდა ეყოს ადამიანი.

— ***მუშნი ზარანდიას სტილში პასუხი არ გვინდა, ხელფასი გყოფნით თუ არა?***

— არა, ხელფასი არ მყოფნის, მუდმივად მაქვს ვალი, მაგრამ ფულმა არ უნდა მოგიხმაროს და ფულს არ უნდა შეეწირო.

— ***საიდუმლოა, რამდენია თქვენი ხელფასი?***

— იმდენი, რამდენიც უნდა ჰქონდეს მთავრობის საპარლამენტო მდივანს.

— ***ხელფასი რატომ არ გყოფნით?***

— მარტო მე რომ მოვიხმარდე, მეყოფოდა, მაგრამ...

— ***საჩუქრებს ხშირად ჩუქნით სხვას?***

— საჩუქრების გაკეთება ძალიან მსიამოვნებს.

— ***ვის ჩუქნით ხშირად?***

— მნიშვნელობა არა აქვს, საჩუქარს ყველა იმ ადამიანს ვჩუქნი, რომელიც მიყვარს.

— ***ქალებს ძირითადად რას ჩუქნით?***

— მალაზიაში როდესაც შევდივარ, საჩუქარს მე არ ვარჩევ, საჩუქარი თავად მეძახის, იმისთვის ვარ განკუთვნილიო... მაგალითად, ერთ ჩემს მეგობარს მწვანე ფერი უყვარს და ხშირად ვჩუქნი მწვანე საყურეებს, მეორეს ნაცრისფერი უყვარს და, შესაბამისად, ასეთი ფერის სამკაულს ვჩუქნი.

— ***თქვენთვის ბოლო პერიოდში თუ უჩუქებიათ ისეთი საჩუქარი, რომელიც ძალიან მოგეწონათ?***

— ახლა დამაფიქრეთ... სიმართლე რომ გითხრათ, უფრო ხშირად მე მიწევს საჩუქრის გაკეთება. ყველაზე მეტად ჩემი დაბადების დღე მიყვარს, დაახლოებით 25 სხვადასხვა სახის სუნამოს მჩუქნიან. როდესაც ამოვალაგებ, გულს უხარია, მაგრამ, რომ გადავახალისებ, 3-4-ს თუ დავიტოვებ. საერთოდ, სუნამოს ჩუქება ძალიან ინდივიდუალურია.

— ***ქალები სიყვარულს გიხსნიან?***

— ძალიან თამამი ნათქვამი თუ არ გამომივა, ხანდახან ცოტა შეწუხებულიც ვარ ამ ყურადღებით. ერთ დღეს მეგობრის დაბადების დღეზე ვიყავი, კარგ ხასიათზე ვარ, კარგი ნასვამიც. სახლში მივედი, კარს მივუახლოვდი და გამოვტრიალდი. სართულს დავაკვირდი. კარს მივუახლოვდი. ისევ უკან გამოვტრიალდი. ბოლოს მივედი კართან და...

— ***და რა ნახეთ?***

— მტრისას, მე რომ ვნახე... 6 „ვენოკი“ იყო ერთმანეთზე გადაბმული, მიყვარხარ, მიყვარხარო, ეწერა.

— ***მართლა „ვენოკები“ იყო?***

— არა, უზარმაზარი თაიგულები, რომელსაც „ვენოკს“ ვეძახი.

# ტეტჩერი ქმარ-შვილს ოფიციალური სადილების ნარჩენებით კვებავდა




მარგარეტ ტეტჩერი — რა ეპითეტები აღარ მოსდევდა ამ სახელს — „ევროპის ყველაზე ძლიერი ქალი“, „დიდი პრემიერ-მინისტრი და დიდი ქალი“, „ალქაჯი, რომელსაც ყველაფრის თავდაყირა დაყენება შეუძლია“, „ევროპის მუხრუჭი“, „ყველაზე ძლიერი მამაკაცი ნატოში“, „საუკეთესო და ერთადერთი მამაკაცი ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტში“, „რკინის მამაკაცი“ და „რკინის ლედი“. 80-იან წლებში ასეთმა ფრაზამაც გაიჟღერა — „ბრიტანეთს ორი განძი აქვს, ერთი მათგანია ნავთობი, მეორე — მარგარეტ ტეტჩერი“.

მეგობრებს დენის ტეტჩერისა შურდათ, მისი ცოლი მაღაზიებში ფულს არ ფლანგავდა, იცოდა, რომ ფულს თვლა უყვარდა, ზამთრის პალტოსთვის სარჩულს ძველი ფარდებისაგან კერავდა, ბინაში რემონტს მხოლოდ თავად აკეთებდა — დამწყები ადვოკატისათვის ეს საუკეთესო დასვენება იყო. მართალია, ქმარსა და შვილებს გუშინწინდელ შვრიის ფაფას აჭმევდა, მაგრამ დენისი, როგორც ჩანს, წინააღმდეგი არ იყო.

„მომჭირნეობა და კიდევ ერთხელ მომჭირნეობა“ — ასეთი დევიზით გახდა იგი პრემიერ-მინისტრი და ქვეყანა მსოფლიო ლიდერთა ჯგუფს დაუბრუნა. ის, რაც კარგი იყო ოჯახისათვის, კარგი გამოდგა დიდი ბრიტანეთისთვისაც. მისთვის, მედუქნის ქალიშვილისათვის, კარგად იყო ცნობილი, თუ რა ანგარიშიანი და არასენტიმენტალური უნდა ყოფილიყო ადამიანი, რათა ხალხში გამოსულიყო.

ალფმა და ბეატრის რობერტსებმა მცირეოდენ ფულს მოუყარეს თავი და იფიქრეს, რომ მეორე ბავშვის შენახვას შეძლებდნენ. 1925 წლის 13 ოქტომბერს გრანთემში მათ მარგარეტ ჰილდა შეეძინათ. ოჯახს მცირე დუქანი ჰქონდა, რომლის თავზეც მათი ბინა მდებარეობდა, ცხელი წყლისა და ტუალეტის გარეშე.

დედისაგან ცხობა, კერვა, მეურნეობის გაძღოლა ისწავლა, მაგრამ ვერც დედასთან და ვერც უფროს დასთან საერთო ენას ვერ პოულობდა. მოგვიანებით, სახელმწიფოს ლიდერად გახდომის შემდეგ, ბიოგრაფიაში მათი სახელების ჩაწერა ხშირად „ავიწყდებოდა“ ხოლმე, სამაგიეროდ მამას არ ივიწყებდა.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მამამ იცოდა, თუ ვინ გამოვიდოდა მისი ქალიშვილი და ბავშვობიდანვე პოლიტიკას არჩევდა. ათი წლის რომ გახდა, მარგარეტი კონსერვატორების პარტიულ კომიტეტსა და საარჩევნო უბანს შორის შიკრიკის მოვალეობას ასრულებდა. მისი კანდიდატი პარლამენტში მოხვდა და მარგარეტ ტეტჩერმა ეს პირველ ტრიუმფად მიიჩნია.

რობერტსებისათვის მეორე მსოფლიო ომი პროდუქტების განაწილებით, სკოლის დაბომბვით დაიწყო. 1943 წელს ალფ რობერტსი გრანთემის მერი გახდა, მოგვიანებით კი მარგარეტმა ოქსფორდში დაიწყო სწავლა. თანაკურსელებს მასთან მეგობრობა არ უნდოდათ, მისი გრძელი მონოლოგები პოლიტიკის შესახებ გაცვეთილ გრამფირფიტასავით მოსაწყენად მიაჩნდათ, სამაგიეროდ, ოქსფორდის კონსერვატიულ ასოციაციაში მეგის მსმენელები არ აკლდა და ოპონენტები ლამის გაცოფებამდე მიჰყავდა. ერთხელ, ცხარე დებატების დროს, ვიღაცამ სიტყვა შეაწყვეტინა და ჰკითხა: „თქვენ რა, მარგარეტ, პოლიტიკოსი იქნებით?“ იგი გაჩუმდა, ფრაზა არ დაუსრულებია, მოულოდნელად საბოლოო გადაწყვეტილება მომწიფდა და წარმოთქვა: „დიახ, პარლამენტის წევრი უნდა გავხდე“.

23 წლის ასაკში იგი უკვე ლონდონის ერთ-ერთი რაიონის არჩევნებში მონაწილეობდა. მის გარდა, კანდიდატის პოსტზე კიდევ 26 პრეტენდენტი აცხადებდა პრეტენზიას. ყველა მამაკაცი იყო, გამარჯვებით კი მარგარეტმა გაიმარჯვა. თავისი კანდიდატურის დამტკიცებაზე იგი მამასთან ერთად მივიდა. ალფი კმაყოფილი იყო და ყველაზე ხმამაღლა უკრავდა ტაშს. შეკრების შემდეგ მიღება გაიმართა, მაგრამ მეგის დარჩენა არ შეეძლო.

დილით სამსახურში უნდა წასულიყო, სახლამდე კი 45 მილი იყო გასავლელი. კონსერვატორებმა მოითათბირეს და გაირკვა, რომ ერთ-ერთ სტუმარს მათი ვაგზლამდე გაცილება შეეძლო. მას დენის ტეტჩერი ერქვა. ეს ერთი ნახვით შეყვარება არ ყოფილა. დენის ტეტჩერს მარგარეტი თავისი იაგუარით დროდადრო ხან კონსერვატორთა შეკრებაზე მიჰყავდა, ხან — ოფიციალურ წვეულებებზე. მისი კერპის, უინსტონ ჩერჩილის დაუნინ სტრიტის 10 ნომერის დაბრუნებამდე მარგარეტ ტეტჩერმა არჩევნებში ორჯერ დამარცხება მოასწრო. ამ მოვლენასთან დაკავშირებული ლონისძიების დროს ტრიბუნაზე დენისი ავიდა და გამოაცხადა, რომ მარგარეტს ცოლად ირთავდა.

მათ 1951 წლის 13 დეკემბერს იქორწინეს. ჯვრისწერის დროს მას თეთრი კი არა, კაშკაშა ლურჯი ხავერდის კაბა ეცვა.

დენის ტეტჩერი ბრიტანეთში ჩუმი და წარმატებული ქალის უკან მდგარი, ყველას მიერ დავიწყებული მამაკაცის სინონიმად იქცა. დენისი საკუთარ თავს „პრემიერ-მინისტრის მუხრუჭზე დადგმულ ფეხს უწოდებდა“.

დენისი ტიპური ინგლისელი იყო, ცოტას ლაპარაკობდა, ბევრს სვამდა, გოლფს თამაშობდა და ემოციებს არ ამჟღავნებდა. მარგარეტი მას აღმერთებდა, იმდენად, რამდენადაც შეუძლია აღმერთებდეს ქმარს პოლიტიკაზე შეყვარებული ქალი. მისი უდიდესი კომპლიმენტი იყო: „ჩემი სიტყვის დროს არასდროს იძინებს და ტაშს სადაც საჭიროა, იქ უკრავს“.

დენისისა და მისი ფულის გარეშე მარგარეტ ტეტჩერის პოლიტიკური კარიერა შეიძლება ვერც განვითარებულიყო. ბევრს მიაჩნდა, რომ მათი ქორწინება მერკანტილურ ხასიათს ატარებდა, თუმცა ერთად გატარებული 52 წელი ამ სიტყვების საწინააღმდეგო საუკეთესო არგუმენტია.

მისტერ ტეტჩერი ჭეშმარიტად ინგლისური იუმორით ეპყრობოდა რეპორტიორებს, რომლებიც მას ერთისა და იმავე ტიპის შეკითხვებს უსვამდნენ: „მაინც ვინ ატარებს შარვალს თქვენს ოჯახში?“ „მე და მევე ვრეცხავ და ვაუთოებ მას“. შეკითხვის პასუხად, ხომ არ უჭირდა რკინის ლედისთან ცხოვრება, დენისი მხოლოდ იღიმებოდა: „ოჯახი და დანარჩენი მსოფლიო მარგარეტს განსხვავებული თვალით უყურებენ, მსოფლიო მას რკინის ლედის უწოდებს, შვილები — „დე“-ს. მე მას სხვა მეტსახელი შევარქვი“. ცხადია, როგორც ჭეშმარიტ ჯენტლმენს, ეს მეტსახელი მას არასდროს გაუმხელია.

შეეძლო, დილის თერთმეტ საათზე შეეკვეთა ჯინი ტონიკით და ცოლის ალერსიან საყვედურზე, ძალიან ადრე ხომ არ არისო, ეპასუხა: „ძვირფასო, ჯინისთვის არ არსებობს ცნება „ადრე“. იგი 88 წლის ასაკში გარდაიცვალა და მისის ტეტჩერმა პირველად იგრძნო, რომ მის ზურგს უკან, სამი ნაბიჯის მოშორებით არავინ იდგა. სწორედ მაშინ ატირდა იგი პირველად სხვების დასანახად.

გათხოვების შემდეგ მარგარეტი პოლიტიკას ჩამოშორდა, იურისპრუდენციის სწავლა დაიწყო და მალე მიხვდა, რომ ორსულად იყო. ამასობაში ბრიტანეთში ტახტზე ელისაბედი ავიდა და ამით აღფრთოვანებულმა მარგარეტმა სტატია გამოაქვეყნა სათაურით: „გამოიღვიძეთ, ქალებო!“. „რატომ არ შეიძლება, რომ ქალი ფინანსთა ან პრემიერ-მინისტრი გახდეს?“ — დასვა მან შეკითხვა ერთ-ერთ გაზეთში. შეკითხვა: „რატომ არ შეიძლება, რომ ქალი პრემიერ-მინისტრი გახდეს?“ არ დაუსვამს, რადგან ამ შეკითხვის ფანტასტიკურობა მისთვისაც კი, ადვოკატობის მოსურნე ორსული დიასახლისისთვის, ნათელი იყო.

მშობიარობა 1953 წლის აგვისტოში, ვადამდე შვიდი კვირით ადრე დაეწყო. დენისი შინ არ აღმოჩნდა, იმ შაბათ დღეს დილიდანვე სადღაც წავიდა და გადაიკარგა. მარგარეტი მარტო მივიდა საავადმყოფოში, მარტო იტანჯებოდა, მისი ქმარი კი ამასობაში კრიკეტში საყვარელ გუნდს გულშემატკივრობდა, შემდეგ გამარჯვებას აღნიშნავდა და არ იცოდა, რომ ტყუპების მამა გახდა.

საავადმყოფოში გატარებულმა ორმა კვირამ მარგარეტ ტეტჩერი აქტიურ ცხოვრებას დაუბრუნა. ამ გადამწყვეტ მომენტს იგი თავად ასე იხსენებდა:

— მახსოვს, ვიწექი და ვფიქრობდი: „ახლა თუ არ დავწერე განცხდება გამოსაშვებ გამოცდებზე დაშვების შესახებ, ვერც ველარასოდეს დავწერ“ და საკუთარი თავი აიძულა, ასე მოქცეულიყო.

— მაისში — შუალედური გამოცდები, აგვისტოში — ტყუპები, დეკემბერში — ადვოკატის გამოსაშვები გამოცდები. ერთი მანახვეთ ქალი, რომელიც თუნდაც იმავეს გამეორებას შეძლებდა, — ტრაბახობდა შემდეგ დენისი მეგობრებთან.

ბოროტი ენები კი ამბობდნენ, რომ ტყუპებიც კი ტეტჩერის „ეფექტურობის პროდუქტები“ იყვნენ. მარკი და კეროლი რომ წამოზარდნენ, დედას შვრიის ცივი ფაფაც შეახსენეს და სხვა ძველი წყენებიც ჩამოუთვალეს.

მარკისა და კეროლის ტირილი მისთვის სრულ მოულოდნელობას წარმოადგენდა — ის ხომ დარწმუნებული იყო, რომ საუკეთესო გადაწყვეტილება მიიღო.

მრავალი წლის შემდეგ ცრემლების ღვრა თავად მარგარეტს მოუხდა. მარკი აფრიკაში რალიზე რომ გაიპარა, ბრიტანეთის სპეცსამსახურები ფეხზე დააყენეს, მან კი თავი არ შეიწუხა და მშობლებს ტელეფონით ორიოდე სიტყვაც არ აღირსა. რომ გაიზარდა, ტეტჩერის თანაშემწეებს თავისი სულელური თხოვნებით თავს აბეზრებდა. ბოლოს და ბოლოს, მამამ იგი თავის ფირმაში აიყვანა და ოკეანის გაღმა გაგზავნა სამუშაოდ. იქ მარკმა იქორწინა და მალე თავისი დედა ბებიად აქცია.

რაც შეეხება კეროლს, მთელი ცხოვრება იგი დედის

## ინგლისის ყოფილი პრემიერი ჩანთით დანას დაატარებდა

ჩრდილიდან გამოსვლას ცდილობდა. კარგად სწავლობდა, ავსტრალიაში, შემდეგ ინგლისში ჟურნალისტად მუშაობდა, მაგრამ ხშირად შეახსენებდნენ ხოლმე, თუ ვისი ქალიშვილი იყო და ამიტომ სამსახურიდან პირველს ითხოვდნენ.

სიყვარულში კიდევ უფრო ნაკლებად სწყალობდა ბედი. მამაკაცები მას მხოლოდ პოლიტიკური კარიერის განვითარების შესაძლებლობად მიიჩნევდნენ. მოკლედ, კეროლს იმან, რომ თავისი პოლიტიკოსი დედის შვილი იყო, ტკივილის გარდა, არაფერი მოუტანა, მარკი კი, პირიქით, ამის ხარჯზე არსებობდა.

თუმცა, მხოლოდ მისი შვილები არ იტანჯებოდნენ. 1950 წელს მარგარეტი ბრიტანეთის პარლამენტში მოხვდა, ორი წლის შემდეგ კი პენსიისა და სახელმწიფო დაზღვევის სამინისტროში ადგილი შესთავაზეს. ამ მომენტისათვის ტყუპები 8 წლის იყვნენ, დენისი კი კვლავ შინ არ იყო. მიუხედავად ამისა, მას ერთი წუთითაც არ უყოყმანია.

ზენიტისაკენ შემდეგ ნაბიჯად განათლების მინისტრის პოსტი იქცა. ამჯერად მას ფულის დაზოგვა მთელი ქვეყნის ფარგლებში მოუხდა. მარგარეტ ტეტჩერმა 7-დან 11 წლამდე მოსწავლეებისთვის უფასო რძის დარიგების პროგრამა გააუქმა. ეკონომიამ 19 მილიონი დოლარი შეადგინა, სამაგიეროდ მეტსახელი „ტეტჩერ — მილქ სნეთჩერ“ — „ტეტჩერი — რძის მიმტაცებელი“ მიაკერეს, რომელიც ველარ მოიშორა.

ცოდვა გამხელილი სჯობს და ქმარ-შვილს ოფიციალური სადილებიდან კერძების მონარჩენით კვებავდა — „მოხერხებული და ეკონომიკურია, გარდა ამისა, გადასახადების გადამხდელთა ფულს ხომ არ გადავყრით?“

მიუხედავად ამისა, მაინც სძულდათ იგი. ერთხელ ვიღაცამ აგურიც კი ესროლა, რომელმაც მკერდზე დიდი მუქი ლაქა დაუტოვა. პარლამენტში რომ მიდიოდა, პირველ რიგებში ჩურჩულებდნენ: „ეს წყეული დედაკაცი ისევ მოვიდა“, უკანა რიგებიდან კი ისმოდა: „აქედან გაეთრიე, ძაღლისშვილო!“ ინგლისის პარლამენტში ოპონენტისათვის ცრუსა და მატყუარას წოდება აკრძალული იყო, ძაღლისშვილის შესახებ კი რეგლამენტში არაფერი იყო ნათქვამი.

— რა ჯანდაბად გინდა, — ეკითხებოდა დენისი, — მიაფურთხე და წამოდი!

მიუხედავად იმისა, რომ ლოყებზე ცრემლი ღვარად ჩამოსდიოდა, ტეტჩერი უარზე იყო.

— არც გაიფიქრო, რაც არ მინდა, იმას ვერავინ გამაკეთებინებს, — აცხადებდა იგი.

ამასობაში კი ბრიტანეთში ხელისუფლების სათავეში კვლავ ლეიბორისტები მივიდნენ, რომლებიც „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ მშენებლობას შეუდგნენ. დიდი რაოდენობით სოციალური შეღავათები მიიღეს, რომლებმაც ხაზინა დააცარიელა.

საქმე მართლაც ცუდად შემოტრიალდა და არავინ იცოდა, რა უნდა ელონათ. ტეტჩერმა კი იცოდა და საკუთარ ძალებში დარწმუნებული იყო.

„დაე, დავამკვიდროთ თანხმობა იქ, სადაც უთანხმოება სუფევს, დავამკვიდროთ ჭეშმარიტება იქ, სადაც შეცდომა სუფევს, დავამკვიდროთ იმედი იქ, სადაც სასოწარკვეთილება სუფევს“ — ეს სიტყვები წარმოთქვა მარგარეტ ტეტჩერმა 1979 წელს დაუნინ სტრიტზე პრემიერ-მინისტრის რეზიდენციის დაკავების დროს.

ბრბო, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ მის მიმართ სიძულვილს არ მალავდა, დღეს ერთხმად გაიძახოდა: „ჩვენი სიმბოლო ლურჯი ფერია, ჩვენი ლიდერი მეგია“.

მაგრამ საქმე მაინც უკან-უკან მიდიოდა. მარგარეტ ტეტჩერის პოლიტიკური კარიერა ომმა გადაარჩინა, ნამდვილმა ომმა, რომელიც შორეული ფოლკლენდის კუნძულებისათვის დაიწყო. 1982 წლის 10 მარტს ამ კუნძულებზე 40 არგენტინელი გადაჯდა. თავდაპირველად ეს ყველაფერი ანეკდოტს ჰგავდა — 750 ათასი ცხვრისა და მილიონობით პინგვინისათვის დაწყებული ომი სასაცილოდ არავის ჰყოფნიდა, მაგრამ არგენტინელები მეტად სერიოზულად იყვნენ განწყობილი. ორი თვის განმავლობაში ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა, მარგარეტ ტეტჩერის პოლიტიკური მდგომარეობა კი კარდინალურად შეიცვალა. მისმა ოპონენტებმა უკვე იცოდნენ, რა ლითონისაგან იყო ჩამოსხმული „რკინის ლედი“. მან ბრიტანეთში 1.5 მილიარდი არგენტინული აქტივები გაყინა, სამხედრო ესკადრა ზღვაში გაიყვანა. დიდმა ბრიტანეთმა და მარგარეტ ტეტჩერმა გაიმარჯვეს და ინგლისელებმა იგი შეიყვარეს.

ჩერჩილის დროს ბრიტანეთი მსოფლიოს უმდიდრეს ქვეყნად ითვლებოდა, 70-იანი წლების ბოლოს კი ვითარება შეიცვალა. დიდი ბრიტანეთი ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის ოდენობით პირველ ოცეულში რის ვაი-ვაგლახით მოხვდა — მე-19 ადგილზე გავიდა. მარგარეტ ტეტჩერი მოგვიანებით ამბობდა, რომ მაშინ ბრიტანეთის ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა. მან ქვეყნის „შეჯანჯღარება“ გადაწყვიტა. ოთხი წლის განმავლობაში 1984-დან 1988 წლამდე აქციების მფლობელი ბრიტანელების რიცხვი სამჯერ გაიზარდა. მათ ნამდვილი აქციები შეიძინეს და არა ის ვაუჩერები, რომლებიც პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში მოსახლეობას დაურიგეს.

აქციების გაყიდვამ, გარდა იმისა, რომ მოგება გაზარდა და პროდუქციის თვითღირებულება შეამცირა, ბრიტანელებს საკუთრების ფილოსოფია ასწავლა. ინფლაცია ორ-სამჯერ შემცირდა, მილიონამდე ბრიტანელი სახლების მფლობელი გახდა. ლედი ტეტჩერის მოწოდებით მათ მუნიციპალური სახლები გამოისყიდეს, თანაც ფასდაკლებამ 60% შეადგინა.

მარგარეტ ტეტჩერმა ეკონომიკის განვითარების საშუალებით მსოფლიოში ბრიტანეთის რეპუტაციის აღდგენა მოახერხა და ამ მიზანს მან ბირთვული ომის შანტაჟის გარეშე მიაღწია.

არც ერთი ბრიტანელი პრემიერ-მინისტრი არ მოხვედრილა იმდენ გამოუვალ მდგომარეობაში, რამდენშიც მარგარეტ ტეტჩერი აღმოჩნდა, მაგრამ ყველა საფრთხეს გაუძლო.

ყველაზე მძიმე, ალბათ, პროფკავშირებთან ომი იყო. პროფკავშირებს მიაჩნდათ, რომ ისინი მთავრობაზე ძლიერნი იყვნენ და თავიანთ ძალაუფლებას ბოროტად იყენებდნენ. პრემიერ-მინისტრი დარწმუნებული იყო, რომ პროფკავშირები, უფრო ზუსტად, მისი ბოსები ინგლისის თავისუფალი მეწარმეობის სისტემის დანგრევასა და მის ცენტრალიზებული სისტემით შეცვლას ცდილობდნენ.

იგი ამტკიცებდა, რომ, გარდა მსხვილი ფირმებისა, გაფიცვების შედეგად გაკოტრდებოდნენ წვრილ-წვრილი ფირმებიც, რაც ბრიტანეთის ეკონომიკის საფუძველს შეადგენდა.

მარგარეტ ტეტჩერის პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებული მომენტია 1984-85 წლების მაღაროელების გაფიცვა. ფოლკლენდის ომის დროს მარგარეტ ტეტჩერმა მსოფლიოს აჩვენა, თუ რა კატეგორიული შეიძლება ყოფილიყო საგარეო ასპარეზზე, მაღაროელების გაფიცვის შემთხვევაში კი კრიზისულ ვითარებაში ქვეყნის მართვის უნარი გამოამჟღავნა. გარდა იმისა, რომ დასვა შეკითხვა: „ვინ მართავს ბრიტანეთს?“ მისი პასუხიც თვალნათლივ აჩვენა ყველას. მთავრობა წინასწარ მოემზადა გაფიცვისათვის, ელექტროსადგურებისათვის ქვანახშირი მოიმარაგა, შექმნა დამატებითი საცავები, რომლებსაც აუცილებლობის შემთხვევაში ბრიტანეთში ქვანახშირის იმპორტისათვის გამოიყენებდნენ. მოკლედ, ერთი წლის შემდეგ გაფიცვა შეწყდა, პრემიერ-მინისტრმა გაიმარჯვა, პროფკავშირები წელში გადაამტვრიეს.

თუმცა, წარმატება იოლი არ ყოფილა. პროფკავშირებში 11 მილიონი ბრიტანელი იყო გაერთიანებული და უკლებლივ ყველას პრემიერ-მინისტრი სძულდა.

მისი მმართველობის პირველი წლები მართლაც საშინელი იყო. 1980 წელს წამლების ფასი ორჯერ გაიზარდა, 1983 წლამდე — ექვსჯერ. იზრდებოდა უმუშევრობა, ლეიბორისტების დროს ქვეყანაში მილიონი უმუშევარი იყო, ტეტჩერის მოსვლის შემდეგ უმუშევრების რიცხვი 3 მილიონამდე გაიზარდა. მას ბრალდებად ის წაუყენეს, რომ მილიონობით ბრიტანელი უმუშევარი იყო, თუმცა ტეტჩერს სხვა არითმეტიკა ჰქონდა: „დიახ, რვიდან ერთი ბრიტანელი უმუშევარია. ეს ძალიან ბევრია, მაგრამ რვიდან შვიდი მუშაობს“.

კოლეგებთან ურთიერთობაში უცერემონიო იყო, „პრემიერის ხელჩანთაში ჩადებული“ დანის შესახებაც ბევრს ლაპარაკობდნენ. ამ დანით იგი თავისი ადმინისტრაციის წევრებს „უსწორდებოდა“, მათ, ვისაც „ერთ-ერთ ჩვენგანს“ ვერ უწოდებდა.

მმართველობის ოცი წლის განმავლობაში 22 მინისტრი დაითხოვა. თავის კაბინეტში მიიწვევდა ხოლმე, პირდაპირ თვალებში ჩახედავდა და ეუბნებოდა: „თქვენს ადგილას სხვა პიროვნების ხილვას ვისურვებდი“. სულ კაბინეტში 200-მდე გადანაცვლება მოახდინა.

ხშირად უყვარდა თქმა: „თუ გინდათ, რომ რაიმე ითქვას, მამაკაცს სთხოვეთ, თუ გინდათ, რომ რაიმე გაკეთდეს, ქალს სთხოვეთ“, გარდა ამისა, იმეორებდა სოფოკლეს სიტყვებს: „ქალი მამამაცს რომ გაუთანასწორდა, მაშინვე უპირატესობა მოიპოვა“.

თუმცა მისი მმართველობის პერიოდში მინისტრთა კაბინეტში მხოლოდ ერთი ქალი შევიდა.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# ოჯახის შექმნასა და უცხოურ კლუბზე ვოცნებობ

დასაწყისი მე-16 გვერდზე

იშვილისა და ალექსანდრე კვახაძის ოჯახებს, სადაც მყავდა კიდეც ოჯახის წევრები. ძალიან დიდი პატივი მცეს ბიჭებმა.

**— *საქართველოს ნაკრებში თამაშმა უფრო პოპულარული გაგხადათ?***

— ნამდვილად. საქართველოს ჩემპიონატის მატჩებზე ბევრი გულშემატკივარი არ დადის და ფეხბურთელები არც გვარებით იციან და არც ვიზუალურად. ნაკრებში გამოძახების შემდეგ მართლაც მცნობენ. მართალია, თავს არ იკლავენ ავტოგრაფებზე, მაგრამ ვხვდები, რომ მიცნეს, ხოლო პატარა ბავშვები ერთმანეთსაც უთითებენ ჩემზე.

**— *ფეხბურთი დიდ დატვირთვას მოითხოვს... თავისუფალი დრო თუ გრჩებათ და როგორ ატარებთ?***

— ძირითადად — მეგობრებთან ერთად. ვერთობით კომპიუტერით, ბილიარდით, მაგრამ საფირმო გასართობი და ყველაზე პოპულარული მაინც ჯოკერია.

**— *ჯოკერის თამაშის დროს ამორჩეული გყავთ ვინმე წყვილში თუ იცვლებით ხოლმე?***

— წყვილში ვინ მეყოლება, სულ ერთია. მთავარია, თამაში იცოდეს და ტყუილად არ იჯდეს. ისე, ერთი და იგივე წყვილი ხშირად არ ვთამაშობთ, რომ მერე არ იყოს, თქვენ ერთმანეთთან ხართ სულ და მინიშნებები გაქვთო. ამას რომ მოვერიდო, ხშირად ვიცვლებით ხოლმე.

**— *ინტერესს აძლევთ თამაშს რამე ნიძლავის სახით?***

— რა თქმა უნდა, პატარა ინტერესს ვაძლევთ, რათა თამაში უფრო აზრიანი, აზარტული და საინტერესო გამოვიდეს.

**— *ძირითადი დატვირთვა რაზე მოდის ნიძლავის დროს?***

— ხინკალზე. ყველაზე ხშირად მას ვანიჭებთ უპირატესობას. ძალიან იშვიათად, თუ თამაშებს შორის პაუზები გვაქვს, რესტორანზეც ვთამაშობთ.

**— *აზარტული ხართ? ტოტალიზატორს თამაშობთ?***

— არა. ფულზე თამაში არ მიყვარს. იმ ნიძლავებსაც მეგობრულ წრეში ვდებთ, მაინც ერთად უნდა წავიდეთ სადმე.

**— *კინო, თეატრი, მუსიკა?...***

— კინოსა და თეატრს მაინცდამაინც ვერ ვეწყობი. დიდხანს ვერ ვჩერდები ერთ ადგილზე, სამაგიეროდ, წყნარ მუსიკას ვუსმენ.

**— *თავად თუ უკრავთ ან ცეკვავთ?***

— დაკვრით — არა, მაგრამ ხანდახან, თუ კარგ ხასიათზე ვარ, ვცეკვავ, ძირითადად ქორწილში, დაბადების დღეზე ან რამე განსაკუთრებულ ბანკეტზე.

**— *ავტომობილი გაქვთ?***

— არა. საკუთარი ავტომობილი არ მაქვს. ხანდახან მეგობრების მანქანით ვმოძრაობ, თუ ძალიან აუცილებელი საქმეა.

**— *თქვენი საოცნებო მანქანა რომელია?***

— ბევრი კარგი მანქანაა, რომლის საჭესაც სიამოვნებით მივუჯდებოდი, მაგრამ, თუ არჩევაზე მიდგა საქმე, ყველაზე მეტად „იქს 6“ მომწონს.

**— *სწრაფად თუ დადიხართ მანქანით და პატრულთან თუ გქონიათ შეხება?***

— სწრაფად სიარული არ მიყვარს. რაც შეეხება პატრულთან ურთიერთობას, როგორც მძღოლს, მქონია, მაგრამ კონფლიქტური — არასდროს.

**— *როგორი სტილისა და ფირმის ჩასაცმელს ანიჭებთ უპირატესობას?***

— ამოჩემებული არაფერი მაქვს. უპირატესობას უფრო სპორტული სტილის ტანსაცმელს ვანიჭებ. რაც მომიხდება და კარგად მომერგება ტანზე, იმას ვიყიდი.

**— *სხვა ქვეყნის რომელ ნაკრებს და გუნდს გულშემატკივრობთ?***

— ინგლისის ნაკრებსა და „მანჩესტერ იუნაიტედს“. რაღაც, განსაკუთრებულად ლამაზ ფეხბურთს თამაშობენ და მსიამოვნებს მათი ყურება.

**— *კიდევ რა განიჭებთ სიამოვნებას ცხოვრებაში?***

— მეგობრებთან და საყვარელ ადამიანებთან ერთად ყოფნა დიდი სიამოვნებაა და მასზე არასდროს ვამბობ უარს.

**— *მეგობრები სხვა გუნდებშიც გყავთ, მაგალითად, ნიკოლოზ გელაშვილი, რომელიც „ზესტაფონში“ თამაშობს და სწორედ ხვალ უნდა შეხვდეთ. მოედანზე როგორი ურთიერთობა გაქვთ?***

— მეგობრობა ერთია, მაგრამ მოედანზე ყოფნისას ამას დროებით მეორე მხარეს ვდებთ, რადგან იმ წუთს ჩვენს საქმეს ვაკეთებთ, რომელიც კლუბის პატივისცემისთვის არის საჭირო.

**— *თავად მეტოქეზე რას იტყვით, როგორ თამაშს ელოდებით ზესტაფონში?***

— საქართველოში ერთ-ერთი ძლიერი გუნდია და მართლაც რთული მატჩი გვექნება, მაგრამ არც ჩვენ ვართ ნაკლები და შევეცდებით, ბრძოლა გავუმართოთ. თუ 3 ქულით წამოვედით იმერეთიდან, შესანიშნავი იქნება.

**— *წელს რა მიზნები აქვს „ვიტ ჯორჯიას“?***

— გუნდს მიზანი ყოველთვის ერთი აქვს — ჩემპიონობა. რატომღაც გასულ წლებში თასზე აქცენტს არ ვაკეთებდით. წელს გვინდოდა, ორივე ტიტულისთვის გვებრძოლა, მაგრამ იმავე „ზესტაფონთან“ 0:3 წავაგეთ და ვნახოთ, რა გამოგვივა საპასუხო მატჩში.

**— *თქვენ თუ გაქვთ რამე ოცნება, რომელიც რეალურთან ახლოს დგას?***

— როგორც ქართველი კაცისთვის, ჩემი ოცნება ლამაზი ოჯახის შექმნაა, როგორც ფეხბურთელისთვის — რომელიმე ნორმალურ უცხოურ კლუბში მოხვედრა.

**— *როგორც ფეხბურთელს, ოცნებისკენ ნაბიჯი გადადგმული გაქვთ. ოჯახის შესაქმნელად თუ გაქვთ იგივე ნაბიჯი გადადგმული?***

— კი, მაქვს.

**— *თქვენ — კი, მაგრამ მას?***

— აგერ არის და ჰკითხეთ.

ლუკამ მომხიბვლელი მანდილოსანი წარგვიდგინა, რომელთანაც ოჯახის შექმნას აპირებს. რა თქმა უნდა, მისი რჩეულიც თანახმაა, ლუკას გვერდით გაატაროს დარჩენილი ცხოვრება. მისი ვინაობის დასახელებისგან თავს შევიკავებთ, სამაგიეროდ, გეტყვით, თუ როგორ დაახასიათა მომავალმა საპატარძლომ ლუკა რაზმაძე.

— კარგი პიროვნებაა, წესიერი, კარგად აღზრდილი. ძალიან კეთილია, შრომისმოყვარე და მიზანდასახული. ამდენი დადებითი თვისება ერთ ადამიანში საკმარისზე მეტია.



# ვიქტორ ვალდესი: „რეალი ინდივიდუალური ოსტატობის მეშვეობით იგებს“

**„ბარსელონას" გამარჯვებების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი მეკარე ვიქტორ ვალდეს არიბასია, თუმცა კატალონიური კლუბის მეკარე თითქმის ყოველთვის შეუმჩნეველი რჩება.**

— ვალდესი ყოველთვის პირადი ტიტულების გარეშე რჩება და არც ესპანეთის ნაკრებში იწვევენ სათამაშოდ.

**— *ყველაზე დელიკატური კითხვით დავიწყოთ. რამდენად უნდა აღელვებდეს გულშემატკივარს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპიდან „ბარსელონას“ გასვლა?***

— მე ბრწყინვალედ მესმის, რომ ხალხი ნერვიულობს. სხვა კითხვაა, თუ როგორ უნდა ვიქცეოდეთ ჩვენ. ეს სიტუაცია ახალი არ არის, მწვრთნელი გვაფრთხილებდა, რომ ჯგუფური ეტაპი რთული იქნებოდა, მაგრამ გულშემატკივრებს უნდა ესმოდეთ, რომ გუნდი დარჩენილ ორ შეხვედრაში შესაძლებელსა და შეუძლებელს გააკეთებს.

**— *სამწუხაროდ, ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვების შემდეგ მომდევნო წელს ძირითადად სირთულეებია.***

— მე ყურადღებას არ ვაქცევ ასეთ დამთხვევებს. მაგალითად, „მანჩესტერ იუნაიტედმაც“ გაიმარჯვა ჩემპიონთა ლიგაში, წარმატებით გამოვიდა მომდევნო გათამაშებაშიც და კვლავ ფინალში ითამაშა.

**— *რას უპასუხებდით მათ, ვინც ამბობს, რომ გუნდი უკვე არც ისეთი კარგია, როგორც გასულ სეზონში და თავის მიმართ მოთხოვნების დონე დაეცა?***

— იმას, რომ ისინი ცდებიან, იმიტომ, რომ ყველაფერი პირიქითაა. ჩვენი ჩვენდამი მოთხოვნები გაიზარდა. ჩვენთვის გასაგებია, რომ წარმატების გამეორებისათვის მაქსიმალური დახარჯვაა საჭირო.

**— *მაპატიეთ ჯინიანობისთვის, მაგრამ შეგვიძლია კი ჩვენ წარსულისგან აბსტრაგირება?***

— გვარდიოლა არასდროს დაუშვებს შეცდომებს. არსებობს მუშაობის წესები და არის საგნები, რასაც არ შეიძლება, ყურადღება არ მიაქციო შეჯიბრების დროს. ეს ჩვენი გუნდის ერთ-ერთი საიდუმლოა.

**— *მწვრთნელის პიროვნება ყველაფერს წყვეტს?***

— პეპს არ შეუძლია არაფრის დაშვება. მას აქვს მუშაობისა და საგნების აღქმის თავისებური მანერა და, თუ ყოველთვის კონცენტრაციას გააკეთებ მხოლოდ და მხოლოდ ერთ მატჩზე, მის შედეგზე, მწვრთნელის არც ერთი მითითება არ გამოგრჩება.

**— *ცოტა ჩემპიონატზეც ვისაუბროთ. ჩემპიონობისთვის ორი გუნდი იბრძოლებს? მიუხედავად მიმდინარე პრობლემებისა, „რეალი“ ბოლომდე ფავორიტთა რიცხვში იქნება?***

— მე იმათ რიცხვს მივეკუთვნები, ვისაც ურჩევნია, თავის თავზე იყოს დამოკიდებული, მაგრამ „რეალზე“ შემიძლია ვთქვა, თუ გნებავთ, რომ ეს მუშაობის სრულიად სხვა სტილია. მათ ბევრი შენაძენი აქვთ, რომ ურთიერთგაგების შესამუშავებლად საჭიროა დრო. ჯერჯერობით კი ისინი მოთამაშეების ინდივიდუალური ოსტატობის მეშვეობით იგებენ. დარწმუნებული ვარ, ბოლომდე მივლენ, თუმცა, რა თქმა უნდა, იქნებიან სხვა მეტოქეებიც.

**— *თქვენთვის გასაგებია, რა სჭირს რაულს?***

— ასეთი მოთამაშეები მოედანზე მუდამ უნდა გამოდიოდნენ იმ სულისკვეთების გამო, რომელსაც ის თავის მეგობრებს შთაუნერგავს და აგრეთვე იმ ემოციების გამოც, რომელსაც გულშემატკივრები გრძნობენ. ის ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურაა. სხვა კითხვაა, რა გადაწყვეტილებას მიიღებს მწვრთნელი, როგორია მოთამაშის ფიზიკური მდგომარეობა, შემცვლელები...

**— *ჩვენ ვისაუბრეთ ჩემპიონთა ლიგასა და ესპანეთის ჩემპიონატზე, მაგრამ დარჩა კიდევ ერთი შეჯიბრი, რომელსაც გუნდის უმრავლესობა განსაკუთრებულად მიიჩნევს.***

— და მართლაც, ის განსაკუთრებულია. ალბათ, კლუბებს შორის მსოფლიო ჩემპიონატს გულისხმობთ.

**— *ზუსტად მიხვდით.***

— შემიძლია დაგარწმუნოთ და გამიგებთ, რომ ამას ალალად ვამბობ — ჩვენ ყველაფერს დავდებთ. არც მე და გუნდში არც ჩემი მეგობრების უმრავლესობას ეს ტიტული არ აქვს. თავის დროზე ჩვენ დავუშვით შეცდომები და არ გვინდა მათი გამეორება.

**— *რა არის ამ ტურნირში თქვენთვის ასეთი განსაკუთრებული?***

— „ბარსელონას“ არასდროს მოუგია ეს შეჯიბრი. ამის გარდა, კლუბებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება 2009 წლის ბრწყინვალე დასასრული იქნებოდა.

**— *თქვენ ჩაატარეთ 324 მატჩი „ბარსას“ შემადგენლობაში. იცით, რომ კლუბის ისტორიაში მეკარეებს შორის მეოთხე ადგილზე ხართ?***

— პირველი, რაც ამ ფაქტების შეხსენების დროს მომდის თავში, ისაა, რომ 27 წლის ვარ და იანვარში შემისრულდება 28. „ვზერდები“. სერიოზულად კი, რა თქმა უნდა, ეს რეკორდები ლამაზია და სიამაყის საბაბია.

**— *რაფაელ მარკესმა თქვა, რომ კლუბის ისტორიაში კვალის დატოვება სურდა. თქვენ?***

— ჩემთვის ეს არც ისე მნიშვნელოვანია. მთავარია, გაღიარონ მეგობრებმა და მწვრთნელმა, მოიგო ყველა შესაძლებელი ჯილდო. ზუსტად ეს გრჩება და ინახავ სათუთად.

**— *გასული ზაფხულის საუბრები დავიწყებულია?***

— ძალიან კმაყოფილი ვარ. ჩემზე ბევრს ლაპარაკობდნენ, თუმცა — უსაბაბოდ. კრიტიკა ჩაჩუმდა, სხვათა შორის, იმიტომ, რომ საინფორმაციო საშუალებები ცოტას ლაპარაკობდნენ იმაზე, რასაც მე ვამბობდი — კლუბში დარჩენის სურვილზე. მეტი არაფერი.

**— *ჩიკიმ თქვა, რომ ყველაზე რთული ვიქტორ ვალდესის კონტრაქტის გაგრძელება იყო.***

— კონტრაქტის გაგრძელებისას ყველა თავის ინტერესებს იცავს. ჩემზე ბევრი ილაპარაკეს და, პრაქტიკულად, გამჭყლიტეს, მაგრამ ეს ყველაფერი წყნარად აღვიქვი და არასდროს გამომიხატავს ჩემი უთანხმოება ან კლუბის დატოვების სურვილი. ბევრი ტყუილი ილაპარაკეს. როდესაც ყველა დაშოშმინდა, ჩვენ შეთანხმებამდეც მივედით.

**— *ყოველივე ამან უარყოფით შედეგებამდე მიგიყვანათ?***

— არა. მე ხომ მესმის, რომ ნებისმიერი კონტრაქტის განახლება სირთულეებს იწვევს. მივეჩვიე ყველაფერს და, როდესაც საკითხი გადაწყვეტილია, ის წარსულშია.

**— *ვიქტორ ვალდესს აფასებენ და დიდად არ სჯიან, მაგრამ არის შეგრძნება, რომ არ არის საკმარისი აღიარება. მაგალითად, არის ინდივიდუალური ჯილდოების უმრავლესობა, რომლებიც თქვენ არ გეკუთვნით.***

— თქვენ საკმარისად მიცნობთ, რომ გესმოდეთ — ეს დიდად არ მაღელვებს. თავშიც კი არ მომდის ასეთი აზრები, სანამ „ბარსაში“ ყველაფერი კარგად მაქვს. ჩვენ ვიგებთ ჯილდოებს, ბედნიერი ვარ. ეს ნორმალურია, რომ დამცავი ხაზის ფეხბურთელებს არ აქვთ ფართო სახალხო აღიარება, შეიძლება ითქვას, თავის დროზე, კანავაროს გარდა, მსგავსი ფაქტები არ ყოფილა. ფეხბურთი სანახაობაა და მთავარი მოვლენები მოედნის ცენტრსა და შეტევაში განვითარდება. ჩემთვის საკმარისი მწვრთნელისა და მეგობრების თანადგომაა.

**— *არც ესპანეთის ნაკრებში გიწევთ კარებში დგომა...***

— არასდროს მითამაშია ნაკრებში. ნაკრების მთავარი მწვრთნელის გადაწყვეტილებებს პატივი უნდა ვცეთ. მე არასდროს განმისჯია ისინი. ჩემი „ბარსელონაში“ მუშაობის გამო შემიძლია მხოლოდ ვუსურვო ჩემს თავს ნაკრებში მოხვედრა.

**— *ძალიან ახლოს არის მსოფლიო ჩემპიონატი სამხრეთ აფრიკაში.***

— ძალიან მინდა, ვითამაშო მსოფლიო ჩემპიონატზე და ვიბრძოლებ, ყველა შანსი გამოვიყენო.

**— *ვიდრე საუბარს დავასრულებდეთ, ერთი საიდუმლო გამიმხილეთ. ზლატან იბრაჰიმოვიჩი ისე ძლიერად ურტყამს ბურთს, როგორც ამბობენ?***

— ეს მართალია. იბრა შესანიშნავი თავდამსხმელია, ძალიან ძლიერი დარტყმით. ის სჭირდება „ბარსას“ და ამ პირველ თვეებში მან კიდეც დაამტკიცა ეს. იბრამ შეტევაში დამატებითი ძალა შეგვმატა. ის უდიდესი პროფესიონალია.

**— *ამასთან, იბრაჰიმოვიჩის მოსვლით ახლა „ბარსას“ შეუძლია, ბრწყინვალედ ითამაშოს საჰაერო ორთაბრძოლებისას.***

— ადრეც. სერიოზულად კი გვარდიოლას აქვს კარგი საშუალება იმ შემთხვევისთვის, თუ პრესინგს დაგვიპირებენ. ჩვენ ვცდილობთ, გამოვიყენოთ იბრას სიმაღლე, რომ რთულ სიტუაციებში გავიიოლოთ ბურთის გადაცემა.





მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.
შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.

დარეკეთ!

მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607

ახალი ქსელები 700 608

გაერთიანებული ტელეკომი 608 608



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად
შეგიძლიათ გამოიყენოთ
სწრაფი გადახდის აპარატები

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.

## ორშაბათი 23 ნოემბერი

**08.00** ან. სერიალი "პიტი და კენტროფი" **08.30** სერიალი "**ფილიპის ფილოსოფია**" **09.00** **გიორგობა** (ტრანსლაცია სამების ტაძრიდან) **14.00** მეხსიერება **15.00** სერიალი "**პირისპირ**" **16.00, 20.00** მოამბე **17.00** ან. სერიალი "ადამიანი-ობობა" **18.00** დოკ. ფილმი "ჯგრაგი" **19.05** "მეხსიერება" **20.45** "ნანინა" **21.00** სერიალი "**ელიზას ქალიშვილი**" **22.00** თოქ-შოუ "არენა" **23.30** "ერთი ისტორია" **00.00** კიკბოქსინგი **01.30** მხ. ფილმი "**გადაუხადე სხვას**" (12)

**19.00** ან. ფილმი "პიტი და კენტროფი" **19.25** ნანინა **19.40** სერიალი "ფილიპის ფილოსოფია" **20.10** მეხსიერება **21.05** სერიალი "**პირისპირ**" **22.00** სერიალი "**ელიზას ქალიშვილი**" ~~23.00~~ ქართული დოკუმენტალისტიკა – ბრაზინსკების საქმე **23.50** მხ. ფილმი "**ფეხშიშველა ქვაფენილზე**"(U)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერიალი "**შურისძიების ცეცხლში**" **11.00** ვანოს შოუ **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.40** კურიერი **12.20** სერ. "**გზა დიდებისკენ**" **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** სერიალი "**უფრთხილდი ანგელოზს**" **15.25** სერიალი "**ჩვენი ოფისი**" **15.50** სერიალი "**გულის ძახილი**" **16.50** სერიალი "**დონ ხუანი და ლამაზმანი**" **18.30** სერიალი "**ჩვენი ოფისი**" **19.00** სერიალი "**ჟამი ყვავილობისა**" **19.50** სერიალი "**ანხელის საიდუმლო**" **22.00** ჯეოსტარი **00.00** საფეხბურთო ღამე **01.30** პატრული **02.00** მხ. ფილმი "**ვესტსაიდური ამბავი**" (12)

**08.00** მულტფილმი "იასამნის ციხესიმაგრე" **09.00** სერიალი "**მარია ემილია**" **09.50** სერიალი "**ჩემი შეყვარებული**" **10.50** სერიალი "**ტყუპები**" **11.50** სერიალი "**სი-ეს-აი**" **12.40** მხ. ფილმი **15.00** სერიალი "**მარტოხელა მტრედი**" **15.50** მხ. ფილმი **18.00** სერიალი "**ტყუპები**" **19.00** სერიალი "**ჩენტო ვეტრინე**" **20.00** ზღაპარიყო **20.15** სიცილი მზეზე **21.25** ვიქტორინა "ქეშ შოუ" **22.30** სერიალი "**ჩემი შეყვარებული**" **23.30** სერიალი "**სი-ეს-აი**" **00.30** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **10.00** სერიალი "**ორმაგი თამაში**" **11.25, 14.35** ტვ-მარკეტი **11.40** დოკ. ფილმი "ყველაზე, ყველაზე, ყველაზე" **12.00** სერიალი "**ვინმე**" **13.00** სერიალი "**მარადიული გრძნობა**" **15.00** ღამის შოუ **16.00** სერიალი "**განრისხებული ანგელოზი**" **17.35** დოკ. ფილმი "ყველაზე, ყველაზე, ყველაზე" **18.00** სერიალი "**სიყვარულის აჩრდილი**" **19.05** სერიალი "**მარადიული გრძნობა**" **21.00** სერიალი "**განრისხებული ანგელოზი**" **22.00** მხ. ფილმი "**ამბავი სურამის ციხისა**" **00.00** სერიალი "**ვინმე**" **01.00** მხ. ფილმი **02.35** ქრონიკა **02.50** სერიალი "**კლონი**"

**08.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **08.15** მულტფილმი **08.45** მხ. ფილმი "**ასტერიქსი და ობელიქსი, მისია კლეოპატრა**" **10.30, 19.30** სერიალი "**სამოთხის კუთხეები**" **11.45, 21.00** სერიალი "**ცხოვრების ქარცეცხლში**" **12.45** მხ. ფილმი "**ჰოლივუდის ნიშანი**" **14.50** "ფერისცვალება" **15.20** მხ. ფილმი "**ჰაკერები**" **18.00** დოკ. ფილმი **19.00** ნოვოსტი **21.25** ტელევიქტორინა **23.00** პერსონა **23.30** მხ. ფ. "**ანდეგრაუნდი**"

ერთსულოვნება 08.30 ახალი აღთქმის განმარტება **09.00** წმინდა დიდმოწამე გიორგის ხსენების დღე. ტრანსლაცია ქაშვეთის ტაძრიდან **13.00** საეკლესიო კალენდარი **13.05** მულტფილმი **13.10** კონცერტი **13.55** კვირიაკე **14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **15.00, 18.00, 21.00, 00.05** საგალობელი **15.05** საეკლესიო კალენდარი **15.10** მულტფილმი "წუნა და წრუწუნა" **15.30** მხ. ფილმი "**აბეზარა**" **17.00** დოკ. ფილმები "ერთადერთი რუსთაველზე", "კარიბჭე" **17.30** გაცოცხლებული წარსული **18.05** პატრიარქის ქადაგება **18.30** საქ. არქივიდან **19.15** მხ. ფილმი "**იყო შაშვი მგალობელი**" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** დედა ეკლესია **22.00** სიახლენი **22.20** ერთსულოვანი ოჯახი **22.40** დოკ. ფილმი "წმინდა დიდმოწამე გიორგი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "ჯგრაგი" **00.00** პატრიარქის ქადაგება

## სამშაბათი 24 ნოემბერი

**08.00** ან. სერიალი "პიტი და კენტროფი" **08.30** სერიალი "**ფილიპის ფილოსოფია**" **09.00** დოკ. ფილმი "მსოფლიო ქალაქები" **10.00, 12.00, 16.00, 20.00** მოამბე **10.10** მხ. ფილმი "**სიყვარული სიკვდილამდე**" **12.30** სერიალი "**ელიზას ქალიშვილი**" **13.30** დოკ. ფილმი "აფრიკა, ჯადოსნური კონტინენტი" **14.00** მეხსიერება **15.00** სერიალი "**პირისპირ**" **17.00** ან. სერიალი "ადამიანი-ობობა" **18.00** დოკ. ფილმი "სამყარო" **19.05** "მეხსიერება" **20.45** "ნანინა" **21.00** სერიალი "**ელიზას ქალიშვილი**" **22.00** დიალოგი **23.00** სერიალი "**სულებთან მოჩურჩულე**" (12) **23.40** **ჩემპიონთა ლიგა**. **01.50** მოამბე **02.10** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა

**19.00** ან. ფილმი "პიტი და კენტროფი" **19.25** ნანინა **19.40** სერიალი "ფილიპის ფილოსოფია" **20.10** მეხსიერება **21.05** სერიალი "**პირისპირ**" **22.00** სერიალი "**ელიზას ქალიშვილი**" **23.00** სერიალი "**სულებთან მოჩურჩულე**" **23.50** მხ. ფილმი "**გადაუხადე სხვას**" (12)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერიალი "**შურისძიების ცეცხლში**" **11.00** კომედი შოუ **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.40** კურიერი **12.20** სერ. "**გზა დიდებისკენ**" **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** სერიალი "**უფრთხილდი ანგელოზს**" **15.25** სერიალი "**ჩვენი ოფისი**" **15.50** სერიალი "**გულის ძახილი**" **16.50** სერიალი "**დონ ხუანი და ლამაზმანი**" **18.30** სერიალი "**ჩვენი ოფისი**" **19.00** სერიალი "**ჟამი ყვავილობისა**" **19.50** სერიალი "**ანხელის საიდუმლო**" **22.00** ვა-ბანკი **22.50** სერიალი "**ექიმი ჰაუსი**" **23.40** **ჩემპიონთა ლიგა**. "ფიორენტინა" – "ლიონი" **01.40** პატრული

**08.00** მულტფილმი "იასამნის ციხესიმაგრე" **09.00** სერიალი "**მარია ემილია**" **09.50** სერიალი "**ჩემი შეყვარებული**" **10.50** სერიალი "**ტყუპები**" **12.00** სერიალი "**სი-ეს-აი**" **12.40** მხ. ფილმი **15.00** სერიალი "**მარტოხელა მტრედი**" **15.50** მხ. ფილმი **18.00** სერიალი "**ტყუპები**" **19.00** სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **20.00** ზღაპარიყო **20.15** ეტალონი **21.25** ვიქტორინა "ქეშ შოუ" **22.30** სერიალი "**ჩემი შეყვარებული**" **23.30** სერიალი "**სი-ეს-აი**" **00.30** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **10.00** სერ. "**ორმაგი თამაში**" **11.25, 14.35** ტვ-მარკეტი **11.40** დოკ. ფილმი "ყველაზე, ყველაზე, ყველაზე" **12.00** სერიალი "**ვინმე**" **13.00** სერიალი "**მარადიული გრძნობა**" **15.00** მხ. ფილმი "**დათა თუთაშხია**" მე-3 ს. **16.00** სერიალი "**განრისხებული ანგელოზი**" **17.35** დოკ. ფილმი "ყველაზე, ყველაზე, ყველაზე" **18.00** სერიალი "**სიყვარულის აჩრდილი**" **19.05** სერიალი "**მარადიული გრძნობა**" **21.00** სერიალი "**განრისხებული ანგელოზი**" **22.00** სიმართლის დრო **23.00** ქ. სერიალი "**კლინიკა**" **00.00** სერიალი "**უილ თრეველერის საიდუმლო**" **01.00** მხ. ფილმი **03.05** ქრონიკა **03.20** სერიალი "**კლონი**"

**08.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **08.15** მულტფილმი **08.45** მხ. ფილმი "**ასტერიქსი და ობელიქსი ცეზარის წინააღმდეგ**" **10.30, 19.30** სერიალი "**სამოთხის კუთხეები**" **11.45, 21.00** სერიალი "**ცხოვრების ქარცეცხლში**" **12.45** მხ. ფ. "**კომპანიონები**" **14.50** პერსონა **15.20** მხ. ფილმი "**ფანატი**" **18.00** დოკ. ფილმი **19.00** ნოვოსტი **19.30** სერიალი **23.00** მხ. ფ. "**უკან ნუ მიიხედავ**" **00.45** მხ. ფილმი "**ბიჭები ქალთა საზოგადოებიდან**"

ერთსულოვნება 09.30 დილის პროგრამა "განთიადი" **10.30** საქ. არქივიდან **11.00** დოკ. ფილმი "ჯგრაგი" **11.30** ერთსულოვანი ოჯახი **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საგალობელი **12.05, 15.05** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ. ფილმი "**იყო შაშვი მგალობელი**" **13.30** კონცერტი **15.10** მულტსერიალი "კეროტის თავგადასავალი" **15.35** მხ. ფილმი "**დღე პირველი, დღე უკანასკნელი**" **17.00** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.30** დედა ეკლესია **18.05** საქ. არქივიდან – ფირსმანი "არსენალის მთა" **18.40** მიწათმოქმედი **19.15** მხ. ფილმი "**გლახის ნაამბობი**" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** დროის ჩანაწერები **22.00, 00.00** სიახლენი **22.15** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკლემ. ფილმი

## ოთხშაბათი 25 ნოემბერი

**08.00** ან. სერიალი "პიტი და კენტროფი" **08.30** სერიალი "**ფილიპის ფილოსოფია**" **09.00** დოკ. ფილმი "მსოფლიო ქალაქები" **10.00, 12.00, 16.00, 20.00** მოამბე **10.10** მხ. ფილმი "**ზაფხულის თამაშები**" **12.30** სერ."**ელიზას ქალიშვილი**" **13.30** დოკ. ფილმი "აფრიკა, ჯადოსნური კონტინენტი" **14.00** მეხსიერება **15.00** სერიალი "**პირისპირ**" **17.00** ან. სერიალი "ადამიანი ობობა" **18.00** დოკ. ფილმი "აპოკალიფსის შვიდი ნიშანი" **19.05** "მეხსიერება" **20.45** "ნანინა" **21.00** სერიალი "**ელიზას ქალიშვილი**" **22.00** ჩვენებურები **23.40** **ჩემპიონთა ლიგა**. **01.50** მოამბე **02.10** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა

**19.00** ან. ფილმი "პიტი და კენტროფი" **19.25** ნანინა **19.40** სერიალი "ფილიპის ფილოსოფია" **20.10** მეხსიერება **21.05** სერიალი "**პირისპირ**" **22.00** სერიალი "**ელიზას ქალიშვილი**" **23.00** სერიალი "**სულებთან მოჩურჩულე**" **23.50** მხ. ფილმი "**სიყვარული სიკვდილამდე**" (12)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერიალი "**შურისძიების ცეცხლში**" **11.00** ვა-ბანკი **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.40** კურიერი **12.20** სერ. "**გზა დიდებისკენ**" **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** სერიალი "**უფრთხილდი ანგელოზს**" **15.25** სერიალი "**ჩვენი ოფისი**" **15.50** სერიალი "**გულის ძახილი**" **16.50** სერიალი "**დონ ხუანი და ლამაზმანი**" **18.30** სერიალი "**ჩვენი ოფისი**" **19.00** სერიალი "**ჟამი ყვავილობისა**" **19.50** სერიალი "**ანხელის საიდუმლო**" **22.00** ვის უნდა 20 ათასი **22.50** სერიალი "**ექიმი ჰაუსი**" **23.40** **ჩემპიონთა ლიგა**. "მილანი" – "მარსელი" **01.40** პატრული

**08.00** მულტფილმი "პატარა მოჩვენებები" **09.00** სერიალი "**მარია ემილია**" **09.50** სერიალი "**ჩემი შეყვარებული**" **10.50** სერიალი "**ტყუპები**" **12.00** სერიალი "**სი-ეს-აი**" **12.40** მხ. ფილმი **15.00** სერიალი "**მარტოხელა მტრედი**" **15.50** მხ. ფილმი **18.00** სერიალი "**ტყუპები**" **19.00** სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **20.00** ზღაპარიყო **20.15** სიცილი მზეზე **21.25** ვიქტორინა "ქეშ შოუ" **22.30** სერიალი "**ჩემი შეყვარებული**" **23.30** სერიალი "**სი-ეს-აი**" **00.30** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **10.00** სერ. "**ორმაგი თამაში**" **11.25, 14.35** ტვ-მარკეტი **11.40** დოკ. ფილმი "ყველაზე, ყველაზე, ყველაზე" **12.00** სერიალი "**კლინიკა**" **13.00** სერიალი "**მარადიული გრძნობა**" **15.00** სიმართლის დრო (გან.) **16.00** სერიალი "**განრისხებული ანგელოზი**" **17.35** დოკ. ფილმი "ყველაზე, ყველაზე, ყველაზე" **18.00** სერიალი "**სიყვარულის აჩრდილი**" **19.05** სერიალი "**მარადიული გრძნობა**" **21.00** სერიალი "**განრისხებული ანგელოზი**" **22.00** ნანუკა ჟორჟოლიანის შოუ **23.00** სერიალი "**კლინიკა**" **00.00** სერიალი "**უილ თრეველერის საიდუმლო**" **01.00** მხ. ფილმი **02.45** ქრონიკა **03.00** სერიალი "**კლონი**"

**08.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **08.15** მულტფილმი **09.00** მხ. ფილმი "**მედალიონი**" **10.30, 19.30** სერიალი "**სამოთხის კუთხეები**" **11.45, 21.00** სერიალი "**ცხოვრების ქარცეცხლში**" **12.40** მხ. ფილმი "**ტომ ჰორნი**" **15.10** მხ. ფილმი "**13 დღე**" **18.00** დოკ. ფილმი **19.00** ნოვოსტი **22.00** "სცენა" **23.30** მხ. ფილმი "**სახიფათო კავშირები**" **00.50** მხ. ფილმი "**მკვლელის წერილები**"

ერთსულოვნება 09.10 დილის პროგრამა "განთიადი" **10.30** დროის ჩანაწერები **11.00** მგზავრები წუთისოფლისა **11.20** საქ. არქივიდან **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საგალობელი **12.05, 15.05** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ. ფილმი "**გლახის ნაამბობი**" **13.00** კონცერტი **15.10** მულტსერიალი "კეროტის თავგადასავალი" **15.35** მხ.ფ."**უდიპლომო სასიძო**" **16.55** კვირიაკე **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.30** დებიუტი **19.15** მხ. ფილმი "**მთვარის მოტაცება**" 1-ლი ს. **20.35** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** დოკ. ფილმი "ჯვრის თაყვანისცემა" **22.00, 00.05** სიახლენი **22.20** გადაცემა "პერსპექტივა" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** გადაცემა "პერსპექტივა"

## ხუთშაბათი 26 ნოემბერი

**08.00** ან. სერიალი "პიტი და კენტროფი" **08.30** სერიალი "**ფილიპის ფილოსოფია**" **09.00** დოკ. ფილმი "მსოფლიო ქალაქები" **10.00, 12.00, 16.00, 20.00** მოამბე **10.10** მხ. ფილმი "**ბოროტების ყვავილი**" **12.30** სერიალი "**ელიზას ქალიშვილი**" **13.30** დოკ. ფილმი "აფრიკა, ჯადოსნური კონტინენტი" **14.00** მეხსიერება **15.00** სერიალი "**პირისპირ**" **17.00** ან. სერ."ადამიანი ობობა" **18.00** დოკ. ფ."მე-2 მსოფლიო ომი, დახურულ კარს მიღმა" **19.05** "მეხსიერება" **20.45** "ნანინა" **21.00** სერიალი "**ელიზას ქალიშვილი**" **22.00** დიალოგი **23.00** სერიალი "**სულებთან მოჩურჩულე**" (12) **00.00** მხ. ფილმი "**მინდორი**" (გ) **02.05** მოამბე

**19.00** ან. ფ."პიტი და კენტროფი" **19.25** ნანინა **19.40** სერიალი "ფილიპის ფილოსოფია" **20.10** მეხსიერება **21.05** სერიალი "**პირისპირ**" **22.00** სერიალი "**ელიზას ქალიშვილი**" **23.00** სერიალი "**სულებთან მოჩურჩულე**" **23.50** მხ. ფილმი "**ზაფხულის თამაშები**"

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერიალი "**შურისძიების ცეცხლში**" **11.00** ვის უნდა **20** ათასი **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.40** კურიერი **12.20** სერ."**გზა დიდებისკენ**" **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** სერიალი "**უფრთხილდი ანგელოზს**" **15.25** სერიალი "**ჩვენი ოფისი**" **15.50** სერიალი "**გულის ძახილი**" **16.50** სერიალი "**დონ ხუანი და ლამაზმანი**" **18.30** სერიალი "**ჩვენი ოფისი**" **19.00** სერიალი "**ჟამი ყვავილობისა**" **19.50** სერიალი "**ანხელის საიდუმლო**" **22.00** პროფილი **23.40** სერიალი "**ექიმი ჰაუსი**" **00.40** პატრული **01.00** მხ. ფილმი "**ოჯახური ცხოვრება**" (18)

**08.00** მულტფილმი "პატარა მოჩვენებები" **09.00** სერ. "**მარია ემილია**" **09.50** სერ."**ჩემი შეყვარებული**" **10.50** სერიალი "**ტყუპები**" **12.00** სერიალი "**სი-ეს-აი**" **12.40** მხ. ფილმი **15.00** სერიალი "**მარტოხელა მტრედი**" **15.50** მხ. ფილმი **18.00** სერიალი "**ტყუპები**" **19.00** სერ."**ჩენტო ვეტრინე**" **20.00** ზღაპარიყო **20.15** ეტალონი **21.25** ვიქტორინა "ქეშ შოუ" **22.30** სერ."**ჩემი შეყვარებული**" **23.30** სერიალი "**სი-ეს-აი**" **00.30** მ-კოდი **2 01.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **10.00** სერ. "**ორმაგი თამაში**" **11.25, 14.35** ტვ-მარკეტი **11.40** დოკ. ფილმი "ყველაზე, ყველაზე, ყველაზე" **12.00** სერიალი "**კლინიკა**" **13.00** სერიალი "**მარადიული გრძნობა**" **15.00** ნანუკას შოუ (გან.) **16.00** სერიალი "**განრისხებული ანგელოზი**" **17.35** დოკ. ფილმი "ყველაზე, ყველაზე, ყველაზე" **18.00** სერიალი "**სიყვარულის აჩრდილი**" **19.05** სერიალი "**მარადიული გრძნობა**" **21.00** სერიალი "**განრისხებული ანგელოზი**" **22.00** სერიალი "**ყავა და ლუდი**" **00.00** სერიალი "**უილ თრეველერის საიდუმლო**" **01.00** მხ. ფილმი **03.10** ქრონიკა **03.25** სერიალი "**კლონი**"

**08.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **08.15** მულტფილმი **09.00** მხ. ფილმი "**ბილის და ტედის დაუჯერებელი თავგადასავლები**" **10.30, 19.30** სერიალი "**სამოთხის კუთხეები**" **11.45, 21.00** სერიალი "**ცხოვრების ქარცეცხლში**" **12.45** მხ. ფილმი "**ბუტიკი**" **14.50** "სცენა" **15.20** მხ. ფილმი "**ჰოლივუდელი პოლიციელები**" **18.00** დოკ. ფილმი **19.00** ნოვოსტი **23.00** მხ. ფილმი "**ნარკოზი**" **00.20** მხ. ფილმი "**ჯეინ ოსტინი**"

ერთსულოვნება 09.10 დილის პროგრამა "განთიადი" **10.30** გადაცემა "პერსპექტივა" **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საგალობელი **12.05, 15.05** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ. ფილმი "**მთვარის მოტაცება**" 1-ლი ს. **13.20** კონცერტი **15.10** მულტსერიალი "კეროტის თავგადასავალი" **15.35** მხ. ფილმი "**ისინი ჩამოვიდნენ მთიდან**" **17.00** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.30** ტრაპეზი **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.30** საქ. არქივიდან **19.15** მხ. ფილმი "**მთვარის მოტაცება**" მე-2 ს. **20.35** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** მიწათმოქმედი **22.00, 00.00** სიახლენი **22.15** დამოკიდებულებიდან თავისუფლებამდე **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ჩერიალი "საბჭოთა საქართველო" მე-5ს.

## ხუთშაბათი 27 ნოემბერი

**08.00** ან. სერიალი "პიტი და კენტროფი" **08.30** სერიალი "**ფილიპის ფილოსოფია**" **09.00** დოკ. ფილმი "მსოფლიო ქალაქები" **10.00, 12.00, 16.00, 20.00** მოამბე **10.10** მხ. ფილმი "**გრძნობათა ფაბრიკა**" **12.30** სერიალი "**ელიზას ქალიშვილი**" **13.30** დოკ. ფილმი "აფრიკა, ჯადოსნური კონტინენტი" **14.00** მეხსიერება **15.00** სერიალი "**პირისპირ**" **17.00** ან. სერიალი "შეუდარებელი ადამიანი ობობა" **18.00** დოკ. ფილმი "პომპეის უკანასკნელი დღე" **19.05** "მეხსიერება" **20.45** "ნანინა" **21.00** სერ."**ელიზას ქალიშვილი**" **22.00** მე მიყვარს საქართველო **23.00** სერიალი "**სულებთან მოჩურჩულე**" (12) **00.00** წითელი ზონა **01.00** დოკ.ფ."დედამიწელები" (გ) **02.20** მოამბე

**19.00** ან. ფილმი "პიტი და კენტროფი" **19.25** ნანინა **19.40** სერიალი "ფილიპის ფილოსოფია" **20.10** მეხსიერება **21.05** სერიალი "**პირისპირ**" **22.00** სერიალი "**ელიზას ქალიშვილი**" **23.00** სერიალი "**სულებთან მოჩურჩულე**" **23.50** მხ. ფილმი "**მინდორი**" (U)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერიალი "**შურისძიების ცეცხლში**" **11.00** ანა-ბანა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერ."**გზა დიდებისკენ**" **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** სერიალი "**უფრთხილდი ანგელოზს**" **15.25** სერიალი "**ჩვენი ოფისი**" **15.50** სერიალი "**გულის ძახილი**" **16.50** სერიალი "**დონ ხუანი და ლამაზმანი**" **18.30** სერიალი "**ჩვენი ოფისი**" **19.00** სერიალი "**ჟამი ყვავილობისა**" **19.50** სერიალი "**ანხელის საიდუმლო**" **21.45** თოქ-შოუ "პოზიცია" **23.00** ვანოს შოუ **00.00** პატრული **00.20** მხ. ფ."**როქსენშტრასა**" (18)

**08.00** მულტფილმი "პატარა მოჩვენებები" **09.00** სერიალი "**მარია ემილია**" **09.50** სერიალი "**ჩემი შეყვარებული**" **10.50** სერიალი "**ტყუპები**" **12.00** სერიალი "**სი-ეს-აი**" **12.40** მხ. ფილმი **15.00** სერიალი "**მარტოხელა მტრედის დაბრუნება**" **15.50** მხ. ფილმი **17.30** პულსი **18.00** სერიალი "**ტყუპები**" **19.00** სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **20.00** ზღაპარიყო **20.15** სტუდენტური დემოკრატია **21.25** ვიქტორინა "ქეშ შოუ" **22.30** სერიალი "**ჩემი შეყვარებული**" **23.30** სერიალი "**სი-ეს-აი**" **00.30** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **10.00** სერ. "**ორმაგი თამაში**" **11.25, 14.35** ტვ-მარკეტი **11.40** დოკ. ფილმი "ყველაზე, ყველაზე, ყველაზე" **12.00** სერიალი "**უილ თრეველერის საიდუმლო**" **13.00** სერ."**მარადიული გრძნობა**" **15.00** სერიალი "**ყავა და ლუდი**: პანდორას ყუთი" **16.00** სერიალი "**განრისხებული ანგელოზი**" **17.35** დოკ. ფილმი "ყველაზე, ყველაზე, ყველაზე" **18.00** სერიალი "**სიყვარულის აჩრდილი**" **19.05** სერიალი "**მარადიული გრძნობა**" **21.00** სერიალი "**განრისხებული ანგელოზი**" **22.00** ღამის შოუ **23.00** იუმორინა **00.00** სერიალი "**უილ თრეველერის საიდუმლო**" **01.00** მხ. ფილმი **03.00** ქრონიკა **03.15** სერიალი "**კლონი**" **04.00** მხ. ფილმი

**08.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **08.15** მულტფილმი **09.05** მხ.ფ."**კოსმიური გუშაგი**" **10.30, 19.30** სერიალი "**სამოთხის კუთხეები**" **11.45, 21.00** სერიალი "**ცხოვრების ქარცეცხლში**" **12.45** მხ.ფილმი "**ახალბედა**" **15.20** მხ. ფილმი "**ორფევსის სანაპირო, 36**" **18.00** დოკ. ფილმი **19.00** ნოვოსტი **23.00** მხ. ფილმი "**გატეხვა და შეღწევა**" **01.00** მხ. ფილმი "**მეწამული მდინარეები 2**"

ერთსულოვნება 09.10 დილის პროგრამა "განთიადი" **10.30** მიწათმოქმედი **10.50** დოკ. ჩერიალი "საბჭოთა საქართველო" მე-**5**ს. **11.30** დამოკიდებულებიდან თავისუფლებამდე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საგალობელი **12.05, 15.05** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ. ფილმი "**მთვარის მოტაცება**" მე-**2** ს. **13.30** კონცერტი **15.10** მულტსერიალი "კეროტის თავგადასავალი" **15.35** მხ. ფილმი "**მე, ბებია, ილიკო და ილარიონი**" **17.00** დოკ. ფ."ველური ბუნება" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.30** საქ. არქივიდან **19.00** სიახლენი **19.15** მხ. ფილმი "**აურზაური სალხინეთში**" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.00, 00.00** სიახლენი **22.15** ჩემი ქალაქი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "საქართველოს ისტორია"

## შაბათი 28 ნოემბერი

**08.00** დოკ. ფილმი "მსოფლიოს ქალაქები" **09.00** პლანეტა "ბასტი-ბუბუ" **11.00** სერიალი "**ფანტაგირო**" **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.15** მხ. ფილმი "**მალდონადოს სასწაული**" **14.00** **კალათბურთი**. სუპერლიგა. **16.15** ქართული ხმები **17.00** კონცერტი: დ. ოძელაშვილი **18.00** **ფეხბურთი**. თბილისის "დინამო" – "ბაია" **20.30** ჩემპიონთა ლიგა - ჟურნალი **21.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **22.00** სერ. "**დიპლომატი**" (15) **23.00** სერ. "**ტიუდორები**" (15) **00.00** მხ. ფილმი "**შაქარყინული**" (18) **01.55** მოამბე **02.15** მხ. ფ. "**ბლეიდი 2**" (15)

**19.00** "პლანეტა ბასტი-ბუბუ" **20.10** ქართული ხმები **21.00** სერიალი "**ფანტაგირო**" **22.00** სერიალი "**ხატი**" (12) **22.50** წითელი ზონა **23.50** დოკ. ფილმი "დედამიწელები" (U)

**08.00** კურიერი **08.30** დილა **10.25** ვისწავლოთ ხატვა **11.25** მულტსერიალი "ნარუტო" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.40** კურიერი **12.20** ყველაზე ჭკვიანი (გან.) **13.30** პროფილი **15.20** სერიალი "**ჩვენი ოფისი**" **15.50** სიცილის ზონა **16.20** მხ. ფილმი "**შეხვედრა მთაში**" **18.30** სერიალი "**ჩვენი ოფისი**" **19.00** ანა-ბანა **19.50** სერიალი "**ანხელის საიდუმლო**" **21.00** კურიერი **22.00** სერიალი "**რისხვები**" **23.00** ქლაბ-შოუ **00.00** დოკ. ფილმი "ბოლო სიჩქარე" **01.00** კინოჰიტი "**ქრისტეფორე კოლუმბი**" (15)

**09.00** ცირკი **10.00** მულტფილმი "პატარა მოჩვენებები" **11.00** პულსი **11.30** "საიმედო ავტო" **12.00** "105 წუთი" – საფეხბურთო გადაცემა **20.00** "ავტოგრაფი" **21.00** საფეხბურთო არქივი **22.00** გადაცემა "მთავარი კორტი" **23.00** საფეხბურთო არქივი **00.30** საარქივო მასალა

**08.00** ან. ფ. "ადამიანი-ობობა" **10.10** სერიალი "**რობინ ჰუდი**" მე**2** ს. **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.45, 14.30** ტვ-მარკეტი **12.00** სერიალი "**შუა ქალაქში**" **13.00** სერიალი "**მარადიული გრძნობა**" **14.45** მხ. ფილმი "**შეუძლებელი არაფერია**" **17.30** მხ. ფილმი "**დათა თუთაშხია**" **19.05** სერიალი "**მარადიული გრძნობა**" **20.00** ქრონიკა **20.30** სპეცრეპორტაჟი ვახო სანაიასთან ერთად **21.00** სერიალი "**განრისხებული ანგელოზი**" **22.00** სერიალი "**შუა ქალაქში**" **23.00** ან. ფილმი "სამსონაძეები" **23.30** მხ. ფილმი **01.15** ქრონიკა **01.30** სერიალი "**კლონი**" **02.15** მხ. ფილმი

**08.35** ან. ფილმი **10.00** "დილის ტალღა" **12.00** "ფერისცვალება" **12.25, 19.30** სერიალი "**ცხოვრების ქარცეცხლში**" **13.15, 22.00** დოკ. ფილმი **14.30** დროის ვექტორი **15.00** მხ. ფილმი "**ტაქსი**" **16.30** სერიალი "**ინგლისური მკვლელობები**" **17.30, 20.30, 22.30** "ახალი ამბები" **17.50** მხ. ფილმი "**იტალიელების დაუჯერებელი თავგადასავლები რუსეთში**" **23.00** მხ. ფილმი "**ჯულია და ჯულია. ვამზადებთ ერთად რეცეპტის მიხედვით**" **01.00** მხ. ფილმი "**საბედისწერო ქალი**"

ერთსულოვნება 09.30 დილის პროგრამა "განთიადი" **10.30** დოკ. ფილმი **10.40** კვირიაკე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საგალობელი **12.05, 15.05** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ. ფილმი "**აურზაური სალხინეთში**" **13.30** კონცერტი **14.30** დოკ. ფილმი **15.10** ოპერა **17.30** ერთსულოვანი ოჯახი **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.30** საქ. არქივიდან **19.00** სიახლენი **19.10** ტრაპეზი **19.20** მხ. ფილმი "**შეწყვეტილი სიმღერა**" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** დრო და ადამიანები **22.00, 00.00** სიახლენი **22.20** გამოყენებითი ხელოვნება **22.30** დოკ. ფილმი "წერილი ძმას" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "წერილი ძმას"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

## კვირა 29 ნოემბერი

**08.00** დოკ. ფილმი "მსოფლიოს ქალაქები" **09.00** პლანეტა "ბასტი-ბუბუ" **11.00** სერიალი "**ფანტაგირო**" **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.15** მხ. ფილმი "**მამონტი**" **14.00** **რაგბი**. საქართველოს თასის ფინალი **16.15** მიზანი **17.00** კონცერტი – რიშარ გალიანო ოპერაში **18.30** ქართ. მხ. ფილმი "**მემკვიდრეობა**" **20.00** აქცენტები **21.00** ცხოვრება მშვენიერია **22.00** საქართველოს ბანკის გათამაშება **23.00** სერ. "**ტიუდორები**" (15) **00.00** მხ. ფ. "**დამიბრუნდი**" (U) **02.05** მოამბე **02.20** მხ. ფილმი "**ეს ღამე ჩვენ გვეკუთვნის**" (18)

**19.00** "პლანეტა ბასტი-ბუბუ" **20.10** დოკ. ფილმი "ოპერაცია მთვარე" **21.00** სერიალი "**ფანტაგირო**" **22.00** სერიალი "**ხატი**" (12) **22.50** მე მიყვარს საქართველო **23.50** მხ. ფილმი "**შაქარყინული**" (18)

**08.00** კურიერი **08.30** დილა **10.25** ვისწავლოთ ხატვა **11.00** საბავშვო ამბები **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.15** ლიგის მიმოხილვა **12.45** მხიარული სტარტები **13.30** მულტფილმი "პინგვინები" **14.00** დოკ. ფილმი "ვარსკვლავური ცხოვრება" **15.20** სერიალი "**მასწავლებელი**" **17.25** გადაცემა "ავტომარიაჟი" (ემ-ტი-ვი) **18.30** სიცილის ზონა **19.00** ყველაზე ჭკვიანი **19.50** სერიალი "**ანხელის საიდუმლო**" **20.45** "მაგთის" გათამაშება **21.00** კომედი-შოუ **22.00** სერიალი "**რისხვები**" **23.00** რა? სად? როდის? **00.00** კინოჰიტი "**წითელი დრაკონი**" (18) **02.20** მხ. ფილმი

**09.00** ცირკი **10.00** მულტფილმი "იასამნის ციხესიმაგრე" **11.00** "პულსი" **11.30** "საიმედო ავტო" **12.00** საფეხბურთო გადაცემა "105 წუთი" **14.00** საარქივო მასალა **16.00** საარქივო მასალა **18.00** საარქივო მასალა **20.00** საკალათბურთო გადაცემა **21.00** გადაცემა "მთავარი კორტი" **22.00** გადაცემა "დიდი რაგბი" **23.00** გადაცემა "ერთი ერთზე" **00.00** საარქივო მასალა

**08.00** ან. ფილმი "ადამიანი-ობობა" **10.00** სერიალი "**რობინ ჰუდი**" მე-3 ს. **11.00, 14.00, 17.00, 19.00** ქრონიკა **11.45, 14.30** ტვ-მარკეტი **12.00** სერიალი "**შუა ქალაქში**" **13.00** სერიალი "**მარადიული გრძნობა**" **15.00** მხ. ფილმი **16.25** ვერდიქტი **17.30** დოკ. ფილმი "ყველაზე, ყველაზე, ყველაზე" **18.00** ქ. მხ. ფ. "**ფიროსმანი**" **20.00** ჟურნალისტის დღიური **22.00** სერიალი "**შუა ქალაქში**" **23.00** მხ. ფილმი **00.40** ქრონიკა **00.55** სერიალი "**კლონი**" **01.40** მხ. ფილმი

**08.35** ან. ფილმი **10.00** "დილის ტალღა" **12.00, 22.00** მუსიკა **12.30, 19.30** სერიალი "**ცხოვრების ქარცეცხლში**" **13.30** მხ. ფ. "**აქილევსი და კუ**" **15.20** დოკ. ფილმი **16.30** სერიალი "**ინგლისური მკვლელობები**" **17.30, 20.30, 22.30** "ახალი ამბები" **17.55** მხ. ფილმი "**სიყვარული და მტრედები**" **21.00** მხ. ფილმი "**სამნი**" **23.00** მხ. ფილმი "**საბრინა**" **01.00** მხ. ფ. "**გადამზიდი 3**"

ერთსულოვნება 08.00 დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საგალობელი **09.05, 12.05, 15.05** საეკლესიო კალენდარი **09.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.30** მიწათმოქმედი **11.00** ჩემი ქალაქი **11.30** დრო და ადამიანები **12.10** მხ. ფილმი "**შეწყვეტილი სიმღერა**" **13.40** მულტფილმი **14.00** დამოკიდებულებიდან თავისუფლებამდე **14.25** დედა ეკლესია **15.10** პატრიარქის ქადაგება **15.30** დროის ჩანაწერები **16.00** მგზავრები წუთისოფლისა **16.30** გადაცემა "პერსპექტივა" **18.05** პატრიარქის ქადაგება **18.30** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **19.30** საქართველო არის ესე **19.30** მხ. ფილმი "**ამაღლება**" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** "კვირიაკე" **22.45** დოკ. ფილმი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** გაცოცხლებული წარსული **00.00** პატრიარქის ქადაგება

# „ოდნოკლასნიკებმა“ ოჯახი დამინგრია

## ისე გავმწარდი, ქმარი დავაჭერინე

**თავიდან მინდოდა დამერეკა და მეთქვა, სასწრაფოდ სახლში მოდი-მეთქი. მერე გადავიფიქრე, გადავწყვიტე, ცივი გონებით განმესაჯა ყველაფერი და ზომები ისე მიმეღო. სახლში რომ მოვიდა, ისე შევხვდი, თითქოს არაფერი ვიცოდი, მინდოდა, განეგრძო თავისი საუბრები ამ გოგოსთან, რომ გამეგო, შემდეგში რას აპირებდნენ.**

ბევრისთვის უწყინარი და გასართობი საიტი „ოდნოკლასნიკი“ თამუნასთვის საბედისწერო აღმოჩნდა. როგორც თავად ამბობს, მისი 15-წლიანი ოჯახი სწორედ ამ საიტმა შეიწირა.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ გართობის მიზნით ორივე — ცოლიც და ქმარიც — საიტზე დარეგისტრირდა და 24-საათიან რეჟიმში მათი მეგობრების რიცხვი მალე მაქსიმუმ ზღვარს — 500-ს მიუახლოვდა.

თამუნა, ბავშვების გადამკიდე, საიტის მოსანახულებლად ვეღარ იცლიდა, სამაგიეროდ, ნიკას აღარ ახსოვდა არაფერი და მთელ დღეს კლავიატურას აწკაპუნებდა. როგორც თამუნა ამბობს, მისმა ყურადღების მოდუნებამ და ქმრისადმი ზედმეტმა ნდობამ მისი ოჯახი დაანგრია.

**თამუნა:**

— მე და ნიკამ ერთმანეთი ჩემი დაქალის ქორწილში გავიცანით. ჩემი დაქალის მეჯვარე ვიყავი, ის კი — სიძის კურსელი. თავიდან მისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, მაგრამ ქალი ვარ და მის დაჟინებულ მზერას სულ ვგრძნობდი. ქორწილი ისე დამთავრდა, არც გამომლაპარაკებია და არც საცეკვაოდ გავუწვევივარ. ვიფიქრე, კაცია, დალია, ალბათ, მოვეწონე, მერე რა მოხდა, თუ შემომხედა-მეთქი.

ზუსტად ერთ კვირაში დამირეკა და მორიდებით შემახსენა თავი. სიმართლე გითხრათ, კარგად მახსოვდა, მაგრამ ვითომ ვერ გავიხსენე, დაწვრილებით აღვაწერინე თავი და დეტალებიც გავახსენებინე. შეხვედრა მთხოვა, მითხრა, სერიოზული საქმე მაქვს და უნდა გელაპარაკოო. ზუსტად ერთი თვე ვაწვალე, ხან რას მოვიმიზეზებდი და ხანაც — რას, ის კი თავს არ მანებებდა და ჯიუტად მთხოვდა შეხვედრას. ბოლოს ვიფიქრე, რაც იქნება, იქნება, შევხვდები, ხომ არ შემჭამს-მეთქი. ბოლო დარეკვაზე ვუთხარი, რომ, როგორც იქნა, „მოვიცალე“ და ახლა უკვე შემეძლო მასთან შეხვედრა. პაემანზე, რა თქმა უნდა, ნახევარი საათი დავიგვიანე, უფრო სწორად, ადრე მივედი და გზის მეორე მხრიდან ვუყურებდი, როდის მოვიდოდა და რას მოიმოქმედებდა. თავისი მანქანით მოვიდა, ულამაზესი ყვავილების თაიგული ეჭირა და საოცრად კარგად გამოიყურებოდა. ის ნახევარი საათი მოთმინებით იცდიდა და მხოლოდ ორჯერ დახედა საათს.

— ***რა გითხრათ?***

— მითხრა, კაფეში წავიდეთ, სერიოზული სალაპარაკო მაქვსო. იმ საღამოს გამომიტყდა, რომ პირველი ნახვისთანავე მოვეწონე და მთელი ეს პერიოდი მხოლოდ ჩემზე ფიქრობდა. მითხრა, საგანგებოდ ვემზადებოდი, გეფიცები, შენსავით არავინ მყვარებია, თუ უარს მეტყვი, ჩემი ცხოვრება აზრს დაკარგავსო.

— ***დათანხმდით?***

— რა თქმა უნდა, არა. იმდენად მოულოდნელი იყო ჩემთვის მისი წინადადება, რომ ვთხოვე, მოსაფიქრებლად დრო მოეცა. მთელი ის პერიოდი, სანამ პასუხს ვეტყოდი, ნიკას ერთი დღეც არ ჩაუგდია, რომ ყვავილები არ გამოეგზავნა და არ დაერეკა. გეფიცებით, თავი ინგა მეგონა „კუკარაჩადან“, ნიკა კი — მურტალო.

— ***ასე რამდენ ხანს გაგრძელდა?***

— ზუსტად სამი თვე. ბევრი ვიფიქრე, არც ჩემი მშობლებისთვის დამიმალავს, ოჯახშიც მოვიყვანე და გავაცანი ჩემებს და საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ ნიკასნაირ მამაკაცს ვერ შევხვდებოდი. ულამაზესი ქორწილი გვქონდა, ულამაზესი შვილები გვყავს, მაგრამ ეს ყველაფერი ახლა ჩემი ლამაზი მოგონებებია.

— ***ერთად რამდენი წელი იცხოვრეთ?***

— მე და ნიკამ 15 წელი ერთად ვიცხოვრეთ. ეს ნამდვილად არ არის ცოტა დრო. სულ ვფიქრობ, სად დავუშვით შეცდომა და როდის გაჩნდა ჩვენს ურთიერთობაში ბზარი. ორი შვილი გვყავს — სალომე და საბა. სალომე მეხუთე კლასშია, საბა — მეორეში. ბევრისთვის, ალბათ, სასაცილოა, მაგრამ ჩემი ოჯახი ნამდვილად კომპიუტერმა და „ოდნოკლასნიკებმა“ დაანგრია.

— ***ამას როგორ ამტკიცებთ?***

— რა უნდა ამის დამტკიცებას? ჩემმა ქმარმა სწორედ ამ საიტის წყალობით გაიცნო ის ქალბატონი, რომელიც ახლა ჩემი ქმრის ცოლად ასაღებს თავს.

— ***თქვენი ქმრის ახალი ცოლი ქართველია?***

— არა, უკრაინელი. როცა დავრეგისტრირდით, ყველას, ვინც კი ვიპოვეთ საიტზე, მეგობრობის მესიჯი გავუგზავნეთ. ზოგის ბავშვი მოგვეწონა, ზოგის — გარეგნობა, ზოგის გვარი და ზოგისაც — სახელი. ბევრი მოგვარე დავიმეგობრეთ. ნიკა მაინც კაცია და უფრო მეტი მეგობარი ქალი ჰყავდა. თავიდან ამაზე რეაქცია არ მქონდა, სულ ვეუბნებოდი, აბა, როგორ გყავს შენი ნაშები-მეთქი? ამაზე მაგრად ვიცინოდით ორივე, რა ვიცოდი, მწარე სიმართლეს რომ ვამბობდი?

— ***როდის დაეჭვდით?***

— მაშინ, როცა სამსახურიდან მოსვლისთანავე ნიკა მაშინვე კომპიუტერთან



**გეფიცებით, თავი ინგა მეგონა „კუკარაჩადან“, ნიკა კი — მურტალო**

გარბოდა და „ოდნოკლასნიკებს“ რთავდა. თავიდან მეუბნებოდა, რა მოხდა, ვერთობიო, მაგრამ მერე ამ ყველაფერმა სერიოზული სახე მიიღო. საჭმელი თუ სასმელი, ყველაფერი კომპიუტერთან მიჰქონდა და დროის შეგრძნება დაკარგული ჰქონდა. დასაძინებლად გვიან, თითქმის გამთენიისას წვებოდა, კომპიუტერის გარდა არაფერი ახსოვდა, სმა დაიწყო, მერე მთვრალი გვაწიოკებდა. ბავშვებს მამის მიმართ შიშები დაეწყოთ, ცდილობდნენ, მანამდე დაეძინათ, სანამ ნიკა სახლში მოვიდოდა. ამ ყველაფერმა ძალიან დამღალა. ერთხელად მთვრალი რომ მოვიდა და მორიგი „კონცერტები“ ჩაგვიტარა, ძალიან გავბრაზდი და პატრულში დავრეკე. წარმოიდგინეთ, ისე დავიღალე, საკუთარი ქმარი პოლიციას დავაჭერინე. ჩემი დედამთილი კინაღამ ჭკუიდან შეცდა, ეს როგორ გაბედე, რაც არ უნდა იყოს, შენი ქმარია და მისი სიმთვრალეც უნდა აგეტანა და გინებებიცო. ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ, ისეთ ოჯახში ვარ გაზრდილი, სადაც გინება კი არა, დებილო და დეგენერატო ერთმანეთისთვის არავის უთქვამს.

— ***ნიკა ციხეში იჯდა?***

— არა. შემეცოდა და განცხადება უკან გამოვიტანე. რა თქმა უნდა, საქმე უკვე აღძრული იყო და გარკვეული თანხის გადახდა მოგვთხოვეს. ის თანხაც ჩემმა მშობლებმა გადაიხადეს და მანაც პირობა დადო, რომ მთვრალი აღარ მოვიდოდა სახლში და ბავშვებს აღარ დამიწიოკებდა.

— ***პირობა შეასრულა?***

— კი, მხოლოდ ორი კვირა. მერე უფრო მაგრად თვრებოდა და უფრო მაგარ „კონცერტებს“ გვიტარებდა, მეუბნებოდა, ციხეში რომ ჩამსვი, ამას არასოდეს გაპატიებო, თან, არ დაგავიწყდეთ, ჩემი მშობლების ნაყიდ სახლში ცხოვრობდა. ყელში რომ ამომივიდა, ავდექი და სახლიდან გავაგდე. ორ კვირაში ისევ მოცუცქდა, პატიებას მთხოვდა, მეტს აღარ ვიზამ, ყველაფერს გპატიობ და შენც მაპატიეო.

— ***ისევ აპატიეთ?***

— აბა, რა მექნა? შვილები მყავდა და არ მინდოდა, უმამოდ გაზრდილიყვნენ. ისევ შევრიგდით. აღარ სვამდა, მაგრამ კომპიუტერიდან ისევ ვერ ვაყენებდი. ერთხელად ინტერესმა შემიპყრო, ძალიან მაინტერესებდა, რას აკეთებდა 24 საათი ამ „ოდნოკლასნიკებში“ და ვის სწერდა. პაროლი გავიგე და, როცა სახლში არ იყო, მის მაგივრად შევედი. ის გოგოც საიტზე იყო. მაშინვე მოსწერა, როგორ ხარ, ძალიან მომენატრეო. თავიდან დიდხანს ვიფიქრე, მეპასუხა თუ არა, საბოლოოდ გადავწყვიტე, დიალოგში გამომეწვია, რომ სიმართლე გამეგო. გავარკვიე, რომ ეს გოგო თბილისში ჩამოსვლას აპირებდა, ბიზნესის დაწყება უნდოდა. ჩემი ქმარი ჰპირდებოდა, ამ საქმეში დიდი გამოცდილება მაქვს და ყველანაირად დაგეხმარებიო. ბოლოს ვუთხარი, ახლა მეჩქარება, უნდა გავიდე-მეთქი და, იცით, რა მომწერა? ხომ მართლა გიყვარვარო? თვალები დამებინდა, თუ ჭკუიდან არ შევიშლებოდი, არ მეგონა. კი-მეთქი, მივწერე და გადავწყვიტე, მათი მიმოწერა თავიდან ბოლომდე წამეკითხა. გავარკვიე, რომ ჩემს ვაჟბატონს უთქვამს, უცოლო ვარ, შენნაირ ქალზე ვოცნებობ და, თუკი თბილისში ჩამოხვალ, ჩემზე ბედნიერი არავინ იქნებაო. ისე გავნერვიულდი, ბოლომდე ვეღარ წავიკითხე, კიდევ რას სწერდნენ ერთმანეთს.

— ***უთხარით თქვენს ქმარს, რომ ყველაფერი იცოდით?***

— თავიდან მინდოდა დამერეკა და მეთქვა, სასწრაფოდ სახლში მოდი-მეთქი. მერე გადავიფიქრე, გადავწყვიტე, ცივი გონებით განმესაჯა ყველაფერი და ზომები ისე მიმეღო. სახლში რომ მოვიდა, ისე შევხვდი, თითქოს არაფერი ვიცოდი, მინდოდა, განეგრძო თავისი საუბრები ამ გოგოსთან, რომ გამეგო, შემდეგში რას აპირებდნენ.

— ***რამე გაარკვიეთ?***

— ყველაფერი დეტალურად გავიგე. გავარკვიე, რომ ზუსტად ორ თვეში იგი თბილისში ჩამოსვლას აპირებდა, ჩემი ქმარი კი აეროპორტში უნდა დახვედროდა და, როგორც თავად დაჰპირდა, ცოლად შეერთო, ბიზნესიც ოჯახური ექნებოდათ. ბევრი ვიფიქრე, მეთქვა თუ არა ნიკასთვის, რომ ყველაფერი ვიცოდი. ჯერ მეგონა, ალბათ, ფული უნდა მისი, თორემ, აბა, ცოლად როგორ მოიყვანს, როცა ამხელა შვილები ჰყავს-მეთქი.

— ***საბოლოოდ რა გადაწყვეტილება მიიღეთ?***

— არ მინდოდა, ჩემს ქმარს დებილად ჩავეთვალე. როცა მათმა „ჭუკჭუკმა“ პიკს მიაღწია, სამსახურიდან მოსულს, პირდაპირ მივახალე, ყველაფერი ვიცი და დამალვას აზრი აღარ აქვს-მეთქი. თავიდან სასტიკ უარზე იდგა, რაღაცები გეჩვენებაო, მერე, როცა ყველაფერი დეტალურად მოვუყევი, გაშრა და აქეთ გადმოვიდა შეტევაზე — ყველაფერი შენი ბრალია, ჩემი თავი რომ დააჭერინე და ხალხის მასხარა გამხადე, რა გეგონა, გაპატიებდიო? სასტიკად ვიჩხუბეთ, გაიჯახუნა კარი და წავიდა.

— ***ბავშვებმა რა თქვეს?***

— რა უნდა ეთქვათ? პატარამ ძალიან განიცადა. მაინც ბიჭია და მამასთან უფრო ახლოს იყო.

— ***იქნებ თქვენც ხართ დამნაშავე?***

— ამაზე ხშირად მიფიქრია, მაგრამ, არ ვიცი, რა დავაშავე. გეფიცებით, ქმრისთვის არასოდეს მიღალატია და სხვა მამაკაცისკენ არც კი გამიხედავს. როცა ამ საკითხზე ნიკას ვკითხე, რაშია ჩემი დანაშაული-მეთქი, არაფერი მიპასუხა.

— ***მას შემდეგ ნიკა თქვენთან აღარ მოსულა?***

— არა. როგორც გავიგე, ის გოგო მართლა დათქმულ დროს ჩამოვიდა თბილისში, ჩემი ქმარიც დახვდა. ახლა სახლი აქვთ ნაქირავები და ერთად ცხოვრობენ. ნიკამ იგი თავის მშობლებს წარუდგინა და გამოუცხადა, ჩემი ცოლიაო.

— ***მერე, რა თქვეს მისმა მშობლებმა?***

— არც არაფერი, რა უნდა ეთქვათ? სიხარულით მიიღეს ის გოგო და ძალიან ბედნიერები არიან. როგორც გავიგე, იმ უკრაინელს ბევრი ფული აქვს და, ალბათ, სანამ შეეძლებათ, მოწველიან და მერე ისიც ჩემს ბედს გაიზიარებს.

**თიკო ნინიაშვილი**

# ჩემი მოძღვარი შემიყვარდა

**დედას ვუთხარი, რომ ჩემი მოძღვარი ძალიან მომწონს, მაგრამ ის არ მითქვამს, რომ, როგორც მამაკაცს, ისე ვუყურებ.**



მარი 15 წლისაა. თავიდან ეკლესიას სკეპტიკურად უყურებდა, მაგრამ მეგობარმა ურჩია, მასთან ერთად ევლო და მარის ცხოვრებაც რადიკალურად შეიცვალა. ახლა მარი ტაძარში ხშირად დადის, მოძღვარიც ჰყავს და აღსარებასაც ხშირად აბარებს. როგორც თვითონ ამტკიცებს, მოძღვარი ვიზუალურად შეარჩია და ძალიან მოსწონს.

ამ ბოლო დროს აღმოაჩინა, რომ ეკლესიაში ხშირად დადის და მოძღვართან შეხვედრასაც ხშირად ცდილობს. ელემენტარულ წვრილმანზეც კი აზრის საკითხავად თავის მოძღვართან მირბის. მარი დარწმუნებული არ არის, მაგრამ ჰგონია, რომ თავისი მოძღვარი მოსწონს.

როგორც ფსიქოლოგები ამტკიცებენ, მრევლში ხშირია, როცა მათ საკუთარი მოძღვრის მიმართ სიმპათიები უჩნდებათ. 15 წლის მარიც მათ რიცხვს მიეკუთვნება.

მარი:

— ეკლესიაში ჩემმა დაქალმა მიმიყვანა. ვიცი, რომ ეკლესიაში სიარული კარგია და სულისთვის საჭიროა, ამიტომ ხშირად დავდივარ. მარხვაც რამდენჯერმე შევინახე და აღსარებაც ვთქვი. ჩემი მოძღვარი ახალგაზრდა და ძალიან სიმპათიურია. ვიცი, რომ ამაზე ლაპარაკი არ შეიძლება, მაგრამ ჩემი მოძღვარი ძალიან მომწონს.

— ***ამას რატომ ამბობთ?***

— იმიტომ, რომ უფრო ხშირად დავდივარ ეკლესიაში, წირვას და ლოცვას ყურადღებით ვისმენ, მაგრამ, თუკი ჩემი მოძღვარია ეკლესიაში, ორმაგად ყურადღებით ვარ. ერთხელ რაღაცის საკითხავად მივედი და ჩემმა მოძღვარმა მითხრა, ასეთი გადაპრანჭული ეკლესიაში ნუ მოხვალ, ნაკლები სამკაული გაიკეთე და სულის ცხონებაზე იფიქრეო. მისგან ამის გაგონება ძალიან მეწყინა, მაგრამ, რომ დავფიქრდი, მართალია, ეკლესია ხომ თეატრი არ არის, უფრო მორიდებულმა უნდა ვიარო.

— ***მოძღვრის მოწონება შეიძლება?***

— რატომაც არა?! მოძღვარიც ჩვეულებრივი ადამიანია და მისი მოწონების უფლება ნამდვილად მაქვს. თუმცა, ჩემმა დაქალებმა რომ გაიგეს, ძალიან გამიბრაზდნენ, მითხრეს, ასეთი რამ დაუშვებელია, მოძღვარი არ უნდა მოგეწონოს, იგი შენი სულიერი მშობელიაო.

— ***მეგობრებს არ ეთანხმებით?***

— კი ბატონო, მოძღვარი ნამდვილად სასულიერო პირია, მაგრამ, ნუთუ მისი შეყვარება არ შეიძლება? არ ვამტკიცებ, რომ მიყვარს, მაგრამ ვაღიარებ, რომ ძალიან მომწონს. ნუთუ მამაოების შეყვარება ან მოწონება მართლა არ შეიძლება? აბა, მაშინ, როგორ ოჯახდებიან მღვდლები? ისინიც ხომ თავიანთ რჩეულს მრევლში პოულობენ?

— ***ოჯახში ამის შესახებ იციან?***

— დედას ვუთხარი, რომ ჩემი მოძღვარი ძალიან მომოწონს, მაგრამ ის არ მითქვამს, რომ, როგორც მამაკაცს, ისე ვუყურებ. ეს რომც ვუთხრა, დედას გაეცინება და მეტყვის, ჯერ პატარა ხარ და ასეთი რამეები შენს ასაკში ხშირიაო.

— ***ამას რატომ ამბობთ?***

— იმიტომ, რომ ვინც კი მომეწონა და ვუთხარი, მიყვარს-მეთქი, დამცინა, შენს ასაკში ასეთი რამეები ხშირიაო. დედაჩემს მზა პასუხი ყოველთვის აქვს და ჩემი არასოდეს ესმის. ჩემი მშობლების პოზიცია არ მაღელვებს, მთავარია, რომ ძალიან კარგი მოძღვარი მყავს და მასთან საუბარი მსიამოვნებს, მაგრამ ახლა გავიგე, რომ ჩემი მოძღვარი სხვა ეკლესიაში გადაჰყავთ და ძალიან ვნერვიულობ. მისი საუბრები მამშვიდებს და ძალიან დადებითად განმაწყობს ყველა სასულიერო პირის მიმართ. არ მინდა, რომ ჩვენი ეკლესიიდან წავიდეს.

**თიკო ნინიაშვილი**



***

— ვზივარ ჩემთვის... დამწვრის სუნი ვიგრძენი... გული გამისკდა, კომპი ხომ არ დამეწვა-მეთქი... როგორც გაირკვა, ტყუილად ავღელდი, უბრალოდ, მეზობლებთან ხანძარი გაჩნდა...

***

— მანქანა უნდა შეარჩიო ზუსტად ისე, როგორც ცოლს არჩევ — შენ უნდა დაგაკმაყოფილოს და არა ყველა შენი ნაცნობი...

***

— უფროსის სიცილზე გადამდები არაფერია...

***

— ცხოვრების პირველი ნახევარი საკეტის ჭუჭრუტანაში ცქერით იყო დაკავებული, მეორე ნახევარი — დარჩენილ თვალზე ზრუნვით...

***

ცოლ-ქმარი ქუჩაში მისეირნობს. ვიღაც უცნობმა მამაკაცმა სალმის ნიშნად გალანტურად მოიხადა ქუდი.

ქმარი:

— ხედავ, როგორი თავაზიანია!

ცოლმა გაღიზიანებული ხმით:

— თავაზიანი?! მედროგესავით ხვრინავს...

***

— რუსეთის ფედერაცია მსოფლიოს ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც თავის მოქალაქეებს მხოლოდ სხვის ტერიტორიაზე იცავს...

***

— 15 წლის რომ ვიყავი, მკითხავმა მითხრა, რომ ჩემს ფულს სულ ქალებს დავახარჯავდი. ახლა ცოლი და სამი შვილი მყავს, მთელი ჩემი ფული მათ შენახვაზე მეხარჯება. 15 წლის ასაკში კი სულ სხვაგვარად ვფიქრობდი...

***

ქალბატონი თვითმფრინავის ბილეთის დაჯავშნას ცდილობს. ოპერატორი ეკითხება:

— თქვენთან ერთად რამდენი ადამიანი მოფრინავს?

— მე საიდან ვიცი, ეს ხომ თქვენი თვითმფრინავია...

***

— მან, ვინც მთელი დღის განმავლობაში ფუტკარივით ფუსფუსებს, ხარივით მუშაობს, შინ ძაღლივით დაღლილი ბრუნდება, ვეტერინარს უნდა მიმართოს — დიდია ალბათობა იმისა, რომ უბრალოდ, ვირია...

***

— არქიმედმა ქანქარა ნუდისტურ პლაჟზე გამოიგონა...

***

— ოფიციანტ, ჩანგალი მომიტანეთ.

— ინებეთ, ერთი ლარი.

— ბინძურია!

— სუფთა ხუთი ლარი ღირს.

— რა უმსგავსობაა.

— უმსგავსობა 200 ლარი ღირს საათში.

— მე თქვენ ახლა...

— საათში 700 ლარი დაგიჯდებათ.

***

— რა საწყენია, რომ ბოლოს და ბოლოს, მიდიხართ...

***

— ქალი უმწეო არსებაა, რომელსაც ვერსად დაემალებით...

***

— ძროხას იკებანას შეფასება მხოლოდ გემოთი შეუძლია...

***

ცოლ-ქმარი დასაძინებლად ემზადება:

ცოლი: — ღამე მშვიდობისა.

ქმარი: — ცოლქმრული მოვალეობა?

ცოლი: — გპატიობ!

***

დედამ ქალიშვილი ფსიქიატრთან მიიყვანა. ეუბნება, გაგანია ზამთარში მყვინთავის ნიღაბი, ლასტები გაიკეთა, საცურაო კოსტიუმი ჩაიცვა და პლაჟზე საბანაოდ მიდისო.

ფსიქიატრი გოგონას ეუბნება:

— აბა, ჩემო კარგო, ფანჯარაში გაიხედე, ხედავ, ყველგან თოვლი დევს, ხალხს ქურქები აცვია, ტბაც გაყინულია. აბა, მითხარი, განა ახლა ზაფხულია?

გოგონა დინჯად პასუხობს:

— დიახ, აი, ასეთი იდიოტური ზაფხულია...

***

— ექიმო, — ამბობს შეცბუნებული ახალგაზრდა, — ერთი ჩემი ნაცნობი შიშობს, რომ რაღაც ვენერიული დაავადება სჭირს.

— თუ ასეა, — პასუხობს ექიმი, — გაიხადეთ შარვალი და ეგ თქვენი ნაცნობი მაჩვენეთ...

***

ორი ფრანგი საუბრობს:

— კარგი ცოლია ის, ვისაც ქმარიც ჰყავს და საყვარელიც.

— მე კი მეგონა, რომ ეგ ცუდი ცოლია.

— არა, ცუდი მხოლოდ ისაა, ვისაც მხოლოდ საყვარელი ჰყავს.

— მე კი მეგონა, რომ ეგ ზნედაცემული ქალია.

— არა, ზნედაცემული ისაა, ვისაც არავინ ჰყავს.

— მე კი მეგონა, ეგ მარტოხელაა.

— არა, მარტოხელა ისაა, ვისაც მარტო ქმარი ჰყავს...

— ძვირფასო, როგორ ფიქრობ, ეს ბერეტი მიხდება?

— ძვირფასო, შენ ყველაფერი გიხდება.

***

— რას ნიშნავს ასაკოვანი ქალი მამაკაცის შეფასებით?

— ასაკოვანია ქალი, თუკი იგი მაღალქუსლიან ფეხსაცმელებზე, კაბაში და საყურეებით უფრო მეტად მოგწონთ, ვიდრე მაღალქუსლიანი ფეხსაცმელებით და საყურეებით.

***

სამხედრო კომისარიატში:

— სად გინდათ სამსახური?

— ავიაციაში.

— არა, მაღალი წნევა გაქვთ და არ აგიყვანენ.

— მაშ, საჰაერო თავდაცვაში.

— რატომ?

— მე თუ ვერ ვიფრენ, ვერც ვერავინ იფრენს...

***

— თაფლობის თვის განმავლობაში ექიმმა საპატარძლოს წოლითი რეჟიმი გამოუწერა...

***

— არავინ თუ არ გეწევა, ყველას ჩამორჩი...

***

— ამბობენ, ასაკის მატებასთან ერთად კონიაკი სულ უფრო და უფრო კარგი ხდება. ვფიქრობ, არ ცდებიან, ასაკის მატებასთან ერთად კონიაკი სულ უფრო და უფრო მეტად მომწონს...

***

— მე აი, ამ კბილის ჯაგრისით ვსარგებლობ, კბილებს ძნელად მისადგომ ადგილებშიც კარგად ხეხავს. შენ?

— მე ძნელადმისადგომ ადგილებში კბილები არ მაქვს...

***

დამწყები მომღერალი ოპერაში მივიდა.

— ვერ მეტყვით, სად არის აქ ის დივანი, რომელზეც ხმას ამოწმებენ?

— ანთროპომორფული დენდრომუტანტი — ბურატინოს სამეცნიერო სახელწოდებაა...

***

— მის უტიფრობას არც ზღვარი ჰქონდა, არც წარმოებული ან ინტეგრალი, ელემენტარულ მათემატიკურ ფუნქციებზე რომ აღარაფერი ვთქვათ...

***

დედა 3-4 წლის ბავშვთან ერთად მაღაზიაში მიდის. გარშემო მრავალი ლამაზი ნივთია. დედა შვილს (ბავშვისთვის მოულოდნელად) ეკითხება:

— რამე გიყიდო?

ბავშვი წამით გაირინდა.

— ჰო.

დედა:

— რა?

შვილი:

— რა და ... ორი!

***

— ქალს მხოლოდ ფხიზლები მოსწონდა, ის კი მხოლოდ მთვრალებს მოსწონდათ...

***

ტიპი ძროხასთან ერთად გზის ნაპირას დგას და მანქანას აჩერებს. ერთმა გაუჩერა. ეუბნება, სოფლამდე მიმიყვანეო.

— ძროხასთან ერთად როგორ მიგიყვანო.

— მე ჩავჯდები, ძროხა კი გამოგვედევნება.

მძღოლმა ჩაისვა, ნელა დაძრა მანქანა, ძროხა გამოედევნათ. სიჩქარეს მოუმატა, ძროხამაც ფეხს აუჩქარა.

— მიდი, რაც შეგიძლია, შეუბერე, — ეუბნება თანამგზავრი.

ტიპმა აქსელერატორს ფეხი დააჭირა, ძროხა უკან მოსდევთ, დისტანციას ზუსტადიცავს. მძღოლმა უკანა ხედვის სარკეში გაიხედა და ძროხის პატრონს ეუბნება.

— მე უფრო სწრაფად აღარ შემიძლია, შენს ძროხას კი რაღაც სჭირს, მარცხენა თვალი რაღაც საეჭვოდ უთამაშებს.

ძროხის პატრონი არხეინად პასუხობს:

— ეგ არაფერი, გასწრებაზე აპირებს წასვლას...

***

— კროსვორდს ვავსებ... ერთი შეკითხვა შემხვდა, ვერ ვავსებ... ქვა, რომელიც ზოდიაქოს ერთდროულად სამ ნიშანს შეესაბამება... მარტო ამეთვისტო მახსენდება, იქნებ მიშველო.

— მე კი მინიმუმ სამი სახის ქვა ვიცი, რომელიც ზოდიაქოს აბსოლუტურად ნებისმიერ ნიშანს უხდება, მარმარილო, გრანიტი, ბაზალტი...

— იდიოტო!...

***

— ექიმო, ყოველ ღამე ერთი და იგივე სიზმარი მესიზმრება. ჩემ წინ კარია, წარწერით, ხელს ვკრავ, გაღებას ვერ ვახერხებ.

— კარს რა აწერია?

— „თქვენკენ მოქაჩეთ“

***

კბილის ექიმმა საბურღი მანქანა აამუშავა:

— გახსოვს, სკოლაში ჩემ უკან რომ იჯექი და სულ თმას მაწიწკნიდი?

***

— სალაპარაკო აღარაფერია. ნამდვილად ვიღაცამ მოგწამლათ.

— ღმერთო, ჩემო, ექიმო! ვინ, როგორ, რით?

— ნუ ღელავთ. გაკვეთა ყველაფერს გამოარკვევს...

***

— აქ გტკივათ?

— მტკივა.

— აქ?

— მტკივა!

— აქ?

— ააა! თავი დამანებეთ, მეტს აღარაფერს გეტყვით...

***

— ადრე ვინც დგება, მერე მთელი დღე ეძინება...

***

უფროსი და მეცხრე თვეზეა, უმცროსს აფთიაქში ორსულობის ტესტის კითხვა ერიდება და უფროსს სთხოვა ყიდვა. უფროსი მივიდა და აფთიაქარს ეუბნება:

— თუ შეიძლება, ორსულობის ტესტი მომეცით.

— როგორ, ეჭვი გეპარებათ?

***

— მტრები არ ჰყავდა... სამაგიეროდ მეგობრები ვერ იტანდნენ...

***

— ქალაქის ცენტრში გაქურდეს ბინა. კრიმინალისტებმა ხელის ანაბეჭდის მიხედვით განსაზღვრეს, რომ დამნაშავე დიდხანს და ბედნიერად იცხოვრებს, მაგრამ დიდ სიყვარულს ვერ შეხვდება...

# ესპანეთის დედოფალს რომის პაპი მოუტყუებია

დასაწყისი მე-16 გვერდზე

ის რომ ვატიკანის კოლექციაში დაცული ტილო, ბართოლომეო ესტებან მურილიოს „წმინდა ეკატერინეს მისტიური ნიშნობა“ XIX საუკუნით დათარიღებული ნაყალბევი იყო, მეცნიერებმა ჯერ კიდევ 1958 წელს გამოარკვიეს, სურათის რესტავრაციის დროს.

პორტუგალიელმა მკვლევარმა შეძლო დაედგინა, რომ ესპანეთის დედოფალმა რომის პაპი შეგნებულად მოატყუა — მან გამოარკვია, რომ ათი წლის შემდეგ დედოფალმა მურილიოს ორიგინალი პორტუგალიის მეფე ლუიშ I-ს აჩუქა.

ლისაბონის აჟუდას სასახლის არქივებში მეცნიერმა ძველი ფოტოალბომი აღმოაჩინა. ერთ-ერთ ფოტოზე მურილიოს ნახატი იყო აღბეჭდილი. ფოტოსურათისათვის პირადად მეფის ხელით შესრულებული წარწერა მოწმობდა, რომ სურათი მას ესპანეთის დედოფალმა იზაბელამ 1865 წელს აჩუქა.

ამ ჩანაწერიდან მეცნიერი ასკვნის, რომ ათი წლით ადრე ესპანეთის დედოფალმა ვატიკანს ნაყალბევი აჩუქა და აშკარად რომის პაპის გაცურება სურდა.

ბილბაოს სახვითი ხელოვნების მუზეუმის ექსპერტის, ბენიტო ნავარიეტეს ვარაუდით, პორტუგალიის მეფის შემთხვევაში ამ ხრიკის გამეორებას დედოფალმა თავი აარიდა. იმ დროს ესპანეთი პორტუგალიასთან კავშირის განმტკიცებას ცდილობდა, გარდა ამისა, მეფე ლუიშ I-ის მოტყუების მცდელობა რომ გამომჟღავნებულიყო, დედოფალს დიდი სკანდალი ელოდა.

## სამგლოვიარო განცხადებები

### გოგი ხეცურიანის გახსენება



ძნელია, წარსულში ილაპარაკო იმ ადამიანის შესახებ, რომელიც გამორჩეული იყო ზნეობით, ინტელექტითა და მაღალი პროფესიონალიზმით. კიდევ უფრო ძნელია მისი აღსაზრდელებისათვის, რომლებთანაც ყოველდღიურად ურთიერთობდა და ასწავლიდა არა მარტო მათემატიკას, არამედ ადამიანურ, მეგობრულ დამოკიდებულებას.

ბატონ გოგის 21 ნოემბერს 65 წელი შეუსრულდებოდა. მან 40 წელი იღვაწა 61-ე საჯარო სკოლაში და უზომო სიყვარული დაიმსახურა. იგი იყო სანიმუშო შვილი, საუკეთესო ძმა, მეუღლე, მამა და ბაბუა პატარა ნინიკოსი.

ქედს ვიხრით მის წინაშე მისი კოლეგები.

*61-ე საჯარო სკოლის თანამშრომლები*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## განცხადებები


● სიახლე! დასაქმების სრულიად განსხვავებული პროგრამა. მიიღებიან საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე პირები. ანაზღაურება ყოველკვირეულად. ასაკი 25-70 წ. ტელ: 75-72-69; 893-64-27-38 ქ-ნი მათიკო მგალობლიშვილი

● ქირავდება ვაჟა-ფშაველას II კვარტალში ოროთახიანი კეთილმოწყობილი (ყველანაირი ავეჯი, ტელეფონი, ტელევიზორი, მაცივარი, გათბობა, ცხელი წყალი) ბინა. ტელ: 899-103-183.

● სილამაზის სალონი „შარმი“ აწარმოებს მოსწავლეების მიღებას 3-თვიან კურსებზე სამკურნალო გამაჯანსაღებელი და ბავშვთა მასაჟი, სტილისტი-ვიზაჟისტი, კოსმეტოლოგიის კურსები. გაიცემა სერთიფიკატი. ფასი 300 ლარი. გაგიწევთ შემდეგ მომსახურებას: თმის შეჭრა, დავარცხნა, დახვევა, საქორწილო, საბანკეტო ვარცხნილობები, ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით. მის: მ.მარჯანიშვილი, აღმაშენებლის 93. ტელ: 96-38-27; 893-39-04-87 ირინა.

● შევიძენ ყველა სახის წიგნებს, გამოცემულს 1917 წლამდე, ტელ: 855 29-40-39 ლაშა.

● იყიდება! ნებისმიერი სახეობის, ასაკის, ზომის და რაოდენობის წიწვოვან და ფოთლოვან ხე-მცენარეთა ნერგები. ფასი 5-დან 50 ლარამდე. ტელ: 96-62-96 საღამოს, მობ: 897-96-62-96.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● ექიმი-გინეკოლოგი ვმკურნალობ ქალურ დაავადებებს, სქესობრივი კონტაქტებით გადამდებ სნეულებებსა და ბუასილს. ორსულთა აღრიცხვაზე აყვანა და კონსულტაცია უფასოა. ტელ: 999-533.

● ამერიკაშისტაჟირებულიფილოლოგი-დოცენტი ყველა მსურველს ასწავლის ინგლისურ ენას საფუძვლიანად (ქართულად და რუსულად). ტელ: 95-32-12.

● იყიდება 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა 93 კვ.მ., II სართულზე, მარჯანიშვილის მოედანზე (სუპერმარკეტ „ბიფე-სის“ სახლი). ბინა იყიდება სამისდღეშიო რჩენის საწყისებზე. ტელ: 95-32-12.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.


## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 2. უსწავლელი, უვიცი ადამიანი; 3. მსხვილფეხა საქონლის ძველებური სახელწოდება; 4. ნივთიერება, რომელიც ელექტროდენს არ ატარებს; 5. დადუღებული ყურძნის წვენი; 6. ბეტონიტური თიხის საბადო გურიაში; 8. სახალხო დღესასწაული ესპანეთსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში; 11. მსხვერპლად შეწირული რამ; 14. ჰორმონი, რომელსაც გამოიმუშავებს თირკმლისზედა ჯირკვალი; 15. კაფე, ბარი საცეკვაო მოედნით; 16. ხელოვნურად მიღებული რადიაქტიური ქიმიური ელემენტი; 17. ტაივანის მთავარი ქალაქი; 19. რესტორანი იტალიაში; 21. მძაფრი სუნის ბოსტნეული მცენარე; 22. ისრაელში დაბადებულ და მცხოვრებ ებრაელთა სახელწოდება.

**თარაზულად:** 1. მრავალსართულიანი კარსტული მღვიმე ტყიბულის მახლობლად; 5. გადასახადი მიწათსარგებლობისთვის ძველად საქართველოში; 7. ჩხიკვის მეორე სახელწოდება; 9. სისხლის შემსწავლელი მეცნიერება; 10. დაბა ბოლნისის რაიონში; 12. უფლისწულის ტიტული ესპანეთსა და პორტუგალიაში; 13. სასიამოვნო სურნელება; 16. ქართველი მოქანდაკე, როდენის მოწაფე; 17. პარაზიტი, მკბენარა მწერი; 18. ჰუნების წინამძღოლი; 20. იშვიათი, უჩვეულო, განსაკუთრებული მოვლენა; 22. რძის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 23. მონასტერი სტეფანწმინდას რაიონში; 24. სტადიონი ლონდონში; 25. დაპყრობილი ტერიტორიის მონღოლი მმართველი.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბაკი; 2. ჯეზვე; 3. იმაგო; 4. ლხინი; 5. გილდია; 6. დინამიკა; 8. „ფიორენტინა“; 10. ფიზიონომია; 11. „ნატახტარი“; 14. ბუნაგი; 15. ოკრიბა; 16. „ბროლა“.

**თარაზულად:** 1. ბიუჯეტი; 4. ლოგოპედი; 7. კიაზო; 9. ტორფი; 12. კახეთი; 13. ტონგა; 14. ბოგოტა; 17. სტრიტი; 18. ჰემოგლობინი; 19. ჩარხილი; 20. ჩალხია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 2. ეტალონი; 3. მადაფათა; 4. აპერიტივი; 5. სეიმი; 6. ასკილი; 8. იგუანა; 11. „მარტელი“; 14. ექსტრაქცია; 15. რამაზანი; 16. აუდიენცია; 17. ვარძია; 19. ატლანტა; 21. სიათა; 22. ისტრი.

**თარაზულად:** 1. გერმანია; 5. „საბა“; 7. ფლინტი; 9. ჟანდარმერია; 10. კამბუზი; 12. ფლორინი; 13. გეიზერი; 16. ავლაბარი; 17. ვატი; 18. ქარვა; 20. ცირეკიძე; 22. „იტამი“; 23. ჩარხილი; 24. ცენტრი; 25. თუთია.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2009 წლის 21 ნოემბრის ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,6825 | ევრო —2,4035 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7536 | რუსული რუბლი — 0,0533 |

**ამინდის პროგნოზი 21 ნოემბრისთვის**

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — §-1§, ღამით — 1-6

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — §-13, ღამით — 3-7

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, თოვლი, ტემპერატურა დღისით — 9-8, ღამით — -7 -2




## ქართული ფლორის საოცრება „სალხინო" უებარი წამალია



"სალხინო" აწესრიგებს შარდ-სასქესო ორგანოების მოქმედებას, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა,შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, აგვარებს თესლის ნაადრევ გამოყოფას, აღადგენს სექსუალურ სისუსტეს. წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს; პირის ღრუს, სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების: ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის; კუჭნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

პრაქტიკამ დაადასტურა ისიც, რომ "სალხინო" სარძევე ჯირკვლების დაავადებების დროს ხსნის ტკივილებს მკერდის, ბეჭის და იღლიის არეში. მასტოპათიების შემთხვევაში, უნარი აქვს გაიწოვოს სიმსივნური წარმონაქმნები. თუ გამოიყენებთ "სალხინო"-ს მშობიარობის შემდეგ (პროფილაქტიკის მიზნით), აიცილებთ მასტიტს და შეინარჩუნებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით. „სალხინო"-ში შემავალი უნიკალური ნივთიერებების არსებობა და მისი უებარი სამკურნალო თვისებები შემოწმებულია და დამტკიცებულია სხვადასხვა ქვეყნების ათეულობით სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ლაბორატორიებში, კლინიკებსა და კათედრებზე. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

"სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებგვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

# ოჯახის შექმნასა და უცხოურ კლუბზე ვოცნებობ



## ლუკა რაზმა ეს დადებითი თვისებები საკმარისზე მეტი აქვს

**საქართველოს ნაკრებისა და თბილისის „ვიტ ჯორჯიას" ფეხბურთელი წარმოშობით გორიდან არის. შარშან აგვისტოში მისი ოჯახი, ისე, როგორც გორისა და მისი შემოგარენის ყველა მცხოვრები, საფრთხის წინაშე იმყოფებოდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი დარეგულირდა და ახლა მის მშობლიურ ქალაქში სიწყნარეა. ფეხბურთის თამაშიც იქვე, გორში დაიწყო. მშობლების წინააღმდეგობის მიუხედავად, თავისი გაიტანა. უყვარს მეგობრებთან ერთად ყოფნა, ჯოკერი და ერთი გოგონა. ასე რომ, მანდილოსნებო, ლუკა რაზმაძის გული დაკავებულია მის დაპყრობას ნუ შეეცდებით.**

*— ფეხბურთი რატომ აირჩიეთ? გორში უფრო პოპულარული ჭიდაობაა...*

— ბავშვობიდანვე მიყვარდა ფეხბურთის ყურება, შეიძლება ითქვას, რომ ტელევიზორით შემიყვარდა. შემდეგ უფრო ეზოს გავუშინაურდი და იქ ვთამაშობდი. მშობლებს მაინცდამაინც არ მოსწონდათ ჩემი ფეხბურთელობა, რადგან ხან დახეული ტანსაცმლით შევდიოდი სახლში, ხანაც მეზობლების ფანჯრების ჩასმით იყვნენ დაკავებული. ორჯერ გამომიყვანეს საფეხბურთო სექციიდან, მაგრამ, მესამედაც რომ მივედი და ჩემი გავიტანე, ხელი ჩაიქნიეს, მიხვდნენ, რომ აზრი არ ჰქონდა. ახლა არ ნანობენ, რომ ფეხბურთელი გამოვედი.

*— შარშან აგვისტოში გორში დაძაბული სიტუაცია იყო. მაშინ სად იყავით?*

— გორში ვიყავი მშობლებთან. მართლაც ძალიან დაძაბული სიტუაცია იყო. მაშინ მთელი გუნდი გვერდით დამიდგა, თითქმის ყველამ დამირეკა და ოჯახის თბილისში მათთან ჩაყვანა შემომთავაზა. აქვე მადლობას ვეტყვი თქვენი გაზეთით გიორგი დათუნა-

გაგრძელება მე-12 გვერდზე

## იუმორი



დილა, საუზმე, მაგიდასთან ქალ-ვაჟი ზის.

ვაჟი: — თუ შეგიძლია, ბუტერბროდი მომიმზადე.

ქალი: — ხიზილალით?

ვაჟი: — დიახ.

ქალმა ბუტერბროდი მოამზადა, ვაჟმა შეჭამა. ცოტა ხნის შემდეგ.

ვაჟი: — შეგიძლია, კიდევ ერთი რომ მომიმზადო?

ქალი: — არა, თავად მოიმზადე.

ვაჟი: — რა დაგემართა?

ქალი: — არაფერი, ეს მზრუნველი ქალის სადემონსტრაციო ვერსია იყო, ლიცენზირებულ ვერსიას მხოლოდ და მხოლოდ ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ მიიღებ.

***

— რამდენი საუკუნე გავიდა და ადამიანს ერთი თითი დღემდე უსახელო აქვს...

***

— წამის ერთი მეასედი — დრო, რომელიც მწვანე შუქნიშნის ანთებიდან უკნიდან საყვირის ხმამდე გადის...

***

— მეტოქე არის არამზადა, რომელსაც იგივე უნდა, რაც მე...

***

— არა, ბავშვი სულაც არ მაწუხებს, როგორც კი წამოიტირებს, მაშინვე იავნანას სიმღერას ვიწყებ.

— ადრე მეც მასე ვიქცეოდი, მაგრამ შემდეგ მეზობლებმა მითხრეს, გაუშვი, იტიროსო...

# ესპანეთის დედოფალს რომის პაპი მოუტყუებია



პორტუგალიელი ხელოვნებათმცოდნე უგო ხავიერი ამტკიცებს, რომ ესპანეთის დედოფალმა იზაბელა II-მ 1855 წელს რომის პაპს პიუს IX-ს თავისი კოლექციიდან ცნობილი მხატვრის, მურილიოს ნახატის ასლი აჩუქა, თანაც შესანიშნავად იცოდა, რომ კათოლიკური ეკლესიის ლიდერს ნაყალბევს აძლევდა.

გაგრძელება მე-15 გვერდზე

## ყველამ გაითვალისწინეთ! ასტროპროგნოზი

**21 ნოემბერი — წარმატებული დღეა**

**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** — ფულს შოულობთ, ნავაჭრი იღბლიანი იქნება. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, თქვენი საქმე წინ მიდის. **კირჩხიბი** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **ლომი** — ახალ სამსახურში თავს კომფორტულად იგრძნობთ, უფროსობას თვალში მოხვდებით. **ქალწული** — დაისვენეთ და გაერთეთ, ეს დღე მეგობრებს დაუთმეთ. **სასწორი** — მოერიდეთ უცხო პირებს, ყური მიუგდეთ ინტუიციას. **ღრიანკალი** — ჰარმონიული დღეა, ყველაფერი გამოგივათ. **მშვილდოსანი** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **თხის რქა** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **მერწყული** — ახალი წამოწყება გაამართლებს, მაგრამ არც ძველი დაივიწყოთ. **თევზები** — სახლში შენაძენია მოსალოდნელი, გახარებული ხართ.

**22 ნოემბერი — ეს დღე მშვიდად გაატარეთ.**

**ვერძი** — ეს დღე მშვიდად გაატარეთ, ზედმეტი აქტიურობა არ ღირს. **კურო** — პოზიტიური დღეა, თქვენი საქმე კარგად მიდის. **ტყუპები** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით. **კირჩხიბი** — წარმატებული დღეა, თქვენი საქმე კარგად მიდის. **ლომი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ვეჯს შეიძენთ. **ქალწული** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **სასწორი** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **ღრიანკალი** — თქვენი საქმე წინ მიდის, ახალი პროექტი გაამართლებს. **მშვილდოსანი** — ნუ გარისკავთ, დღეს არაფერი გამოვა. **თხის რქა** — წარმატებული დღეა, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **მერწყული** — ნუ აყვებით სხვებს, საკუთარი აზრი შეინარჩუნეთ. **თევზები** — გზიდან ახალ ამბავს გაიგებთ, გახარებული ხართ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## ტესტი: რამდენად ცნობისმოყვარე ხართ



1. თუ გიჩივიან, რომ ძალიან ხმაურიანი ხართ?
2. თუ მოგწონთ ახალი ადგილების მონახულება?
3. გინდათ თუ არა იყოთ დამოუკიდებელი?
4. მოგწონთ თუ არა პრობლემების გადაწყვეტა?
5. გაინტერესებთ თუ არა, როგორ არის მოწყობილი სხვადასხვა საგნები?
6. გიყვართ თუ არა ახალი ადამიანების გაცნობა?
7. გაინტერესებთ თუ არა დოკუმენტური ფილმები?
8. რომანებს სამეცნიერო ლიტერატურას ამჯობინებთ?
9. თუ გქონიათ უსიამოვნება ცნობისმოყვარეობის გამო?
10. ბავშვობაში ბევრ შეკითხვას თუ სვამდით?
11. მოგწონთ თუ არა ნივთების დაშლა იმის გამოსარკვევად, თუ როგორ არიან ისინი მოწყობილი?
12. თუ გიცდიათ საკუთარი გენეალოგიური ხის დადგენა?
13. თუ დაინტერესებულხართ სხვისი შემოსავლით?
14. მოგწონთ თუ არა ჭორების კითხვა ჟურნალ-გაზეთებში?
15. გაინტერესებთ თუ არა ჭორები, რომლებზეც თქვენი მეზობლები ლაპარაკობენ?

**პასუხები**

**დადებითი პასუხები შეკრიბეთ**

***0-5 ქულა:*** თითქმის ან საერთოდ არ გაინტერესებთ რა ხდება გარემო სამყაროში. ალბათ მთლიანად გაკმაყოფილებთ თქვენი ცხოვრება და არ გაწუხებთ იმედგაცრუება, აუსრულებელი ამბიციები. თუ ეს ასე არ არის და რომელიმე ოცნება მაინც დაგრჩათ განუხორციელებელი, უფრო მეტად უნდა დაინტერესდეთ თქვენს გარშემო მიმდინარე მოვლენებით.

***6-10 ქულა:*** ზომიერად ცნობისმოყვარე ხართ. თქვენი შეკითხვები ზოგჯერ არ მოსწონთ, მაგრამ თუ შეკითხვებს არ დასვამთ, შორს ვერ წახვალთ.

***11-15 ქულა:*** ყველაფერი გაინტერესებთ, თუ გავითვალისწინებთ, რომ თანამედროვე სამყაროში ინფორმაციას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ასე გააგრძელეთ და გექნებათ თქვენი მიზნებისა და ამბიციების მიღწევისა და ასრულების შანსი.

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. რაიონული ცენტრი აჭარაში; 2. არყის სასმელი პატარა ჭიქა; 3. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული ოქროსფერი, კუზიანი კურდღელი; 4. ფულის ერთეული ინდოეთში; 5. დარიშხანის საბადო ამბროლაურის რაიონში; 6. პირველი კოსმონავტი; 8. ურთიერთდათმობით მიღებული პოლიტიკური ან იურიდიული შეთანხმება; 10. ყოველივე უცხოურის სიყვარული; 11. ჩრდილო გერმანული ტომები, რომლებიც მე-8-11 საუკუნეებში არბევდნენ ევროპის ქვეყნებს; 14. ნარკოტიკების არალეგალურად გამსაღებელი აშშ-ში; 15. ფრანგი მექანიკოსი საქსოვი მანქანის გამომგონებელი; 16. რომაელი პოეტი „ღვთაებრივი კომედია"-ს ავტორი.

**თარაზულად:** 1. რელიგიური ფერწერის დარგი; 4. გორგოლაჭებიანი კონვეირი; 7. ქართველი კარიკატურისტი მხატვარი; 9. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 12. მქრქალი ცისფერი ძვირფასი ქვა; 13. ტროპიკული ხილი; 14. ხელოვნური თმა; 17. ოქროქსოვილის ძველი ქართული სახელწოდება; 18. სხვისი რწმენის, აზრების შემწყნარებლობა; 19. იტალიური ვერმუტი; 20. ცნობილი ფრანგი კინორეჟისორი.

შეადგინა თ. კოპალეიშვილმა